ოთარ ჯღანელიძე

ნოე რამიშვილი
საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი

თბილისი

2015

ნაშრომში საარქივო და სხვა მასალების საფუძველზე განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პირველი, კოალიციური მთავრობის თავმჯდომარის ნოე რამიშვილის მოღვაწეობა პრემიერის რანგში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტების, ასევე საქართველოს ახალი ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი - მალხაზ მაცაბერიძე - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები - რუსუდან დაუშვილი - პროფესორი
პაატა სურგულაძე - პროფესორი

© ოთარ ჯანელიძე, 2015

გამომცემლობა „პეტიტი“

ISBN 978 9941-9422-6-6

წინათქმა

ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივ სახელმწიფოებრივ ისტორიაში გამორჩეული პერიოდია 1918-1921 წლები. დროის ეს მცირე მონაკვეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაა. ამ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს საქართველოს პირველ რესპუბლიკასაც უწოდებენ. არაერთი ცნობილი პიროვნების, ეროვნული, საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწის სახელია დაკავშირებული პირველ რესპუბლიკასთან. მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ნოე რამიშვილი იყო, - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე, რომელსაც სხვადასხვა დროს ასევე ეკავა შინაგან საქმეთა, განათლებისა და სამხედრო მინისტრის თანამდებობებიც.

ტრაგიკული ბედი დაჰყვა საქართველოს პირველ რესპუბლიკასაც და იმ ადამიანებსაც, რომლებიც მის სათავეებთან იდგნენ. რესპუბლიკის ტრაგიზმი იმაში გამოიხატა, რომ იგი გარე აგრესიას ემსხვერპლა, დაემხო და არსებობა შეწყვიტა. მისი ისტორია დასავიწყებლად გაიმეტეს.

სამშობლოს იძულებითი დატოვება და ემიგრაციაში გადახვეწა იყო ხვედრი პირველი რესპუბლიკის შემოქმედი ბევრი მოღვაწისა, რომელთა სახელებსაც ასევე დიდი ხნის განმავლობაში ტაბუ დაედო.

კომუნისტური ხელისუფლების თითქმის აღსასრულამდე აკრძალული იყო ნოე რამიშვილის ხსენებაც. კაცი, რომელსაც მეოცე საუკუკუნის პირველ ოცწლეულში მთელი საქართველო იცნობდა, თავისავე სამშობლოში, მომდევნო თაობებისათვის სრულიად უცხო და უცნობი შეიქნა. საბჭოთა პერიოდში პირველი ობიექტური პუბლიკაცია მის შესახებ მხოლოდ 1989 წელს დაიბეჭდა (გურამ შარაძე, ნოე რამიშვილი: პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, გაზ. „სახალხო განათლება“, 1989 წ., 22 მარტი).

2006 წელს გამოიცა იური სიხარულიძის ნარკვევი „ნოე რამიშვილი“. სახლზე თბილისში, რომელშიც ნ. რამიშვილი ცხოვრობდა (ი. მაჩაბლის ქ. № 6), გაკეთდა მემორიალური დაფა, ხოლო დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი.

ნოე რამიშვილის პიროვნული და პოლიტიკური პორტრეტი წარმოაჩინა დოდო ჭუმბურიძემ წიგნში „ისტორიული პორტრეტები. წერილები“ (თბ., 2012).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერის ბიოგრაფია შესულია ომარ თუშურაშვილისა და ივანე ჯახუას მიერ შედგენილ კრებულში „XX საუკუნის საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები" (თბ., 2013).

ნოე რამიშვილის ნაღვაწ-ნააზრევი ფართო საზოგადოებას სატელევიზიო და რადიოგადაცემებით რუსუდან დაუშვილმა გააცნო და სხვ.

ბოლო პერიოდში ხელახლა გამოიცა ნოე რამიშვილის ზოგიერთი ნაშრომი. მისი ბიუსტები დაიდგა ჩოხატაურში, სოფელ დიდ ვანსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში.

ხსოვნის ერთგვარი მონუმენტი, - მკითხველის მეხსიერებაში აგებული თავისებური ძეგლია წიგნიც, რომელიც პიროვნების განვლილ გზაზე მოგვითხრობს, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიუკერძოებლად ასახავს.

წინამდებარე მონოგრაფიაც, როგორც ნოე რამიშვილის გახსენება და მისი ღვაწლის გამოკვეთის ცდა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერის სახელის უკვდავყოფას ემსახურება.

ნაშრომი დაწერილია პირველწყაროების - საარქივო დოკუმენტების, პერიოდული პრესის მასალების, ასევე, მემუარული და სხვა ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

ხელისუფლების ფენომენი

ხელისუფლება, როგორც ინსტიტუციონალური ფენომენი, სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებას უკავშირდება. ამ ორ ცნებას შორის ასაკობრივი ტოლობის ნიშანიც კი დაისმის, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების სათავე კიდევ უფრო სიღრმეში - ტომებისა და ტომთა კავშირების ბელადთა ძალაუფლების არეალშია საძიებელი.

შორეულ წარსულიდან მოყოლებული, ასევე, ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქებში ხელისუფლების წყაროდ სამყაროს შემოქმედი - ღმერთი მიიჩნეოდა. ფარაონები, მონარქები თუ იმპერატორები თავს ან ღმერთებად ან კიდევ მათ შთამომავლებად წარმოაჩენდნენ. საკრალური სათავის გარდა, ხელისუფლების განგრძობის ლეგიტიმური საფუძველი იყო აგრეთვე დინასტიურობა - მემკვიდრეობა, რომელიც მეფობის მამიდან შვილზე გადაცემით ხორციელდებოდა. ამასთან, ხელისუფლების ურყევად შენარჩუნების მიზნით, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ზოგან სამეფო ტახტი, ზოგან კი დინასტია ღვთივკურთხეულად ან მირონცხებულად ცხადდებოდა და სხვ.

გავიხსენოთ, მეათე საუკუნის ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომლის თანახმად, გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს აშოტ კურაპალატს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლის მიერ ცხებულის შვილად წოდებულო ხელმწიფეო! მეფობაი და სათნოებანიცა დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან“.[1] იგივე აზრია გატარებული რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ... მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“.[2]

საუკუნეთა განმავლობაში მმართველი პიროვნების მიერ ხელისუფლების მეტისმეტმა კონცენტრაციამ (აბსოლუტური მონარქია), ბრძოლამ უფლებებისა და ხელისუფლებისათვის შეამზადა ნიადაგი ხსენებული შეხედულებების შესაცვლელად. ისტორიული, სოციალური თუ პოლიტიკური სინამდვილის შეცვლასთან ერთად

---

[1] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, მეხუთე მეთერთმეტე საუკუნეების მწერლობა, წიგნი I, თბ., 1982, გვ. 235.

[2] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 7.

მსგავსი წარმოდგენები და პრინციპები დავიწყებას მიეცა. ცნობილმა ფრანგმა განმანათლებელმა ჟან ჟაკ რუსომ ტრაქტატში „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ ანუ პოლიტიკური უფლების პრინციპები"[3] ერთ-ერთმა პირველმა უარყო ხელისუფლების ღმერთიდან წარმომავლობის თვალსაზრისი და იგი ხალხს დაუკავშირა. ასე ჩამოყალიბდა სახალხო სუვერენიტეტის იდეა, რომელიც ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ ხალხს მიიჩნევს. მან ფართო ასახვა ჰპოვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისეთ სამართლებრივ აქტებში, როგორებიცაა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია", საფრანგეთის 1791, 1793 წლების კონსტიტუციები და სხვ. იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა საფრანგეთის დამფუძნებელი კრების მოღვაწეობით დაიწყო და შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი თანდათან დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარ ღირებულებად იქცა. დემოკრატიის პირობებში, ხალხი, როგორც ერთ, ცალკე აღებულ სახელმწიფოში მცხოვრები მოქალაქეთა ერთობლიობა, ხელისუფლებას წარმომადგენლების მეშვეობით ანხორციელებს. ჯონ ლოკის თანახმად, ხალხი, იტოვებს რა თავის ხელში ლატენტურ, არააქტიურ ძალაუფლებას, აქტიურ ძალაუფლებას ხელისუფლებას გადასცემს.[4]

ხელისუფლება სოციალური ცნებაა, რომელიც ადამიანთაშორისი დამოკიდებულების სახეობად გაიაზრება და ხალხისა და ცალკეული ჯგუფების ურთიერთმიმართებას შეესატყვისება. ხელისუფლებას თავისი დამოუკიდებელი შინაარსი და განსაზღვრება გააჩნია, ამასთან, ტერმინის სემანტიკური ველი ისეთ მნიშვნელობებსაც იტევს, როგორებცაა: რაიმეზე ზეგავლენის ან კეთების შესაძლებლობა; განკარგულების გაცემის, მბრძანებლობის, მმართველობის უფლება; ძლიერება, ბატონობა, ძალა; სახელმწიფოს მართვის უფლება, პოლიტიკური ბატონობა, სახელმწიფო ორგანოთა უფლება-კომპეტენცია და სხვ.[5]

---

[3] Руссо Ж.Ж. Об общественном договоре.Трактаты. Пер. с фр. М., 1998.

[4] http://intermedia.ge/სტატია/1012-თომას-ჰობსისა-და-ჯონ-ლოკის-შედარებითი-ანალიზი/92/

[5] http://npu.edu.ua/!e-book/book/html/D/iplp_kspd_Ledyaev_Vlast_konntseptualnyi_analiz/

პოლიტიკური თვალსაზრისით, ხელისუფლება არის გავლენის, დამორჩილების, იძულების, არსებული რეალობის შენარჩუნების ან შეცვლის საშუალება. ხელისუფლების კონცეფციის ავტორის, ცნობილი ფრანგი იურისტის ლ. დიუგის (1859-1928) მიხედვით, ხელისუფლების ფენომენს საფუძვლად უდევს ხალხის ბუნებრივი დაყოფა „მმართველებად" და „მართულებად". თუ ტრადიციულ საზოგადოებებში ხელისუფლება უბრალოდ ძალას ეყრდნობა, დემოკრატიულ საზოგადოებებში იგი რაოდენობის ძალის ანუ უმრავლესობისადმი უმცირესობის დაქვემდებარების პრინციპით ხორციელდება. არსებობს განსხვავებული შეხედულებაც. მაგალითად, თვალსაჩინო ფრანგი სახელმწიფოთმცოდნის, პროფესორ მ. დიუვერჟეს აზრით, ხელისუფლებას არ განსაზღვრავს მხოლოდ ძალმომრეობა-დაქვემდებარებითი ურთიერთობა და ის არც მარტო მორჩილების ინსტრუმენტია. ხელისუფლება „სოციუმის ინტეგრაციის საშუალებაცაა", რაც მართულთა მხრიდან მმართველთა ლეგიტიმურობის აღიარებასაც გულისხმობს.[6]

ხელისუფლება ხალხს, საზოგადოებას, პიროვნებებს ემსახურება, იგი მოწოდებულია უზრუნველყოს და დაიცვას მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები.

ხელისუფლების განხორციელების ფორმები და საშუალებები უწინარესად თვით სახელმწიფოს ფორმით განისაზღვრება. მათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კულტურა, ისტორიული ტრადიციები, ეროვნული სპეციფიკა, სარწმუნოება, ბუნებრივი პირობები და სხვა ფაქტორები. ხელისუფლების ხელოვნების არსენალში მრავალმხრივი რესურსი მოიპოვება, მათ შორის: კანონი, სამართალი, იძულება, ცოდნა, უნარი, ნება, ავტორიტეტი, ფიზიკური შესაძლებლობა და ა. შ. რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს ისეთ ქმედებებში, როგორიცაა: მანევრირება, შეთანხმება, კომპრომისი, დათმობა, ზეგავლენა და სხვ.[7]

ხელისუფლების განხორციელების მეთოდებს მიეკუთვნება: დარწმუნება, სახელმწიფოებრივი იძულება, წახალისება (მორალური და მატერიალური სტიმულირება), ორგანიზაცია, აღზრდა, კონტროლი და სხვ.

---

[6] Дюверже М. Политические партии. Пер. с франц. - М.: Академический Проект, 2000, გვ. 107.

[7] Г. Конфисахер, Фсихология власти, 2-е издание, СПб.,2004, გვ. 14.

ზოგადად, ხელისუფლების ნაირსახეობიდან ერთ-ერთი გამორჩეული ელემენტია პოლიტიკური ხელისუფლება. თვით პოლიტიკური ხელისუფლების ცენტრალური ბირთვი კი სახელმწიფო ხელისუფლებაა, რომელიც სამართლებრივ და სხვა სოციალური ნორმების ერთობლიობას ეფუძნება.[8]

დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხელისუფლება სამ შტოდ - საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად არის დაყოფილი. ქვემოთ ჩვენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, კერძოდ მის პირველ მთავრობასა და მთავრობის თავმჯდომარეზე ვისაუბრებთ.

[8] Г. Конфисахер, Фсихология власти, გვ. 25.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობა

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართოდ დაიმკვიდრეს ადგილი პოლიტიკურმა პარტიებმა და მიმდინარეობებმა. აღსანიშნავია, რომ ამ პოლიტიკურ ძალებს ერთმანეთისაგან არამარტო მიზნებისა და ამოცანების ნაირგვარობა განასხვავებდათ, არამედ იდეური და მსოფლმხედველობრივი პროფილიც. ეს გარემოება აფერხებდა როგორც მათ შეკავშირებასა და კოორდინირებულ საქმიანობას, ისე ერის კონსოლიდაციის პროცესს და აჭიანურებდა ბრძოლას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და თვითმპყრობელობის დამხობის დროიდან, ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა შეხედულებები, განსაკუთრებით საქართველოს სახელმწიფოებრივ პერსპექტივასთან დაკავშირებით, ერთმანეთს შესამჩნევად დაუახლოვდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოება იყო, რადგან პოლიტიკური პარტიები თანდათან ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სათავეში ექცეოდნენ და უკვე მათ შეთანხმებულ და გააზრებულ მოქმედებაზე დიდად იყო დამოკიდებული, შეძლებდნენ ისინი ძალისხმევის გაერთიანებას საერთო მიზნისათვის ბრძოლაში თუ მოიქცეოდნენ ისე, როგორც 1905-1907 წლების რევოლუციის დროს და გაიმეორებდნენ მაშინდელ შეცდომებს.

საქართველოს ძირითადი პოლიტიკური ძალები რუსეთის დროებით მთავრობას აშკარად არ დაპირისპირებიან. მათ შესაძლებლად მიიჩნიეს „თავისუფალ რუსეთში თავისუფალი საქართველოს“ არსებობაც, რის გამოც ახალი ხელისუფლებისადმი ლოიალურად განეწყვნენ, მოიწონეს მისი გადაწყვეტილება - მიენდოთ სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი დამფუძნებელი კრებისათვის, რომელიც ფართო დემოკრატიული გზით ახლო მომავალში აირჩეოდა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრების მოლოდინს საქართველოში არ ჩაუკლავს პოლიტიკური ცხოვრება, მეტიც, აქ წინა პლანზე წამოიწია და დღის წესრიგში დაისვა ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის საკითხი.

1917 წლის მარტში სოციალ-დემოკრატიულმა (მენშევიკები), ფედერალისტურმა, ეროვნულ-დემოკრატთა და ესერთა პარტიებმა

საფუძველი ჩაუყარეს პოლიტიკური შეთანხმების ორგანოს „ეროვნულ კომიტეტს“. აპრილის დასაწყისში ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობათა გაერთიანებული სტრუქტურა „ინტერპარტიული კრება“, რომელსაც ოდნავ მოგვიანებით „ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო“, შემდეგ კი „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ ეწოდა.

1917 წლის სექტემბერში საბჭომ დელეგაცია გაგზავნა პეტროგრადში მოწვეულ დემოკრატიულ თათბირზე, რომლის მუშაობაში რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ა. კერენსკი და მინისტრებიც მონაწილეობდნენ. თათბირზე სიტყვით გამოსულმა აკაკი ჩხენკელმა, თანამემამულეთა სახელით, განაცხადა, რომ ქართველ ერს, მის პოლიტიკურ პარტიებს, ეროვნულ საკითხზე უკვე აქვთ გამოკვეთილი აზრი. ისინი ესწრაფვიან საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ, პოლიტიკურ ავტონომიას და თავიანთ მოთხოვნას ოფიციალურად წარუდგენენ რუსეთის დამფუძნებელ კრებას.[9]

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა. ბოლშევიკებმა დაამხეს დროებითი მთავრობა და ძალაუფლებას დაეპატრონენ. სამხრეთ კავკასიის სატიტულო ერებმა და ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიებმა არ ცნეს ამ ძალადობის ლეგიტიმურობა, იგი ავანტურად მიიჩნიეს და გაემიჯნენ საბჭოთა მთავრობას.

1917 წლის 19-22 ნოემბერს თბილისში მოწვეულ იქნა საქართველოს პოლიტიკური პარტიების, მუშათა საბჭოების, ქალაქების თვითმმართველობების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ეროვნულ უმცირესობათა და სხვ. არჩეული წარმომადგენლებისაგან შემდგარი საქართველოს ეროვნული ყრილობა. დელეგატთაგან 324 გადამწყვეტი, ხოლო 19 სათათბირო ხმით იყო უფლებამოსილი. ყრილობას დაესწრნენ მეზობელ ერთა და უცხო სახელმწიფოთა წარგზავნილები, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, ქართული ეკლესიის მესვეურნი და სხვ.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომელიც თავდაპირველად 66 წევრისაგან შედგებოდა და უმთავრესად პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს აერთიანებდა

---

[9] გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 22 სექტემბერი.

(25 სოციალ-დემოკრატი, 10 ფედერალისტი, 9 ეროვნულ-დემოკრატი, 7 ესერი და სხვ.). ეროვნულ საბჭოში მანდატები დაეთმოთ სამუსლიმანო საქართველოს, ასევე ზაქათალის ოლქის, აფხაზთა, ოსთა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა დელეგატებს.

საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმიანობას უძღვებოდა კოალიციური პრინციპით დაკომპლექტებული 15 კაციანი აღმასრულებელი კომიტეტი. როგორც საბჭოს, ისე მისი აღმასკომის თავმჯომარედ ნოეჟორდანია იქნა არჩეული.

ეროვნული ყრილობა სანიშანსვეტო მოვლენა იყო საქართველოს თავისუფლებისათვის ხანგრძლივი ბრძოლის ისტორიაში. ამ დღიდან ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე ახალი, განსხვავებული ეტაპი დაიწყო. ეროვნული საბჭოს შექმნით, არსებითად, ჩამოყალიბდა, ქართული ხელისუფლება, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მესაჭედ მოგვევლინა.

ეროვნულ საბჭოში სხადასხვა პარტიის წარმომადგენელთა გვერდიგვერდ საქმიანობამ ორი დადებითი შედეგი გამოიღო. 1. რუსეთისაგან განსხვავებით, ჩვენში არ გაჩაღებულა სამოქალაქო ომი. საქართველომ თავიდან აიცილა სისხლისმღვრელი დაპირისპირება. შიდა არეულობას, ნგრევასა და ქაოსს აქ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „რევოლუციის მონაპოვართა დაცვა-შენარჩუნება," პოლიტიკური წესრიგი, სტაბილურობა და მშვიდობიანი აღმშენებლობა ამჯობინეს. 2. მომზადდა ნიადაგი საიმისოდ, რომ დამოუკიდებლობის მიღწევისას, ახლად შექმნილ ქართულ სახელმწიფოს სათავეში კოალიციური პრინციპით ჩამოყალიბებული მთავრობა ჩადგომოდა.

ასეც მოხდა: 1918 წლის 26 მაისს, ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის მთავრობა სწორედ კოალიციის საფუძველზე დაკომპლექტდა.

მთავრობა, ჩვეულებრივ, ქვეყნის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ხელისუფლების უმაღლესი კოლეგიალური ორგანოა. მთავრობა სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა სახელწოდებით აღინიშნება: კაბინეტი (დიდი ბრიტანეთი), მინისტრთა კაბინეტი (უკრაინა), სახელმწიფო საბჭო (ჩინეთი), სახალხო კომისართა საბჭო (რსფსრ 1917-1922 წწ; სსრ კავშირი 1922-1946 წწ.), მინისტრთა საბჭო (სსრ კავშირი 1946-1990 წწ.), ადმინისტრაციული საბჭო (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლი-

კა), ფედერალური საბჭო (შვეიცარია), ფედერალური მთავრობა (გერმანია) და სხვ.

აღნაგობის თვალსაზრისით, ყველა ქვეყნის მთავრობა, როგორც წესი, შედგება მთავრობის წევრებისაგან (მინისტრები), მაგრამ განსხვავებულია მთავრობის მეთაურთა სახელწოდებები: მეფე, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ფედერალური კანცლერი, მინისტრი-თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვ.

გარდამავალ სიტუაციებში თუ ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულზე ტრანზაციის პერიოდში არაპარტიული კაბინეტების ან კოალიციური მთავრობების ფორმირება ცნობილი პრაქტიკაა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დროისათვის ამ თვალსაზრისით უკვე არსებობდა გარკვეული გამოცდილება. მაგალითად, არაერთხელ ყოფილა კოალიციური შვეიცარიის ფედერალური საბჭო (მთავრობა), სამოქალაქო ომის წლებში (1864-1868) ეროვნული ერთობის მთავრობა ჰყავდა აშშ-ს, პირველი მსოფლიო ომის დროს კოალიციური მთავრობა ედგა სათავეში კანადას, 1915 წლიდან კოალიცია მართავდა დიდ ბრიტანეთს, კოალიციური იყო რუსეთის დროებითი მთავრობა 1917 წლის მარტიდან ოქტომბრამდე და სხვ.

ტრადიციულად, მიჩნეულია და ისტორიაც მოწმობს, რომ კოალიციური მთავრობები ერთპარტიულ მთავრობებზე ნაკლებ სტაბილური და გამძლეა.[10] კოალიციური მთავრობები ხშირად თავიანთი ლეგიტიმაციის გასვლამდე იშლებიან ხოლმე, რის გამოც მათ სახელმწიფო მართვის არაეფექტურ მოდელად განიხილავენ. კოალიციური მთავრობის ნაკლად ითვლება ისიც, რომ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელობა აფერხებს სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას, ხელი ეშლება ერთიანი და მტკიცე პოლიტიკის წარმოებას. თუ კოალიცია იდეოლოგიურად მოწინააღმდეგე ძალებს აეთიანებს, იგი უძლურია გაატაროს მნიშვნელოვანი რეფორმები და სხვ.

კოალიციურ მთავრობას გააჩნია თავისი დადებითი მახასიათებლებიც. კოალიციების შექმნა პოლიტიკურ ცხოვრებაში რადიკა-

---

[10] Сидоров В. В. Динамика коалиционных правительств в парламентских демократиях. Ученые записки Казанскогоо университета. Серия: Гуманитарные науки.Выпуск № 1 / том 153 / 2011 (http://cyberleninka.ru/article/n/dinamika-koalitsionnyh-pravitelstv-v-parlamentskih-demokratiyah

ლიზმის შემცირებას განაპირობებს, ხელს უწყობს კომპრომისების მიღწევას საზოგადოების ცალკეულ სეგმენტებს შორის, სტიმულს აძლევს ეროვნულ ერთობას, აფართოებს პოლიტიკური სპექტრის მართვაში მონაწილეობა-ჩართულობას და ა. შ.

ჩვეულებრივ, მთავრობებს ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი ერთი ან რამდენიმე პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი მინისტრები აკომპლექტებენ. ეს საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. ერთი ასეთი საყურადღებო შეხედულება ცნობილ ქართველ მოღვაწე-მოაზროვნეს ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის და, რადგან იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა ხანებშია გამოთქმული, აქაც დავიმოწმებ:

ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, სახელმწიფო ორგანოებს ცალმხრივი პარტიული ხასიათი არ უნდა მიეცეს. „პარტიებს ეკუთვნის პირველ ხანაში ყოველგან უფრო ზედამხედველობა და მოწყობა შეძენილ უფლებების დაურღვევლობისა. ქვეყანას კი, ამას გარდა, სხვაც ბევრი რამ სჭირია. რუსეთის რევოლუცია, იქნებ, ასე მალე არ გაკოტრებულიყოს, პოლიტიკურ პარტიებს, საქმიანობაში გამოუცდელებს, თვითონ რომ არ ეკისრათ ქვეყნის მართვა. ეს ტვირთი მცოდნე სპეციალისტებისათვის უნდა მიენდოთ. ესენი ბევრად უკეთ მოაწყობდნენ ხალხის რჩენას, ფულის შოვნას, ჯარის მოწყობას, ზავის მზადებას, გზების მართვას, საქონლის ზიდვას და სხვა და სხვა. ამ მმართველებზე პარტიებს ფხიზელი ზედამხედველობა რომ ჰქონოდათ, მათი საქმეც უკეთ წავიდოდა და რუსეთისაც“.[11]

მთავრობის შედგენის ნიკოლაძისეული მოდელის გამოყენება არც საქართველოს ახლად შექმნილი რესპუბლიკისათვის იქნებოდა ურიგო, მაგრამ მაშინდელმა პოლიტიკოსებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს.

[11] გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 23 ნოემბერი.

მთავრობის თავმჯდომარე (პრემიერი)

1918 წლის 26 მაისს ქართველი ერის ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო, განახლდა XIX საუკუნეში შეწყვეტილი ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომლის პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში შემავალი პოლიტიკური პარტიების ლიდერთა შეთანხმებით, გადაწყდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კოალიციური მთავრობისათვის მიენდოთ. მთავრობის თავმჯდომარედ და შინაგან საქმეთა მინისტრად გავლენიანი სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი დაინიშნა.

მთავრობა მრავალრიცხოვანი არ უნდა ყოფილიყო. განისაზღვრა მისი სტრუქტურა და პერსონალური შემადგენლობაც. მინისტრთა 8 პორტფელს 4 პარტიის წარმომადგენლები ჩაიბარებდნენ. მთავრობის თავმჯდომარე ყველაზე ავტორიტეტული ძალის - სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან უნდა შეერჩიათ, ამავე პარტიის წარმომადგენლებს უნდა მიეღოთ ასევე 4 პორტფელი. 2 მინისტრი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას წარმოადგენდა, ხოლო თითო-თითო - ეროვნულ-დემოკრატიულ და ესერთა პარტიებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ დროებით მთავრობაში ნოე რამიშვილის გარდა შევიდნენ: გრიგოლ გიორგაძე (სამხედრო მინისტრი), აკაკი ჩხენკელი (საგარეო საქმეთა მინისტრი), ნოე ხომერიკი (მიწათმოქმედების მინისტრი) – (ყველანი სოციალ-დემოკრატები), გიორგი ჟურული (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, - ეროვნულ-დემოკრატი), გიორგი ლასხიშვილი (განათლების მინისტრი), შალვა მესხიშვილი (იუსტიციის მინისტრი) – ორივე სოციალისტ-ფედერალისტი და ივანე ლორთქიფანიძე (გზათა მინისტრი) – ესერი.

მართალია, მთავრობაში სოციალ-დემოკრატები ჭარბობდნენ, ყველა საკვანძო სამინისტროს ისინი განაგებდნენ, მაგრამ მინისტრთა რანგში ცალკეულ უწყებებს ქვეყნის სხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებიც უძღვებოდნენ, რაც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში მათ ფართო მონაწილეობას უზრუნველყოფდა.

1918 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი, გენერალი ფონ კრესი

შენიშნავდა: „ყველა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი ჟურულის გამოკლებით, ზომიერ სოციალ-დემოკრატებს - მენშევიკებს წარმოადგენდენ. პროფესიით, უმეტესწილად, ლიტერატორები და ჟურნალისტები [იყვნენ]. თავიანთი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ციმბირში ანდა რუსულ საპყრობილეებში ჰქონდათ გატარებული. ისინი შესანიშნავად განათლებული, კარგად აღზრდილი და საკმაოდ კარგი საურთიერთო ადამიანები და, ეჭვგარეშეა, კეთილი ნებით ფრთაშესხმული ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ".[12]

აქ აუცილებელია რამდენიმე კომენტარი: ფონ კრესი ცდება, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას წარმოაჩენს როგორც თითქმის ერთპარტიულს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, 1918 წლის 26 მაისს შექმნილ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) დომინანტობდნენ, მაგრამ ყველა მინისტრი მათი პოლიტიკური ორგანიზაციიდან არ ყოფილა შერჩეული. მთავრობა რომ კოალიციური პრინციპით ჩამოყალიბდა და მინისტრების პორთფელები სხვა პარტიების წარმომადგენლებსაც ერგოთ, ეს ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული. საქართველოს მთავრობა ერთპარტიული 1919 წელს, დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შემდეგ გახდა, მაგრამ ამ პერიოდში ფონ კრესი საქართველოში აღარ იმყოფებოდა.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისის შემდგომ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების - მენშევიკებისათვის დამახასიათებელი იყო ნიჰილიზმი და პრორუსული მიდრეკილებანი, შეიძლება უჩვეულოდ მოგვეჩვენოს კრესის ფრაზა ნოე ჟორდანიას თანაპარტიელი მინისტრების „ფრთაშესხმულ" და „ჭეშმარიტ" პატრიოტობაზე. მაგრამ აქ სიმართლე მემუარისტის მხარესაა. ქართველი მარქსისტების ნაწილმა მენშევიკების სახით 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებიდან მოკიდებული კოსმოპოლიტურიდან რომ ეროვნულ ნიადაგზე გადმოინაცვლა, ეს თავის დროზე კარგად შენიშნა გერონტი ქიქოძემ. პუბლიცისტი 1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ეროვნული ენერგია", წერ-

---

[12] ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, გვ. 78-79.

და: „როგორც იდეური ბელადი, ჟორდანია, რასაკვირველია, წინ უსწრებს თავის პარტიულ ლაშქარს. მაგრამ მისი პირადი ევოლუცია არსებითად მთელი ქართველი სოციალ-დემოკრატიის ევოლუციაა. მსოფლი ომი და რუსეთის რევოლუცია კარგი სკოლა იყო ამ ხალხისათვის. მათ თანდათან ისწავლეს საკუთარი თვალებით ცქერა და საკუთარი ფეხებით სიარული. ჩვენი სამშობლოს მზემ ნელ-ნელა გაალხო მათი გაყინული დოგმები".[13]

ფრანგი პოლკოვნიკის, რემონ დიუგეს სიტყვითაც, რომელმაც წიგნი მიუძღვნა საქართველოს პირველ რესპუბლიკას, „ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გარდატეხის მნიშვნელოვანი გზა გაიარეს. მათ პატივსაცემად უნდა ითქვას, რომ ნელ-ნელა არსებითი ევოლუცია განიცადეს. მათი იდეები, გრძნობები, კონცეფციები უფრო და უფრო ეროვნული ხდებოდა".[14]

ერთი რუსი თანამედროვის მოგონების თანახმად, ,,ქართველი ხალხის გუშინდელი წარმომადგენლები რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროში და რევოლუციის დროს კი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში, ჩხეიძე, ჩხენკელი და გეგეჭკორი, დაჯერებული ინტერნაციონალისტები და სოციალ-დემოკრატი მენშევიკები სამშობლოში მოულოდნელად გადაიქცნენ მგზნებარე ნაციონალისტებად და პატრიოტებად".[15]

საგულისხმოა ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის თანამედროვე ამერიკელი მკვლევრის სტივენ ჯოუნსის მოსაზრებაც. იგი აღნიშნავს: „ითვლება, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები უკიდურესი მემარცხენეები იყვნენ, რის გამოც პატრიოტები ვერ იქნებოდნენ; მათი ერთგულება სოციალისტური იდეებისადმი კი მიჩნეულია ანტიეროვნულად და ანტირაციონალურად. ...

1918-1921 წლების ქართული სოციალ-დემოკრატიის სათანადო და თავშეკავებული კვლევა დაგვანახებდა, რომ ისინი არავისზე ნაკლები პატრიოტები არ იყვნენ; ბევრმა საკუთარი სიცოცხლე შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობას. ...არ უნდა დაიჩრდილოს ის კონსტრუქციული ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც სოციალ-დემოკრატების ისეთი ლიდერები ატარებდნენ, როგორებიც ნოე ჟორ-

---

[13] გ. ქიქოძე, ეროვნული ენერგია, თბ., 1919, გვ. 140.

[14] რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ. 25.

[15] http://www.warandpeace.ru/ru/exclusive/view/81014/

დანია, კარლო ჩხეიძე და ნოე რამიშვილი იყვნენ. ისინი თანამედროვე ქართველი ერისა და რესპუბლიკის „დამფუძნებელი მამები" იყვნენ და იმსახურებენ, რომ სამშობლოს პატრიოტ ქართველებად ახსოვდეს".[16]

„თანამედროვე ქართველი ერის დამფუძნებელ მამობაზე" ქართული სოციალ-დემოკრატიის მართლაც აღიარებულ, ხსენებულ ლიდერებს არასოდეს ჰქონიათ პრეტენზია და მათი ამ რანგში წარმოდგენა გაზვიადებულია. რაც შეეხება განახლებული სახელმწიფოს - დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, ამ საქმეში წვლილი ნამდვილად მიუძღვით და იგი იმდენად თვალსაჩინოა, რომ საპირისპიროს მტკიცება უსაფუძვლო იქნება. ამასთან, ისიც სათქმელია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლისას სოციალ-დემოკრატებს თავიანთი განვლილი გზა არ დაუგმიათ და ერთბაშად არც ადრინდელ შეხედულებებს გამოთხოვებიან. როგორც ცნობილია, მათი მსოფლმხედველობა მარქსისტულ იდეოლოგიას ეფუძნებოდა, სოციალ-დემოკრატიის პარტიული პროგრამა ეროვნულზე წინ სოციალური საკითხის გადაჭრას ითვალისწინებდა, კლასობრივ შეურიგებლობას ქადაგებდა და ნაციონალიზმს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს უპირისპირებდა. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ქართული სახელმწიფო არათუ დამოუკიდებელი, ავტონომიური ფორმითაც კი ვერ წარმოედგინათ და ამ იდეის მატარებელ ძალებს თავგამოდებით ებრძოდნენ.

ყოველივე ამის მიუხედავად, უსამართლობა იქნება სოციალ-დემოკრატებს ცილი დავწამოთ საკუთარი ქვეყნის სიძულვილში. არა, მათ უყვარდათ საქართველოცა და ქართველი ხალხიც. ოღონდ, უყვარდათ შერჩევით და თავისებურად: უყვარდათ მუშათა და გლეხთა კლასი (დემოკრატია, მშრომელი მასები), ვერ გუობდნენ თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას და გულზე არც სასულიერო წოდება ეხატებოდათ.

ამგვარი წარსულისაგან გამიჯვნა იოლი არ იყო. ყოველივე ეს უკვალოდ ვერ გაქრებოდა და არც გამქრალა. სოციალ-დემოკრატთა ადრინდელი ფსიქოლოგია და განწყობები აისახა მათი მმართველობის სტილსა და ხასიათზეც. „პარტიის პროგრამისადმი ანგარიშის გაწევა ხშირად აიძულებდა მინისტრებს, ჯანსაღი აზრის საწინააღმდეგოდ ეთქვათ უარი საჭირო და გამარ-

[16] სტივენ ჯოუნსი, პარალელები. http://sdp.ge/პარალელები.

თლებულ ღონისძიებებზე", - შენიშნავდა ფონ კრესი. ამასთან, აუცილებელია ითქვას, რომ ამ სიტყვების ავტორი შემდეგსაც დასძენდა: „მოვლენებმა მათ ძალიან მალე აუხილა თვალი თეორიასა და პრაქტიკას შორის განსხვავებაზე. ... ჩვენთვის ... საინტერესო იყო გვენახა, თუ როგორ გახდნენ იძულებულნი, რეალობის და დაკისრებული პასუხისმგებლობის სიმძიმის ზეგავლენით, ხელისუფლებით აღჭურვილი მარქსისტი თეორეტიკოსები ერთმანეთის მიყოლებით გაეწირათ თავიანთი ლოზუნგები და იდეალები".[17]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების ამგვარი ტრანსფორმაცია – პარტიული დოგმებიდან ცხოვრებით ნაკარნახევი საკითხებისაკენ შემობრუნება - სხვა წყაროებითაც დასტურდება და ეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია კიდეც. მაგალითად, საქართველოში განხორციელებული აგრარული რეფორმა, რომელმაც მიწაზე კერძო საკუთრება დააკანონა, ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ამ საკითხზე სოციალ-დემოკრატთა პროგრამულ დებულებას[18] და სხვ.

როგორც აღინიშნა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი მთავრობა (1918 წ. 26 მაისი - 1919 წ. 14 მარტი) კოალიციური იყო. მის ხელმძღვანელს მთავრობის თავმჯდომარე ეწოდებოდა. მთავრობის თავმჯდომარეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, საკანონმდებლო ორგანო ერთი წლის ვადით ირჩევდა და მას რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის სტატუსსაც ანიჭებდა.

რამ განაპირობა ნოე რამიშვილის შერჩევა ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე, მაშინ როდესაც პარტიის უპირობო ლიდერი ნოე ჟორდანია იყო? რა პოლიტიკური სტაჟი, ცოდნა-გამოცდილება და პრაქტიკული უნარები გააჩნდა ნოე რამიშვილს მთავრობის სახელმძღვანელოდ?

დავიწყოთ იმით, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის აღიარებულ მეთაურს ნოე ჟორდანიას ამ დროისათვის ეკავა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა. პარალელურად, ნოე ჟორდანია იყო

---

[17] ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გვ. 79, 83.

[18] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001, გვ. 246-247

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე (მას ექვემდებარებოდა სახალხო გვარდია) და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე. თუ ეროვნული საბჭო, პერსპექტივაში, გამიზნული იყო საკანონმდებლო სტრუქტურად ფორმირებისათვის, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, განსაკუთრებით თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ძალაუფლების ფაქტობრივად მფლობელ ერთ-ერთ რევოლუციურ ორგანოს წარმოადგენდა. ვითარებაში, როდესაც ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფოს მომავალი მკაფიოდ და ნათლად გარკვეული არ იყო, - მისი ბედი მრავალი საშინაო და საგარეო ფაქტორის ერთობლიობას გადაჯაჭვოდა, ამასთან, ზოგიერთი რევოლუციური ორგანიზაცია სახელმწიფოს იურისდიქციას არც ექვემდებარებოდა, საფიქრებელია, ნოე ჟორდანიამ ამჯობინა, ჰქონოდა რეალური ძალაუფლება, მაგრამ დარჩენილიყო მეორე პლანზე და მთავრობის მეთაურად ნოე რამიშვილი დაასახელა.

თუ თვალს გადავავლებთ ნოე რამიშვილის ბიოგრაფიას მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნამდე, დავინახავთ, რომ თავისი არა ერთი თანაპარტიელისაგან განსხვავებით, მას არ გაუვლია ცარიზმის პერიოდის პროფესიონალი რევოლუციონერისათვის ჩვეულებრივი „მრავალწლიანი კატორღისა და ციხე-გადასახლებების სკოლა“. რამიშვილს 1917 წლამდე არ უმუშავია რაიმე სამეურნეო-ადმინისტრაციულ ან სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე, მაგრამ ჰქონდა პოლიტიკური საქმიანობის ხანგრძლივი პრაქტიკა და წარმატებული პარტიული კარიერა.[19]

ნოე რამიშვილი 1881 წლის 7 დეკემბერს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ქვემო სურებში (დღევანდელი დიდი ვანი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში) დაიბადა. თავისივე სოფლის დაწყებითი სკოლისა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1901 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია და შევიდა დერპტის (ამჟამინდელი ტარტუს) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი სტუდენტობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სტუდენტურ მღელვარებებში მონაწილეობისათვის, რამიშვილი 1902 წელს უნივერსიტეტიდან გარიცხეს.

---

[19] ვ. ჩუბინიძე, მოგონება, პარიზი, 1953, გვ. 410-412.

საქართველოში დაბრუნებული მეამბოხე ახალგაზრდა უერთდება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას და მალე ამ პარტიის (რსდმპ) მენშევიკური ფრთის ერთ-ერთ ავტორიტეტულ პროპაგანდისტად გვევლინება. იგი ბათუმსა და გურიაში უნარიანად ხელმძღვანელობდა მუშათა და გლეხთა საპროტესტო გამოსვლებს. თანამშრომლობდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) გაზეთებთან „სოციალ-დემოკრატი", „სხივი", „ლამპარი" და სხვა. წერდა პარტიული ფსევდონიმებით: „პეტრე" და „ნ. სემიონოვი".[20]

1904 წლის შემოდგომაზე ნ. რამიშვილი რევოლუციური საქმიანობისათვის თბილისში დააპატიმრეს, თუმცა სასჯელს გადაურჩა: ჟანდარმებს ხელიდან დაუსხლტა, დროებით მიიმალა, მერე კი თავი დონის-როსტოვს შეაფარა და იქაურ სოციალ-დემოკრატებს დაუკავშირდა.

ნოე რამიშვილმა 1905 წელს მოახერხა სამშობლოში ჩამოსვლა და დაწყებული რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმმართველი გახდა. ამავე პერიოდიდან მკაფიოდ გამოიკვეთა მისი ორგანიზატორული საქმიანობის უნარიც. რამიშვილს, როგორც საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელს, დიდი წვლილი მიუძღვის სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის წარმატებებში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ოთხივე არჩევნებში.

1905 წელსვე ნოე დაოჯახდა, - ცოლად შეირთო თბილისელი პედაგოგი მარიამ (მარო) გოგიაშვილი. საქართველოს მომავალ პრემიერს ოთხი შვილი შეეძინა: ბენო, აკაკი, ნუცა და თამარი.

1907 წელს ნოე რამიშვილი გერმანიაში გაემგზავრა და სწავლა ლაიფციგის უნივერსიტეტში განაგრძო. მისთვის სტიპენდია ცნობილ ქართველ მეწარმესა და ქველმოქმედს, დავით სარაჯიშვილს დაუნიშნავს.[21] სტუდენტობისას რამიშვილი იურისპრუდენციის გარდა ეკონომიკურ მეცნიერებასაც ეუფლებოდა და ცოდნას ფილოსოფიაშიც იმაღლებდა. 1907 წელსვე, ლონდონში გამართულ რსდმპ V ყრილობაზე (მონაწილეობდა ბორცოვის ფსევდონიმით), იგი ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად

---

[20] http://presa.ge/new/?m=diaspora&AID=10607№

[21] თ. სიდამონიძე, ნოე რამიშვილის მუდმივი ომი წითელი ჭირის წინააღმდეგ, ჟურნ. „ისტორიანი", 2012, № 9, გვ. 26.

აირჩიეს, როგორც მენშევიკების წარმომადგენელი.[22] 1910 წელს ნოე რამიშვილს თბილისში არსებული რსდმპ კავკასიის საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში ირჩევენ. მალე იგი დააპატიმრეს და დონის როსტოვში გადაასახლეს, თუმცა პოლიტიკური საქმიანობა არც იქ შეუწყვეტია. 1913 წელს ნოე რამიშვილი ჩადის პეტერბურგში და ერთვება რსდმპ ცენტრალური ორგანიზაციის მუშაობაში, წერს სტატიებს პარტიული გაზეთებისათვის, საქმიანობს აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში.

1911 წელს თბილისში დაიბეჭდა მისი წიგნი „ისტორიული მატერიალიზმი" (ნოე ჟორდანიას წინასიტყვაობით), რომელიც ექვსი წლის შემდეგ შევსებული და შესწორებული სახით ხელმეორედ გამოიცა.[23] ნ. რამიშვილმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში ფართო ავტორიტეტი მოიხვეჭა. იგი ნოე ჟორდანიას მარჯვენა ხელად მიიჩნეოდა. მამია ბერიშვილის სიტყვით, როდესაც ჟორდანია დაპატიმრებული იყო ან იმალებოდა ანდა ევროპაში მიდიოდა, მას ყოველთვის ნოე რამიშვილი ცვლიდა. „ნოე ჟორდანია მას ენდობოდა როგორც თავისთავს".[24]

ნოე რამიშვილი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე უფრო აქტიურად წარმოჩნდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ, როდესაც ჯერ ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრის თავმჯდომარე გახდა, მერე კი გაზეთ „ერთობის" რედაქტორობა ჩაიბარა. იგი არჩეული იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, ასევე რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატად.

---

[22] ი. სიხარულიძე, ნოე რამიშვილი, თბ., 206, გვ. 34. გვხვდება თვალსაზრისი, რომ ლონდონის ყრილობაზე ნ. რამიშვილი რსდმპ ცკ-ს წევრად იქნა არჩეული (გ. შარაძე, დ. ჭუმბურიძე და სხვ.), მაგრამ უფრო სწორია დოკუმენტური წყაროთი დადასტურებული ი. სიხარულიძის ცნობა, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ.

[23] ნ. რამიშვილი სხვა წიგნების ავტორიცაა, რომლებიც ემიგრაციის პერიოდში გამოქვეყნდა: „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი" (კონატანტინოპოლი, 1922), „საქართველო და რუსეთი" (პარიზი, 1924), „დემოკრატიული სოციალიზმი" (პარიზი, 1931) და სხვ.

[24] ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1981, № 96, გვ. 41; ასევე, ო. თუშურაშვილი, ი. ჯახუა, XX საუკუნის საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, თბ., 2013, გვ. 36.

დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ, ნოე რამიშვილი ახლად შექმნილი ამიერკავკასიის სეიმის წევრი გახდა, ხოლო ამიერკავკასიის რუსეთიდან გამოყოფისა და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაარსების დროისათვის, იგი ამ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

რეგიონის მასშტაბით ფართოდ გავრცელებული ანარქიის, ქაოსისა და კრიმინალის ვითარებაში მინისტრს მოცლა არ ჰქონდა, მაგრამ იგი იმავდროულად ამიერკავკასიის სეიმსა და საქართველოს ეროვნულ საბჭოშიც ნაყოფიერად საქმიანობდა. სეიმში მას რეგიონის სამი წამყვანი ერის ტერიტორიული გამიჯვნის სპეციალური კომისიის ხელმძღვანელობა ევალა, ხოლო ეროვნულ საბჭოში სამხედრო სექციის თავმჯდომარეობა ჰქონდა მინდობილი.

რა თვისებებით გამოირჩეოდა ნოე რამიშვილი? რა ინტელექტუალური, სულიერი ან სხვა რაიმე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე?

რუსი ისტორიკოსის, ალექსანდრ ოსტროვსკის წიგნში „Кто стоял за спиной Сталина" – ჯერ კიდევ 1905 წლის მოვლენების აღწერისას, ახალგაზრდა, მაღალი და გამხდარი ნოე რამიშვილი, იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) საპირისპიროდ, მოხსენიებულია „ქარიზმატულ ქართველად", რომელიც ჭიათურელმა მუშებმა თავიანთ კუმირად გამოაცხადეს.[25]

ნოე რამიშვილის ქარიზმატულობაზე სხვა ავტორებთან ინფორმაცია არ გვხვდება, მაგრამ არის მინიშნებები მის რამდენიმე თვისებაზე: „თუ რამეს დაისახავდა მიზნად, ...არ გადათქვამდა და ბოლომდე იბრძოლებდა მის შესასრულებლად".[26] ახასიათებდა ლიდერის ბუნება, გააჩნდა მტკიცე ნებისყოფა, მებრძოლი სული, გაბედული მოქმედების უნარი; იყო ენერგიული, რისკიანი, ოპერატიული, „სიმართლის მოყვარე, უანგარო საზოგადოებრივ საქმეში და მკაცრი საქმისადმი";[27] „შეუპოვარი მიღებული გადაწყვეტილების გატარებაში. ... ყოველი ძნელი საკითხების მოგვარებაში მისგან მოელოდნენ დაბრკოლებათა დაძლევას, გადალახვას. ...მისი ხასიათის

---

[25] А. Островский, Кто стоял за спиной Сталина? М., 2002,76-77.

[26] ი. სიხარულიძე, ნოე რამიშვილი, თბ., 2006, გვ. 19-20.

[27] თ. კახელაძე-თაყაიშვილი, ბიძაჩემი ნოე რამიშვილი, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1981, № 96, გვ. 52.

მიდრეკილება იყო პირდაპირობა, უშიშრობა, პატიოსნება და ერთგულობა ეროვნული საქმის მიმართ";[28] „ფიცხი და მკაცრი კამათში - ის ყოველთვის მზად იყო კომპრომისზე წასულიყო მორიგებისა და გაერთიანებისათვის";[29] „ერთობა, ძლიერი ნებისყოფა, საღი ოპტიმიზმი, იმედიანობა და მხნეობა -...ეს იყო ნოეს სულიერი სამკაული";[30] „არც ერთ დიდ გაჭირვებაში მას სასოწარკვეთილობა არ იპყრობდა. ის არსდროს იბნეოდა";[31] „მასში ბუდობდა წყარო ინიციატივისა და ენერგიისა";[32] „ის იყო უაღრესათ კოლეგიალური კაცი";[33] „ნოე დიდი კომპრომისის და დათმობის ადამიანი იყო კოლეგიურ მუშაობაში".[34] შეეძლო სხვათა აზრის მოსმენა და არც თუ იშვიათად მათი გათვალისიწინებაც. „ის ფიქრობდა მუდამ საქმეზე. მან არ იცოდა სხვა სიამოვნება, მას არ იტაცებდა ცხოვრების არავითარი სიტკბოება, არ ეძებდა არავითარ ფუფუნებას. მას აწუხებდა ერთადერთი ფიქრი - ქვეყნის ბედი. მას ქონდა ერთი სიამოვნება, ქვეყნის სამსახური".[35]

1917 წლის ნოემბერში, როდესაც საქართველოს მომავალი პრემიერი რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატად აირჩიეს, ქართულმა იუმორისტულმა ჟურნალმა „ეშმაკის მათრახი" ნოე რამიშვილი - „დაუღალავი და ხალხისათვის თავდადებული მუშაკი" ასე დაახასიათა: „ნოე რამიშვილი მეორე ნოეა ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობისა. თუ პირველი ნოე, ჟორდანია, გავლილ რეაქციის ქარიშხალში ოსტატურათ მართავდა პარტიული გემს, ნოე რამიშვილი

---

[28] პ. სარჯველაძე, იმედი და რწმენა, წგნ. 1, პარიზი, 1977, გვ. 32-33.

[29] რ. არსენიძე, ნოე რამიშვილის ხსოვნას, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1981, № 96, გვ. 7.

[30] ნ. ჟორდანია, ნოე რამიშვილი, გაზ. „ბრძოლის ხმა", პარიზი, 1931 წ., № 19, დეკემბერი.

[31] ფ. ლორია, ნოე რამიშვილის ხსოვნისათვის (მოგონებანი), I, გაზ. „ბრძოლის ხმა", პარიზი, 1931 წ., №13, მარტი.

[32] კ. გვარჯალაძე, ნოე რამიშვილის გარდაცვალების ექვსი თვის თავი, გაზ. „ბრძოლის ხმა", პარიზი, 1931 წ., № 15, ივნისი.

[33] ნ. ჟორდანია, იდეის კაცი, გაზ. „ბრძოლის ხმა", პარიზი, 1931 წ., №11, იანვარი.

[34] კ. გვარჯალაძე, მეგობრის ხსოვნას, გაზ. „ბრძოლის ხმა", პარიზი, 1931 წ., №11, იანვარი.

[35] ნ. ჟორდანია, ჩვენი მწუხარება, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1981, № 96, გვ. 4.

მთელი თავისი ძალ-ღონით, დღიან ღამიან ცეცხლს უკეთებდა, რომ კერა არ გაცივებულიყო. ...ვინც იცნობს ნოე რამიშვილის ზეკაცურ შრომის უნარს, ვისაც უნახავს მისი თავგანწირული მუშაობა, მხოლოდ მას შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა უზომო ენერგია და საქმის სიყვარულია დამარხული ამ ხმელსა და სათუთ ორგანიზმში".[36]

გერონტი ქიქოძე გამოყოფდა საქართველოს მტრების, მათ შორის ბოლშევიკებისადმი ნოე რამიშვილის უკომპრომისო დამოკიდებულებას. წერდა: „უეჭველია, ნოე რამიშვილი სასტიკად გაუსწორდებოდა ქართველ ბოლშევიკებსაც, თუ ჟორდანიას არ შეეკავებინა და თუ საერთოდ საქართველოს მთავრობა იძულებული არ გამხდარიყო ხელშეკრულება დაედო მოსკოვის მთავრობასთან და ანგარიში გაეწია მისი მოთხოვნებისათვის".[37] მართალია, ეს შეფასება ნ. რამიშვილის შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდს ეხება[38], მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებისადმი შეურიგებლობა მისთვის მთავრობის მეთაურად ყოფნის პერიოდშიც დამახასიათებელი გახლდათ.

ნოე რამიშვილზე საუბრისას, მისი შვილი, აკაკი რამიშვილი, იმოწმებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სიტყვებს: „ნოე ჟორდანიას ადგილზე რამიშვილი რომ ყოფილიყო, 1921 წელს ჩვენ რუსებს დავამარცხებდით. ეს კაცი ისეთი ძლიერი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავსაც შესწირავდა და თავის შვილებსაც".[39]

ამ თვალსაზრისს იზიარებდა მკვლევარი ლევან ურუშაძე, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ორი ფრთის არსებობაზე მიუთითებდა. მისი აზრით, მემარჯვენე ფრთისათვის, რომელსაც მეთაურობდა ნოე რამიშვილი, „მთავარი საკითხი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები", ხოლო მემარცხენე ფრთისათვის (ლიდერი – ნ. ჟორდანია), - გადამწყვეტი იყო მარქსისტული, ვიწროპარტიული ინტერესები."[40]

---

[36] ჟურნ. „ეშმაკის მათრახი", 1917 წ., 12 ნოემბერი.

[37] გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 18.

[38] თანამედროვენი ნოე რამიშვილს ზოგჯერ „რკინის მინისტრსაც" უწოდებდნენ.

[39] ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები (1918-1921), თბ., 2006, გვ. 17.

[40] ლევან ზ. ურუშაძე, როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია", თბ., 2011, გვ. 14 .

საჭიროა აღინიშნოს, რომ ნოე რამიშვილი თავის თანაპარტიელთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აუცილებლობა ირწმუნა და 1918 წლის მაისის დღეებში ენერგიულად დაუჭირა მას მხარი[41], როგორც სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, ისე ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. ცნობილია, რომ აკაკი ჩხენკელი სწორედ ნოე რამიშვილს უგზავნიდა საიდუმლო წერილებს ბათუმის საზავო კონფერენციიდან და მას თხოვდა, დაერწმუნებინა საბჭოს სოციალ-დემოკრატი წევრები სუვერენიტეტის გამოცხადების გარდუვალობაში.[42]

ნოე ჟორდანიას სიტყვით, ნოე რამიშვილი იყო „რკინის აგებულების, ფოლადის ხასიათის, დაუშრეტელი წყარო ენერგიის, მხნეობის და თავის დადების". მისმა ამ თვისებებმა განაპირობეს, რომ „ქართველმა ერმა პირველად მასში განასახიერა თავისი თავისუფლება, პირველმა მას მიანდო ნაციონალური მთავრობის შედგენა".[43]

ნოე რამიშვილს ქართული საბჭოთა პრესა უწოდებდა „ქართველ სტოლიპინს", „კაპიტალის წმინდა წყლის აგენტს, რომელიც ყოველთვის „ჩექმებს ულოკავდა ბურჟუაზიას" და მუცლით ხოხავდა მის წინაშე".[44] ემიგრაციაში გახიზნული ნოე რამიშვილის ამ ბოლშევიკური დახასიათების ბოლო ფრაზა, არა მხოლდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი მესვეურის, არამედ მთლიანად უკვე დამხობილი ქართული რესპუბლიკის დისკრედიტაციას ემსახურებოდა. რაც შეეხება ნოე რამიშვილის შედარებას

---

41 სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში პირველად 1917 წ. დამდეგს, ლანჩხუთში, სოფელ ჯუნჯუათის კონფერენციაზე განიხილეს და მხარიც დაუჭირეს. ნ. რამიშვილი ამ გადაწყვეტილების პარტიის ფართე წრეებში გატანასა და გავრცელებას მოითხოვდა, მაგრამ ბოლოს გაიზიარა ნ. ჟორდანიასა და უმრავლესობის აზრი, შეენახათ გადაწყვეტილება საიდუმლოდ „შესაფერის მომენტამდე" (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 72-73).

42 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 132, ფურც. 1-17;

43 ნ. ჟორდანია, ჩვენი მწუხარება, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1981, № 96, გვ. 5.

44 გაზ. „კომუნისტი", 1924 წ., 25 მაისი.

რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და შინაგან საქმეთა მინისტრ პეტრე სტოლიპინთან, საბჭოთა პერიოდში, ესეც თავისებური სტიგმა იყო, რადგან სტოლიპინის სახელი რუსეთის 1905-1907 წლების სახალხო რევოლუციის ჯალათთან ასოცირდებოდა, რომელმაც შემოიღო საველე-სამხედრო სასამართლოები და ასეულობით რევოლუციონერს სახრჩობელით (როგორც მაშინ უწოდებდნენ - „სტოლიპინის ჰალსტუხით") გაუმასპინძლდა.

ნოე რამიშვილს მსგავსი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ თავისი გაბედულებითა და უშიშრობით, ბოროტმოქმედთა და კანონდამრღვევთა მიმართ გამოვლენილი სიმკაცრით, სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვა-განმტკიცებისა და რეფორმებისადმი ერთგულებით, იგი მართლაც შეიძლება პ. სტოლიპინს შევადაროთ. რუსეთის პრემიერს საქართველოს პირველი პრემიერი, სამწუხაროდ, კიდევ ერთი შტრიხითაც დაემსგავსა. ცნობილია, რომ პეტრე სტოლიპინი 1911 წელს, სიცოცხლეს მკვლელის ხელით გამოესალმა. 1930 წელს ასეთივე ხვედრი ერგო ნოე რამიშვილსაც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერი პარიზის ქუჩაში რევოლვერით განგმირა ემიგრანტმა პარმენ ჭანუყვაძემ.[45]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის დიქტატორულ მიდრეკილებას, ბოლშევიკებზე უფრო ობიექტური, მისი თანამედროვე გერონტი ქიქოძეც აღნიშნავდა. მისი სიტყვით: ნოე რამიშვილის „ხელის ენერგიული მოძრაობა, ლაკონური, მბრძანებლური სტილი და პირქუში სახის გამომეტყველება მოწმობდნენ, რომ ის დიქტატორად იყო გაჩენილი".[46] არც თუ უსაფუძვლოდ, რამიშვილის მიერ მიღებული ზომები ოპონენტებს, ზედმეტად მკაცრი ეჩვენებოდათ და მწვავედაც აკრიტიკებდნენ, განსაკუთრებით, როდესაც მისი „ბრძანებით ან მითითებით აპატიმრებდნენ ეჭვმიტანილ პირებს, კრძალავდნენ

---

[45] მკვლელი, რომელსაც საფრანგეთის სასამართლომ 10 წლით საპყრობილე და 20 წლით ქვეყნიდან გაძევება მიუსაჯა, აცხადებდა, რომ რამიშვილს ანგარიში არა პოლიტიკური, არამედ პირადი მტრობის გამო გაუსწორა. სინამდვილეში, პ. ჭანუყვაძე საბჭოთა სპეცსამსახურის მიერ იყო დაქირავებული. ქართული ემიგრანტული პრესის თანახმად, გურიაში ხალხმა გადაწვა ჭანუყვაძის სახლ-კარი (გაზ. „ბრძოლის ხმა", 1931 წ., № 17, სექტემბერი).

[46] გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, გვ. 18.

გაზეთებს, შლიდნენ მიტინგებსა და დემონსტრაციებს, ახშობდნენ ამბოხებებს".[47]

ნოე რამიშვილის დიდ გავლენაზე მიანიშნებს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ფრაზაც, რომ: „სამხედრო საბჭოში საკითხები წყდებოდა ხშირად ყოვლისშემძლებელ ნოე რამიშვილის ერთი ხმით".[48]

თუ რევაზ გაბაშვილს ვერწმუნებით, ნოე რამიშვილი „ვერაგ საშუალებებსაც არ ზოგავდა, მაგრამ, შედარებით, ადმინისტრაციის საქმე კარგად ჰქონდა აწყობილი, შინაგან საქმეთა მინისტრობისას. ...სპობდა და სჯიდა ყაჩაღებს, მაგრამ რა ექნა? სულ რომ მოესპო, საკუთარი „პარტიიდან" ნახევარი მაინც უნდა გაენადგურებინა".[49]

გენერალი გიორგი კვინიტაძე ნოე რამიშვილს „პირწავარდნილ შჩედრინისეულ გუბერნატორს" ადარებდა, რომელსაც „თავისი თვალსაზრისი აქვს და თავისებურად წყვეტს ყველა საკითხს; რასაკვირველია, ეს არ ეხება მათ პარტიასა და პარტიულ ურთიერთობებს: სხვებთან კი მისი მეთოდია დაშინება, ყოველგვარ რთულ საკითხს დაპატიმრებით წყვეტს. ...მას ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერ ბრალეულობაში შეეძლო დაედანაშაულებინა".[50]

ეს ციტატა უშუალოდ გ. კვინიტაძეს მოგონებებიდან არის დამოწმებული, აკაკი რამიშვილი კი თავის წიგნში ქართველი გენერლის ამგვარ შეხედულებას გადმოგვცემს: „ის იყო საუკეთესო პრემიერ-მინისტრი, რომელიც შესანიშნავად უძღვებოდა მთავრობის სხდომებს, იღებდა სწრაფ და მკაფიო დაგენილებებს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. მოსახლეობა პირველი მთავრობით ზედმიწევნით კმაყოფილი იყო".[51] აკაკი რამიშვილის მოწმობით, გენერალ კვინიტაძეს თითქოს ესეც უთქვამს: „ერთადერთ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს, ნოე რამიშვილს შეეძლო გაეწია საქართველოსთვის იგივე სამსახური, როგორიც პილსუდსკიმ გაუწია პოლონეთს. რამიშვილი მაშინვე უნდა გამოსულიყო მენშევიკური პარტიიდან, გამიჯვნოდა ყველა პარტიას და

---

47 დ. შველიძე, რატომ სოციალ-დემოკრატები? პირველი მთავრობის ანატომია, ურნ. „ისტორიანი", 2013, № 5, მაისი, გვ. 15.

48 გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი, 1990, გვ. 10.

49 რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წგნ-ში - დაბრუნება. მრავალტომეული, 3, თბ., 1992, გვ. 300-301.

50 გ. კვინიტაძე, ჩემი მოგონებები, I, თბ. 1998, გვ. 66;128.

51 ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები (1918-1921), თბ., 2006, გვ. 17.

აერჩია წმინდა ეროვნული ხაზი. მაშინ მთელი ქართველი ერი, ჯარი და ჩვენი ოფიცრებიც მის ირგვლივ დაირაზმებოდნენ. იგი ასე არ მოიქცა, რაც მის დიდ დანაშაულად მიმაჩნია ერის წინაშე".[52]

აკაკი რამიშვილი კიდევ ერთ საყურადღებო ფაქტს გვამცნობს, ოღონდ ყოველგვარი წყაროს მიუთითებლად. მისი სიტყვით, თითქოს „დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ, ნოე რამიშვილს ესტუმრა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დელეგაცია. მათ რამიშვილს სთხოვეს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში გადასვლა და შესთავაზეს, ურეზერვოდ, პარტიის თავმჯდომარეობა. ამით ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ნოე რამიშვილი მათ პარტიას არჩევნებს მოაგებინებდა, ხოლო ეროვნული მთავრობის შექმნით საქართველო უფსკრულში გადავარდნას გადაურჩებოდა. სამწუხაროდ, ნოე რამიშვილმა უარი განაცხადა".[53]

აღწერილი ფაქტი მოკლებულია საფუძველს და სინამდვილისაგან შორსაა. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და მისი თავმჯდომარის სპირიდონ კედიას მოღვაწეობა მონოგრაფიულად მაქვს შესწავლილი.[54] არც საარქივო დოკუმენტებში, არც პერიოდულ პრესაში და არც მემუარულ ლიტერატურაში მსგავსი ინფორმაცია არ მოიპოვება და ეს იმიტომ, რომ ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. 1919 წელს, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ, ეროვნულ-დემოკრატები თავიანთი პარტიიდან გამოყოფილ დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების (გ. ვეშაპელი) და რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა (დ. ჩიქოვანი) პარტიებთანაც კი არ გაერთიანდნენ პოლიტიკური პრინციპების შეუთავსებლობის გამო. ამდენად, მათი მხრიდან სოციალ-დემოკრატ ნოე რამიშვილისათვის ეროვნული დემოკრატიის ლიდერობის შეთავაზება წარმოუდგენელია. ეგეც არ იყოს, საკითხავია: ხანგრძლივი დროის განმავლობაში სოციალისტად ჩამოყალიბებული, იდეური მარქსისტი ნოე რამიშვილი ერთბაშად როგორ იქცეოდა ეროვნულ-დემოკრატად? ანდა, მიატოვებდა იგი თავის პარტიას, რომლის „ორგანიზაციასა და გაძლიერებაში უდიდესი წვლილი მიუძღოდა"

---

[52] ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები, გვ. 16.

[53] ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები, გვ. 27.

[54] ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002; ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002.

და „ფანატიკურად უყვარდა“?[55] ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი კაცი, თუნდაც ის ნოე რამიშვილი ყოფილიყო, როგორ მოაგებინებდა პარტიას დემოკრატიულ არჩევნებს?

რუსეთში პოლიტიკური ტერორიზმის მკვლევარი, ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორი ანა ჰეიფმანი, იმოწმებსა რა ნოე ჟორდანიას მოგონებას, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები „უარს არ ვყოფდით ტერორს, როგორც პოლიციურ ძალთა შორის პანიკის დათესვის იარაღს“,[56] - წერს: „ცნობილი მენშევიკი ნოე რამიშვილი ხელმძღვანელობდა საბრძოლო ორგანიზაციას და თვითონაც მონაწილეობდა ბომბების შეძენაში“.[57]

ცარიზმის ჟანდარმერიის მასალების მიხედვითაც, ნ. რამიშვილი, „როგორც მებრძოლი და ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ზრუნავდა ბომბების მნიშვნელოვანი რაოდენობის დამზადებაზე“. მისი მონაწილეობით დაიგეგმა თბილისის მიდამოებში ლაბორატორიის მოწყობა ასაფეთქებელი მასალებისა და ყუმბარების დასამზადებლად.[58]

„რამიშვილის შექმნილ ტერორისტულ ორგანიზაციას შეეძლო, ნებისმიერი სირთულის ტერორისტული აქტის განხორციელება“.[59]

კლასობრივი მოწინააღმდეგეების მიმართ რადიკალური მეთოდებით, მათ შორის ტერორისტული აქტებით ბრძოლა უცხო არ ყოფილა რუსეთის იმპერიაში მოქმედი სხვა არაერთი პოლიტიკური პარტიისათვისაც. ამიტომ, მეფის მთავრობის დასამხობად საბრძოლო რაზმების მეთაურობა და მათი შეიარაღების უზრუნველყოფისათვის ზრუნვა ნოე რამიშვილს რევოლუციონერობის დასტურად შეიძლება აღვიქვათ.

ზემოთ ჩვენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერის დიქტატორულ თვისებებზე ვისაუბრეთ. წყაროებში გვხვდება სრულიად განსხვავებული შეხედულებაც ნოე რამიშვილის მმართველობის სტილის შესახებ. მაგალითად, გიორგი გვაზავა

---

[55] ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები, გვ. 59.

[56] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 50

[57] Гейфман А. Революционный террор в России, 1894- 1917. Пер. с англ. Е. Дорман. М., 1997. http://www.kouzdra.ru/page/texts

[58] გაზ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1931 წ., № 17, სექტემბერი.

[59] ჟურნ. „თბილისელები“, 2013, 9 - 15 დეკემბერი, N50(676), გვ. 72

ყურადღებას მისი მართვის დემოკრატიულ ხასიათზე ამახვილებდა და წერდა, რომ: ნოე რამიშვილი მუდამ დემოკრატიის მიმდევარი იყო. „ის იყო დაუნდობელი და სასტიკი მისი ქვეყნის მტრებისათვის, ხოლო არასოდეს უღალატნია, დემოკრატიისათვის".[60]

ვალიკო ჩუბინიძის სიტყვით: „ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეებში იშვიათად მინახავს კაცი ხალხთან და მუშებთან ასე დაახლოვებული, როგორც ნოე. ის მუდამ ყურს ათხოვდა შრომის შვილთა აზრს და და ამ აზრს მეტ ფასს აძლევდა, ვინემ ინტელიგენტების ლამაზ ფრაზებს".[61]

ასეა თუ ისე, ნოე რამიშვილი შეუცვლელი კაცი იყო თავის პარტიაშიც („მის დამსახურებას მიეწერება პარტიის წყობა და ორგანიზაცია"[62]) და საქართველოს მთავრობაშიც. ამიტომაც აღნიშნავდა აკაკი ჩხენკელი: „მთელი სიმძიმე პარტიის თუ მთავრობის, ნოეს კისერზე იყო".[63] ეს გარემოება ზოგიერთ უცხოელ ავტორსაც შეუნიშნავს. ერთ-ერთი მათგანის, იტალიელი ლუიჯი მერკატელოს სიტყვით: „დღევანდელი საქართველოს მთავრობის და ხელისუფლების დასაყრდენია ნოე რამიშვილი. ... ნოე რამიშვილი არ არის არც გენიოსი და არც მაღალი კულტურის პიროვნება, მაგრამ ...აქვს შეუპოვრობის განსაკუთრებული ძალა და მორალური ენერგია. ...მძვინვარე ადამიანია, რომელსაც არ ეშინია საფრთხის და არ შეურიგდება წინააღმდეგობებს. ის ცხოვრობს ბრძოლაში. ...ის არის ადამიანი, რომელიც მუშაობს მთელი რწმენით და დიდი ეფექტიანობით ქვეყნის გადარჩენისათვის. და ეს მით უფრო საოცარია მასში, რომ მას რუსეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე არ სჯეროდა თავისი პატარა ამიერკავკასიის სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომლითაც ახლა ის მთლიანად დაკავებულია".[64] სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე გვარჯალაძეც ხაზგასმით მიუთითებდა: ნოე რამიშვილის გარდა „ჩვენს პარტიაში მე არ ვიცი მეორე

---

60 გაზ. „ბრძოლის ხმა", პარიზი, 1931, № 19, დეკემბერი.

61 გაზ. „ბრძოლის ხმა", პარიზი, 1931 წ., № 13, მარტი.

62 გ. წერეთელი, ნოე რამიშვილი, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1981, № 96, გვ. 57.

63 ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები, გვ. 59.

64 ლუიჯი მერკანტელო, სამი პიროვნება: ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, წიგნში - საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ტ. 2 (6), თბ., 1995, გვ. 88-89.

პიროვნება, რომელსაც ისეთი უფლებით შესძლებოდა ეთქვა ჩვენი პარტიის შესახებ, რომ ეს ჩემი პარტიააო".[65]

ნოე რამიშვილმა მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე სულ რაღაც ერთი თვე დაჰყო, მაგრამ ამ მცირე დროშიც კი ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ერშიც და სოციალ-დემოკრატიულ პარტიაშიც დამოუკიდებლობის სულისკვეთებას ემძლავრა და მისი რწმენა განმტკიცებულიყო.

გიორგი წერეთლის სიტყვით: „გახდა რა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დროებითი მთავრობის თავმჯდომარე, ნოე რამიშვილი აღარ ეკუთვნის მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ის, აგრეთვე, შევიდა და დამკვიდრდა საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა პანთეონში. შეიძლება ზოგს ის მოსწონდეს, ზოგს არა, ასეთია ბედია პოლიტიკური მოღვაწისა, მაგრამ აღარავის ძალუძს მისი იქიდან გამოდევნა".[66]

---

[65] კ. გვარჯალაძე, მეგობრის ხსოვნას, გაზ. „ბრძოლის ხმა", პარიზი, 1931 წ., №11, იანვარი.

[66] გ. წერეთელი, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1981, № 96, გვ. 27.

სახელმწიფო საზოგადოებაში წესრიგისა და სტაბილურობის დამცველი ინსტიტუტების ერთიანობაა. მათ შორის მოიაზრება: ბიუროკრატია, შეიარაღებულ ძალები, პოლიცია, სასამართლო, სოციალური დაცვის სისტემა და სხვ.

ნებისმიერი ქვეყნის მართვის სიმძიმე უმთავრესად ბიუროკრატიულ აპარატზე მოდის, რომელიც ყოველგვარი ფორმის სახელმწიფოს შეუცვლელი ფენომენია. „ბიუროკრატია" ჩინოვნიკთა ძალაუფლებას ნიშნავს. თავიდან ამ ტერმინს დამამცირებელი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი დღესაც საქმის გაჭიანურებასთან, არაეფექტურობასა და დროის ფლანგვასთან ასოცირდება. მაგრამ იმავდროულად, ბიუროკრატია გულმოდგინების, სიზუსტისა და ეფექტური ადმინისტრირებების მოდელადაც არის მიჩნეული.

ლუდვიგ ფონ მიზესის სიტყვით, ბიუროკრატი პედანტურად იცავს მკაცრ წესებსა და მითითებებს. მაგრამ ასეთი წესები აუცილებლია, როგორც სახელმწიფოებრივ საქმეთა წარმოების საშუალება, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისა და დესპოტური თვითნებობისაგან მოქალაქეთა დაცვის მექანიზმი.[67]

ამგვარი ბიუროკრატიის ფორმირება აუცილებელი იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც. დიდი მიხვედრა არ ჭირდება, რომ ქვეყანას, რომელმაც სახელმწიფოებრივი არსებობის 117 წლოვანი წყვეტა განიცადა, კვალიფიციურ სახელმწიფო თუ მუნიციპალურ მოხელეთა კადრი ვერ ეყოლებოდა. სრულფასოვან მენეჯერთა, მაღალი თუ საშუალო რგოლის საჯარო სამსახურის მუშაკთა დეფიციტი ყველა სფეროში საგრძნობი იყო.

გენერალი ფონ კრესი თავის მოგონებებში ხაზს უსვამს, რომ საქრთველოს მთავრობის წევრებსაც აკლდათ სახელმწიფო საქმეების გაძღოლის უნარ-ჩვევები. „გამოცდილი რუსი მოხელეები დაუყოვნებლივ განდევნეს და ისინი მოუმზადებელი მმართველებით შეცვალეს, რომლებიც მცირე გამონაკლისის გარდა, თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ვერ ასრულებდნენ. როგორც ყოველი რევოლუციისას ხდება ხოლმე, მათი შერჩევის დროს გადამწყვეტი იყო არა იმდენად ვარგისიანობა და უნარი, არამედ

[67] Л. Мозес, Бюрократия, М., 2006, გვ. 98.

უფრო მეტად მათი პოლიტიკური პოზიცია,"[68] - ხაზს უსვამს მემუარისტი.

რუსი მოხელეების საქართველოდან გაშვების ფაქტს კრესის გარდა სხვა წყაროშიც ვხვდებით, სადაც აღნიშნულია: ,,საერთოდ ქართულ სამსახურში რუსები ძალიან ცოტანი იყვნენ და ამიტომ რუსთა უმრავლესობა გადავიდა ბაქოში".[69]

საპირისპიროს გვამცნობს რევაზ გაბაშვილი. მისი სიტყვით: საქართველოში ნდობით აღჭურვილნი იყვნენ უამრავი „შატილოვ, ვიშინსკი, ივანოვ, ლევანდოვსკი, დეევ, სოკოლოვსკი, კულიბეკოვ, შაგალოვ, კარატაროვ, ვინჩენკო და სხვა რუსები".[70]

რევაზ გაბაშვილი აჭარბებს. მართალია, რუსი და სხვა არაქართველი ეროვნების ადამიანები იყვნენ დასაქმებული ახალ სახელმწიფო ინსტიტუციებში, მაგრამ არა უზომო რაოდენობით.

ამ კუთხით პირველი შენიშვნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს უპარტიოთა კავშირის ლიდერმა კოტე აფხაზმა ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისში მისცა, როდესაც ეროვნული საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „ამა თუ იმ ადგილზე უნდა ნიშნავდნენ მცოდნე სპეციალისტებს და არა პარტიულ ამხანაგებს".

კოტე აფხაზის შენიშვნას ნოე რამიშვილმა ასე უპასუხა: „აქ გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ არ მოვახდინეთ დაწესებულებების ნაციონალიზაცია და ვერ გავაძევეთ რუსები: ჩვენ მიზნათ გვაქვს სახელმწიფოს შექმნა. ეს კი მოითხოვს დიდ გამოცდილებას და დროს, ამიტომ დღესვე შეუძლებელია მცოდნე პირების ჩამოშორება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სხვა ეროვნებას ეკუთვნის".[71]

თავდაპირველად, როდესაც მართლაც ჭირდა გამოცდილ სახელმწიფო თუ მუნიციპალურ მოხელეთა პოვნა და არც მათი სწრაფი გადამზადების საშუალება იყო, საქართველოს მთავრობამ, განსაზღვრული დროით, თანამდებობები შეუნარჩუნა წინა

---

[68] ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გვ. 78.

[69] http://www.warandpeace.ru/ru/exclusive/view/81014/

[70] რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წგნ-ში - დაბრუნება. მრავალტომეული, 3, თბ., 1992, გვ. 201.

[71] გაზ. „ერთობა", 1918 წ., 18 ივნისი.

პერიოდის ჩინოვნიკთა გარკვეულ რაოდენობას.[72] შემდეგში მათი უმეტესობა თანდათან ჩამოაცილეს სახელმწიფო სამსახურს. უნდა ითქვას, რომ მეფის რუსეთის სახელმწიფო მოხელეთა მაღალ საპასუხისმგებლო პოსტებზე დატოვებას, თუნდაც მათი პროფესიონალიზმის გამო, ყოველთვის როდი ეძებნება გამართლება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით ყალიბდებოდა სულ სხვა, რუსეთის კოლონიური უღლისაგან თავდაღწეული ქართული სახელმწიფო, რომლის მოხელეთა აპარატი ძველ იმპერიულ კონტიგენტს ვეღარ დაეყრდნობოდა. ამიტომ საქართველოს ახალ მესვეურთა გამტყუნება ამ საკითხში სწორი არ იქნება. თუმცა ქართველი სოციალ-დემოკრატები კადრების შერჩევაში ნამდვილად ცოდავდნენ, როცა მოხელეთა აბსოლუტურ უმრავლესობას მხოლოდ თავიანთ პარტიასა და თანამოაზრეთა წრეებში არჩევდნენ. სამწუხაროდ, ამგვარი რამ მხოლოდ მათთვის როდი იყო დამახასიათებელი. თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელმეორედ აღდგენის შემდგომ, 1991 წლიდან დღემდე განვლილ ოცდახუთწლიან ისტორიას, აღმოვაჩენთ რომ, ყველა ხელისუფლება, ამჟამინდელის ჩათვლით, ასე მოიქცა: სახელმწიფო სტრუქტურების დაკომპლექტებისას გამოცდილებასა და კომპეტენციაზე მაღლა პიროვნებათა პარტიული კუთვნილება, პირადი ერთგულება ან ნეპოტიზმი დააყენა.

ახლად შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ აქცენტი მცირერიცხოვანი, მაგრამ მობილური სახელმწიფო აპარატის ფორმირებაზე აიღო. მთავრობის სამეთთა მმართველად დაინიშნა ს. ჯაფარიძე,

---

[72] დამახასიათებელია ასეთი მაგალითი: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის დირექტორმა ი. კელარევმა, რომელსაც ეს თანამდებობა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობაშიც ეკავა, გადაწყვიტა დაეტოვებინა პოსტი, რადგან ვერ ფლობდა ქართულ ენას და ქვეყნის ფარგლებს გარეთ უკეთესი შეთავაზებაც მიიღო. კელარევის კომპეტენციიდან გამომდინარე, მთავრობამ დაადგინა, დაეტოვებინათ იგი სამსახურში და მატერიალური სტიმულირების მიზნით ხელფასზე დანამატიც დაენიშნათ, წლიურად 3 ათასი მანეთის ოდენობით (სცსსა, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 1, ფურც. 25).

ხოლო მოადგილედ მ. მღვდლიშვილი,[73] რომლებმაც პრემიერ ნოე რამიშვილთან ერთად დიდი ძალისხმევა მოიახმარეს მოკლე დროში სათანადო კანცელარიისა და ადმინისტრაციის შექმნას. პავლე სარჯველაძის სიტყვით: ნოე რამიშვილის „პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი შემოქმედების ნიჭის, უნარის გამოვლინება იხატებოდა ნორჩ რესპუბლიკის აპარატის მკვიდრად ჩამოყალიბებაში".[74] რაჟდენ არსენიძეც იგივეს ადასტურებს, წერს: ნოე რამიშვილი იყო „დიდი სახელმწიფოებრივი შემოქმედების ადამიანი, რომელიც მაგარი ხელით, დიდი ორგანიზატორული ნიჭით უყრიდა მკვიდრ და მყარ საფუძველს საქართველოს დემოკრატიულ აპარატს, დემოკრატიული სულით გაუღენთილს".[75]

მთავრობის წევრები ეცნობოდნენ და სწავლობდნენ სხვა, დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებას, ბევრი რამ შვეიცარიის, საფრანგეთის სინამდვილიდან გადმოჰქონდათ, თუმცა ცდილობდნენ ეს პროცესი რამდენადმე ქართული რეალობისათვისაც შეესაბამებინათ. რაკი ახალი სამინისტროები ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამის უწყებათა ბაზაზე ყალიბდებოდა, მინისტრებმა მიიღეს დავალება, შეემცირებინათ კადრები და მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად დროულად წარმოედგინათ სამინისტროთა რეორგანიზაციის პროექტები.

ასეთი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ერთ-ერთმა პირველმა განათლების სამინისტრომ მოამზადა. სამინისტრო 3 განყოფილებას აერთიანებდა: 1. უმაღლესი და საშუალო სკოლების; 2. სახალხო სკოლებისა და 3. საპროფესიო სკოლების. მინისტრისა და მისი მოადგილის ჩათვლით, სამინისტროს აპარატი სულ 39 თანამშრომელს მოითვლიდა, წლიური ბიუჯეტი კი 1918 წლისათვის 328 400 მანეთი იყო.[76]

სამხედრო სამინისტროში ფუნქციონირებდა 6 განყოფილება: საერთო, პირადი შემადგენლობის, გენერალური შტაბის, საადმი-

---

[73] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 1, ფურც. 24.

[74] პ. სარჯველაძე, რწმენა და იმედი, წგნ. 1, პარიზი, 1977, გვ. 32.

[75] რ. არსენიძე, ნოე რამიშვილის ხსოვნას, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1981, № 96, გვ. 6.

[76] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 257, ფურც. 27; 32;

ნისტრაციო, სამხედრო-სასანიტრო და სამხედრო-საბეითლო.[77] კიდევ უფრო მცირე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული სტრუქტურების რიცხვი. მოქმედებდა ცენტრალური სამმართველო, საქველმოქმედო, ჯანდაცვის, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებები და განსაკუთრებული რაზმი. ეს რაზმი, რომელშიც თავდაპირველად 800 მილიციელი შედიოდა და შემდეგ გასამმაგდა, „ძარცვის, სპეკულიაციისა და კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ" საბრძოლელად შეიქმნა. მასვე ევალებოდა ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაც.[78]

საგულისხმოა, რომ მთავრობამ, არსებული ვითარებისა და რესპუბლიკის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ოპტიმალურად განსაზღვრა მინისტრებისა და მათი მოადგილეების სახელფასო განაკვეთი. მინისტრებს თვეში 1500 მანეთი, ხოლო მოადგილეებს 1350 მანეთი დაენიშნათ. პარალელურად, განისაზღვრა „წარმომადგენლობით ხარჯებიც: პრემიერსა და ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ამ მიზნით წლიურად 15 ათასს 15 ათასი მანეთი, ხოლო სამხედრო და საგარო საქმეთა მინისტრებს - ათ ათი ათასი მანეთი გამოეყოთ.[79]

1918 წელს შექმნილი ქართული სახელმწიფო, მისი მწირი ბიუჯეტით, ვერ იქნებოდა და არც ყოფილა კეთილდღეობის სახელმწიფო. როგორც ცნობილია, კეთილდღეობის სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა მოქალაქეთა სოციალურ კეთილდღეობაზე კისრულობს პასუხიმგებლობას და უმთავრეს საზრუნავად სოციალური უსაფრთხოების, ჯანდაცვის, განათლების და სხვა მსგავს სფეროებს მიიჩნევს.

ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობას არ დავიწყნია, როგორც თვითონ

---

[77] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 115.

[78] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანაწ. 1, საქმ. 54, ფურც. 2; ასევე, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 2, ფურც. 26; ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 79, ფურც. 16-21; ასევე, ო. თუშურაშვილი, ი. ჯახუა, XX საუკუნის საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, თბ., 2013, გვ. 14.

[79] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 1, ფურც. 38; ასევე, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 38, ფურც. 15.

უწოდებდა, სახელმწიფოს მთავარი დასაყრდენი ძალა - დემოკრატია. დაიწყო მზადება ახალი სოციალური კანონებისა და დეკრეტების შესამუშავებლად, რომლებიც მუშათა უფლებებს უზუნველყოფდნენ.

სოციალ-დემოკრატიის მესვეურთა თვალსაზრისით, „დემოკრატია არსებობს იქ, სადაც თვითეული მოქალაქე არის ერთ და იმავე დროს სუვერენი და ქვეშევრდომი, ბრძანებელი და ბრძანების ამსრულებელი. ის, როგორც სუვერენი, კანონმდებელია, აღმასრულებელია, მოსამართლეა; როგორც ქვეშევრდომი - კანონის მორჩილია, განჩინების და სასჯელის მიმღებია".[80]

სახელმწიფოებრივი მშენებლობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სწორედ ამგვარად გაგებულ დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნებოდა, ხალხის ნების უზენაესობას, საზოგადოების სამოქალაქო ჩართულობას და სხვა დასავლურ ღირებულებებს ანგარიში ეწეოდა, თუმცა იყო გადახრებიც და არც თუ იშვიათად, მოხელეთა კანონზე აღმატების შემთხვევებიც. ხშირი იყო კრიმინალური ფაქტები, რომლებშიც არც თუ იშვიათად სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლებსაც ამხელდნენ. მთავრობა და მისი ქვეუწყებები ჯერ კიდევ ვერ შელეოდნენ მართვის რევოლუციურ მეთოდებს. სასამართლოს ან პროკურორის სანქციის გარეშე, დასმენის საფუძველზე აპატიმრებდნენ მოქალაქეებს, ჩხრეკდნენ ოჯახებსა და დაწესებულებებს, ართმევდნენ ქონებას, საქონელს და საცხოვრებელ ბინებსაც კი. ოპოზიციური პრესა და ზოგჯერ ოფიციოზიც, მიუთითებდნენ კორუპციის, სახელმწიფო ქონების მითვისების, ასევე, სხვა მანკიერებათა შესახებ და მთავრობას მათი დროული აღმოფხვრისაკენ მოუწოდებდნენ.

ცენტრალური ხელისუფლება ებრძოდა ყოველგვარ დარღვევას როგორც ადმინისტრაციის, ისე თვითმმართველობის წარმომადგენელთა მხრივ, მაგრამ ზოგან, განსაკუთრებით პროვინციებში, არათუ პირველ ხანებში, 1919 წლისთვისაც კი მდგომარეობა სავალალო იყო. მაგალითად, ერთი ოფიციალური ცნობის თანახმად, ბორჩალოს მაზრის სოფლებში „დემოკრატიზმი ძლივს შეიმჩნევა. კომისრების, გვარდიელების, ოფიცრების, მილიციონერების, ზოგიერთი ერობის მუშაკისა და ჩინოვნიკის

---

[80] ნ. ჟორდანია, დემოკრატიზმი, პარიზი, 1933, გვ. 6.

საქმიანობა აღწერას არ ექვემდებარება. ...პატარა მეფეებივით იქცევიან".[81]

ადგილებზე მდგომარეობის უკეთ გაცნობისა და რეაგირების მიზნით დროდადრო იგზავნებოდა მთავრობის, ცალკეული უწყების ან ეროვნული საბჭოს მიერ შექმნილი კომისიები. არსებობდა ცნობების მიღების სხვა წყაროებიც, მაგრამ ხელისუფლებამ, სახელმწიფოებრივ საქმიანობაში პერიოდული პრესის განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჭიროდ მიიჩნია საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს დაარსება. ყოველდღიური გაზეთი იმ დროს ინფორმაციის სწრაფი გავრცელების, მოსახლეობასთან კომუნიკაციის საგულისხმო საშუალება იყო. ამით უნდა აიხსნას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას, ნ. რამიშვილის ინიციატივით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მთავრობის ოფიციოზის - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" დაარსების შესახებ.[82]

მართალია, პოლიტიკურ პარტიებს გააჩნდათ თავიანთი პერიოდული გამოცემები, მაგრამ ისინი უმთავრესად პარტიული იდეოლოგიებისა და მათი პროპაგანდის სამსახურში იდგნენ. სამთავრობო გაზეთის დაარსების მიზანი სახელმწიფო ინსტიტუციების საქმიანობის გაშუქება, ზოგადად, აღმასრულებელი ხელისუფლების მოღვაწეობის შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება იყო.

---

[81] ა. კაჭარავა, ა. დაუშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 1918-1921, თბილისი-ატლანტა, 2012, გვ. 75.

[82] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 1, ფურც. 4;. ასევე, ფ. 1861, ანაწ. 1, საქმ. 130, ფურც. 14. ახალი გამოცემა გაუქმებული გაზეთის - „Кавказ"-ის ბაზაზე ჩამოყალიბდა. „საქართველოს რესპუბლიკის" პირველი ნომერი 1918 წლის 15 ივლისს პავლე საყვარელიძის რედაქტორობით გამოიცა, - უკანასკნელი ნომერი კი დათარიღებულია 1921 წლის 24 თებერვლით.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისთანავე მთავრობის თავმჯდომარემ ახალი ქართული სახელმწიფოს დაბადება დაუყოვნებლივ აცნობა გარე სამყაროს. ბერლინში, სტამბოლში, პარიზში, ვენაში, ლონდონში, რომში, ვაშინგტონში, მოსკოვში, სოფიაში, ტოკიოში, ბუქარესტში, თეირანში, მადრიდში, ჰააგაში, კიევში, სტოკჰოლმში, ქრისტიანიასა და კოპენჰაგენში საგარეო საქმეთა მინისტრებს ამგვარი დეპეშა გაეგზავნათ:

„საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება.

გატყობინებთ რა ამას, მაქვს პატივი ვაუწყო თქვენს აღმატებულებას და გთხოვთ აცნობოთ თქვენს მთავრობას.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოე რამიშვილი“.[83]

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პირველმა პრემიერმა პრემიერობის პირველი ორი დღე თბილისიდან ფოთის გზაზე და უკან, მატარებელში გაატარა. იგი ამ შავიზღისპირა ქალაქში გერმანიის საიმპერიო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ხელშეკრულების ხელმოსაწერად გაემგზავრა.

მოლაპარაკება საქართველოსა და გერმანიის დელეგაციებს შორის ფოთის ნავსადგურში, გერმანულ ხომალდზე „Mina Horn“ გაიმართა. გემბანზე ასულ დამოუკიდებელი საქართველოს პრემიერს სალუტით მიესალმნენ. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გაფორმდა „დროებითი შეთანხმება გერმანიასა და საქართველოს შორის წინასწარ ურთიერთ განწყობილების დამყარების შესახებ“. დოკუმენტი ხუთ პუნქტს შეიცავდა და განსაზღვრავდა უმთავრესს; „ა) გერმანიის მთავრობა ფაქტობრივად სცნობს საქართველოს მთავრობას და ბ) მყარდება ომის განმავლობაში საქართველოს რკინიგზებზე გერმანიის ზედამხედველობა“.[84]

---

[83] გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 28 მაისი; ასევე, Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, გვ. 338.

[84] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1796, ანაწ. 1, საქმ. 85, ფურც. 1-9; ფ. 1864, ანაწ. 1, საქმ. 28, ფურც. 1-12; ასევე, ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 93.

დაიდო კიდევ ორი დამატებითი შეანხმება. პირველი არეგულირებდა სავალუტო ურთიერთობას და საქართველოში გერმანული მარკის მიმოქცევაში დაშვებას შეეხებოდა. გათვალისწინებული იყო საქართველოსათვის სესხის გამოყოფა, რომელიც რკინიგზისა და ფოთის ნავსადგურის ექსპლუატაციით მიღებულ შემოსავლებს უნდა დაეფარა. გერმანულ მხარეს ენიჭებოდა საქართველოში ნედლეულის შესყიდვისა და გაზიდვის უპირატესი უფლება. თავის მხრივ, გერმანია კისრულობდა საქართველოში მზა საქონლისა და ნახევარ ფაბრიკატების, აგრეთვე კვების პროდუქტების შემოტანას.[85]

მეორე დამატებითი შეთანხმება საქართველოში გერმანული ახალშენებსა და გერმანელ კოლონისტებს შეეხებოდა და გერმანიას უფლებას ანიჭებდა, მოსარჩლეობა გაეწია მათთვის.[86]

მიღწეულ შედეგებს საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა: გერმანიამ ცნო საქართველო როგორც სუვერენული სახელმწიფო და აღკვეთა მისი ოსმალეთის მხრიდან ოკუპაციის საფრთხე.

29 მაისს ნოე რამიშვილი თბილისში დაბრუნდა და მოხსენებით წარსდგა ეროვნული საბჭოს წინაშე. საბჭომ კმაყოფილება გამოხატა მიღწეულის გამო და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია: „მოისმინა რა მთავრობის ცნობა გერმანიასთან მოლაპარაკების შესახებ, საქართველოს ეროვნული საბჭო ადასტურებს მთავრობის ნაბიჯებს, სრულიად დარწმუნებული, რომ მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად“.[87]

თუ გერმანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ეროვნული თავისუფლების, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების იმედს იძლეოდა და მასზე ხელმომწერ საქართველოს პრემიერს ოპტიმიზმის საფუძველს უჩენდა, იგივეს ვერ ვიტყვით რამდენიმე დღის შემდეგ, კერძოდ, 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე.

---

[85] მ. დღვილავა, საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობა 1918 წელს, თბ., 1996, გვ. 4-5.

[86] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, გვ. 94.

[87] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 43, ფურც. 8.

ოსმალეთის დელეგაციის წევრები (ხალილ-ბეი, ვეჰიბ -ფაშა და სხვ.) გაბრაზებული იყვნენ ქართველებზე იმის გამო, რომ მათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ისინი წყენას არც თავიანთი მოკავშირე გერმანელების მიმართ მალავდნენ, რადგანაც კაიზერის წარმომადგენლებმა საქართველოსთან შეთანხმება გააფორმეს და ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვა იკისრეს. მდგომარეობა მძიმე იყო. ოსმალები ჯერ კიდევ 25 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციისათვის წაყენებული ულტიმატუმის შესრულებას მოითხოვდნენ, რომლის თანახმად, საქართველოს ბათუმისა და არტაანის გარდა, დამატებით, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებიც უნდა დაეთმო. ნოე რამიშვილი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას იშველიებდა, გერმანელების მხარდაჭერის იმედით, მოლაპარაკებას აჭიანურებდა, დრო გაჰყავდა და ულტიმატუმის მიღებას გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა. პრემიერი ცდილობდა ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ნაწილი მაინც შეენარჩუნებინა ისე რომ უმთავრესი სტრატეგიული პუნქტები საქართველოს დარჩენოდა. თურქები უკან დახევას არ აპირებდნენ და იმუქრებოდნენ. ჯარის ახალი ნაწილები საქართველოს საზღვრებისაკენ დაძრეს და არტილერიაც ფრონტის ხაზს მიუახლოვეს. საბრძოლო მოქმედებების განახლებას ბევრი არაფერი აკლდა.

ნოე რამიშვილი საღად აფასებდა შექმნილ სიტუაციას, მოელოდა ომის გაჩაღებას და საიდუმლო დეპეშით თბილისში საქართველოს მთავრობის წევრებს მზადყოფნისაკენ მოუწოდებდა, წერდა: „აბა, თქვენ იცით. თუ ცოტას გავძლებთ, მერე გერმანია მოგვეშველება“-ო.[88] ომი უძალო ქვეყნისათვის უფრო დიდი განსაცდელი იყო. ქართული მხარე დათმობის გზას დაადგა. 1918 წლის 2 ივნისით დათარიღებულ, თბილისში გაგზავნილ ახალ დეპეშაში ნოე რამიშვილი შემდეგნაირად აღწერდა მოლაპარაკების შედეგებს:

„ჩვენი ორი მაზრის შესახებ ულტიმატუმი პრინციპიალურად მივიღეთ, მარა დავურთეთ რომ გამიჯვნის დროს დაცული იქნება ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები. ...შევინარჩუნებთ ახალქალაქის მაზრის ნახევარზე მეტს და ახალციხიდან დავკარგავთ თვით ახალციხეს და შარაგზას ახალციხე-ახალქალაქის. სტრატე-

---

[88] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861. ანაწ. 2, საქმ. 15, ფურც. 2-3; ასევე, დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები. წერილები, თბ., 2012, გვ. 125.

გიული პუნქტები ჩვენს ხელში დარჩება. თუ ეს მოხერხდა (დაგვრჩება ზეკარის უღელტეხილი, აბასთუნანი და აწყურის რაიონი) ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ხელისმოწერა, მარა აქვე ვიტყვით, რომ ვდგავართ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ნიადაგზე და ამას ვუყურებთ, როგორც საზღვრების შესწორებას. ეს საშუალებას მოგვცემს, პოზიცია პრინციპიალურად არ დავთმოთ".

პრემიერი მთავრობის წევრებს სთხოვდა, ეცნობებინათ თავიანთი „გადაჭრილი აზრი" და დელეგაციისათვის მიეცათ გარკვეული ინსტრუქცია. „ისე მე ნაბიჯს არ გადავდგამ"-ო აღნიშნავდა იგი, დასასრულს კი დასძენდა: „ჩვენ ვეცდებით ეს პრელიმინარულ ხელშეკრულებათ მივიჩნიოთ, რომ საშუალება გვქონდეს გერმანიის დახმარებით შევასწოროთ".[89]

ნ. რამიშვილმა კაბინეტის სრულად ინფორმირების მიზნით, დელეგაციის ერთ-ერთი წევრი გრიგოლ რცხილაძე საგანგებოდ გამოგზავნა თბილისში. 1918 წლის 4 ივნისს გ. რცხილაძემ საქართველოს მთავრობას გააცნო მოლაპარაკების მიმდინარეობა და მომავალი ზავის პირობები.[90]

ოსმალეთ-საქართველოს მოლაპარაკებები 1918 წლის 4 ივნისს დასრულდა და იმავე დღეს ხელი მოეწერა „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებას". ამ 12 პუნქტის შემცველი ხელშეკრულების ძალით, ოსმალეთს, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მისთვის მიკუთვნებული ბათუმისა და არტაანის გარდა, დამატებით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც უნდა დათმობოდა (აბასთუმნისა და აწყურის გამოკლებით).

ხელშეკრულებას ჰქონდა სამი დანართი, რომლებიც ოსმალეთ-საქართველოს შორის ვაჭრობის, თავისუფალი ტრანზიტის, ასევე, საქართველოში მუსლიმი სასულიერო პირების უფლებამოსილების გაზრდას (ქრისტიანი სამღვდელოების უფლებებთან გათანაბრებას) ითვალისწინებდა.

დამატებითი დროებითი ხელშეკრულებით, საქართველომ ივალდებულა ჯარის დემობილიზაცია, ოსმალეთთან მეომარი ქვეყნების

---

[89] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861. ანაწ. 2, საქმ. 15, ფურც. 508; ასევე, დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები. წერილები, გვ. 127-128.

[90] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861. ანაწ. 3, საქმ. 1, ფურც. 20.

ოფიცერთა და სახელმწიფო მოხელეთა საქართველოდან გაძევება, ოსმალეთის ჯარების გადასაადგილებლად და საჭურვლის გადასაზიდად რკინიგზების დათმობა და სხვ. სარკინიგზო სადგურებში უნდა მოწყობილიყო ოსმალეთის სამხედრო წარმომადგენლობები.

დამატებითი ხელშეკრულების დანართი შეეხებოდა ორ ქვეყანას შორის ტყვეთა გაცვლის საკითხს, რაც ერთი თვის ვადაში უნდა დასრულებულიყო. ერთი თვის ვადა იყო აგრეთვე დათქმული მთლიანი ხელშეკრულების რატიფიკაციისათვისაც.[91]

ხელშეკრულების პირობებში, რომელიც საქართველოსათვის, რა თქმა უნდა, საზიანო იყო,[92] მაინც აისახა ქართული დელეგაციის შესწორებები და აბასთუმანი და აწყური საქართველოს იურისდიქციაში დარჩა. მიღწეული შეადგენდა მაქსიმუმს, რაც ძალთა უთანასწორობის პირობებში დიპლომატიური საშუალებით იყო შესაძლებელი და საქართველოს პრემიერმა დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ეს შეძლო.

საქართველოს მთავრობა დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა სამხრეთ კავკასიის მეზობელ სახელმწიფოებთან - აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან მშვიდობიანი და პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, ჯერ კიდევ დამოუკიდებლობამდე შექმნილმა საზღვრების გამიჯვნის კომისიებმა უფრო გააცხოველეს მუშაობა, თუმცა პრობლემის გადაჭრა დიდ დროს მოითხოვდა და იგი ნოე რამიშვილის პრემიერობის პერიოდში არ დასრულებულა.

---

[91] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, 343-360.

[92] 1918 წ. 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულება ოფიციალურად ძალაში არ შესულა (მისი რატიფიცირება არ მომხდარა), მაგრამ ოსმალურ ოკუპაციას „სამაჰმადიანო საქართველოდან" მოსაზღვრე ქართულ რაიონებში 60 ათასი ლტოლვილის გახიზვნა მოჰყვა. მარტო ბათუმიდან დევნილთა რიცხვი 20 ათას კაცს მოითვლიდა. ოსმალეთის ხელისუფლებამ მიტაცებულ ტერიტორიებზე რეფერენდუმი ჩაატარა და, მნიშვნელოვანი დარღვევებით, მისთვის სასურველი შედეგიც მოიპოვა, თუმცა, პირველ მსოფლიო ომში დამაცხების გამო, იძულებული გახდა ამ სივრცეს სასწრაფოდ გასცლოდა.

თვითმპყრობელობის დამხობისთანავე, როდესაც ძველი ხელისუფლება მოიშალა და ახალი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში იმყოფებოდა, რუსეთის იმპერიის ბევრ კუთხეში და მათ შორის საქართველოს სოფლებსა და ქალაქებშიც ანარქიამ იმძლავრა. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ოზაკომმა და ამიერკავკასიის კომისარიატმა წესრიგის აღდგენა ქალაქებში უფრო მალე მოახერხეს, ვიდრე სოფლად.

უმთავრესად აგრარულ ნიადაგზე აზვირთებულ გლეხთა გამოსვლებს ჰქონდა როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური ხასიათიც. პროტესტის სოციალურ საფუძველს გლეხობის უკიდურესი გაჭირვება და საარსებოდ გაუსაძლისი პირობები წარმოშობდა. პოლიტიკურ სარჩულს კი გლეხთა მოძრაობას ის მხარდაჭერა სძენდა, რომელსაც მას საბჭოთა რუსეთის მეხუთე კოლონა და მისი მთავარი ძალა - ბოლშევიკური ორგანიზაციები უწევდნენ. ამ უაღრესად რთული რეალობის შეცვლას დრო და კარგად გააზრებული პოლიტიკა ჭირდებოდა. ამიერკავკასიის კომისარიატმა შეიმუშავა საადგილამულო რეფორმის პროექტი, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარება გაჭიანურდა. 1918 წლის ადრე გაზახულზე ლეჩხუმის მაზრაში, საჩხერეში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და შიდა ქართლში გლეხთა ამბოხებები გახშირდა. „გლეხურ ვანდეად"[93] წოდებული ამ მოძრაობის აღსაკვეთად წითელი გვარდიის რაზმები გამოიყენებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დროისათვის ხსენებული მღელვარებები მეტ-ნაკლებად დამცხრალი იყო, თუმცა უკმაყოფილება ბოლომდე ვერ აღმოიფხვრა.

ღარიბ-ღატაკი სოფლის მოსახლეობა საკუთარი მძიმე მდგომარეობის გამოსწორებას სახელმწიფოსაგან მოელოდა, მაგრამ ახლად დაარსებულ რესპუბლიკას და მის მთავრობას არ გააჩნდა სათანადო რესურსი პრობლემის სწრაფი და ეფექტური გადაჭრისათვის. გლეხობამ აღარ დაუცადა იმის გარკვევას, სახელმწიფოს პასიურობას ჰქონდა თუ არა ობიექტური საფუძველი და ამჯობინა თავისი გასაჭირი თვითონვე მოეგვარებინა - ხელში იარაღი აიღო და „ნაძარცვის ძარცვას" შეუდგა. „ნაძარცვის ძარცვა" ბოლშევიკური ლოზუნგი იყო და სიმდიდრის რევოლუციურ გადანაწილებას ანუ მიწისა და ქონების მფლობელი

[93] გაზ. „ერთობა», 1918 წ., 30 ივნისი.

ფენებისათვის ძალადობრივი გზით მათ წართმევას გულისხმობდა. თებერვლის რევოლუციის შემდგომ რუსეთში ფართოდ დანერგილი ეს პროცესი ომიდან დაბრუნებულმა გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცებმა საქართველოშიც გადმოიტანეს. გახშირდა მემამულეთა თუ სახაზინო მიწების უკანონო მითვისება და სხვ.

ხელისუფლებამ ანარქიის დაძლევა ორი საშუალებით სცადა. 1. აგრარული რეფორმის დაჩქარება და 2. სოფლის მცხოვრებთა განიარაღება. რეფორმას გლეხი მიწით უნდა დაეკმაყოფილებინა, ხოლო იარაღის ჩამორთმევას მოძალადეთა დაშოშმინება და სოფლად წესრიგის აღდგენა უნდა გაეადვილებინა. „ჩამოერთვას იარაღი ყველას, ვინც ლაშქარში, გვარდიაში, ანუ მილიციაში არ ირიცხება და თავდაცვის საქმეში არ მონაწილეობს. იარაღი უნდა წარადგინონ წითელ გვარდიელთა შტაბში (სასახლეში) ან სამეციხოვნო სამმართველოში (საკომენდატოში)“, - აღნიშნული იყო მთავრობის ერთ-ერთ პირველ განკარგულებაში.[94] იმავე დოკუმენტში ხაზგასმული იყო, რომ „სასტიკად დაისჯებიან, დახვრეტითაც კი, ვინც საქართველოს მიწა-წყალზე რაიმე უწესობას მოახდენს, ბრძოლის ველიდან გამოიქცევა, მძარცველობას დაიწყებს ანუ საქართველოს მთავრობის განკარგულებათ ეურჩება“.[95]

იარაღის ჩამორთმევა გლეხობამ მთავრობის მხრიდან სადამსჯელო ღონისძიებად აღიქვა და მის განხორციელებას წინააღმდეგობა გაუწია. განიარაღების დაწყება გლეხთა ახალი აბობოქრების საბაბად იქცა. ბოლშევიკთა წაქეზებით, 18 ივნისს დუშეთის მაზრაში ამბოხებამ იფეთქა. ეს იყო პირველი მასშტაბური ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული გამოსვლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა ჩამოაყალიბეს სამხედრო-რევოლუციური შტაბი და კავშირი დაამყარეს ვლადიკავკაზში მოქმედ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტთან და ასევე, თერგის საბჭოთა რესპუბლიკასთან, რომელიც პიატიგორსკში ჩამოყალიბდა. აჯანყებულთა დასახმარებლად დარიალის ხეობით საბჭოთა პარტიზანული შენაერთები გამოიგზავნა ბოლშევიკ ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის წინამძღოლობით.

გვარდიის მცირერიცხოვანმა ნაწილებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს შეიარაღებულ გლეხებს, რომლებმაც დაიკავეს ქ. დუშეთი და მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება

---

[94] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, № 8, 2 ივნისი, გვ. 15.

[95] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, № 8, 2 ივნისი, გვ. 16.

გამოაცხადეს. აჯანყების მეთაურ ბოლშევიკებს, ჩრდილოეთ კავკასიიდან სათანადო დახმარების მიღების შემდეგ, განზრახული ჰქონდათ თბილისისაკენ დაძვრა, რასაც დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და საქართველოს გასაბჭოება უნდა მოჰყოლოდა.

მთავრობა თავს იკავებდა აჯანყებულთა წინააღმდეგ რეგულარული ჯარის გამოყენებისაგან. როგორც ჩანს, ასეთი იყო ნოე რამიშვილის პოზიცია, რისთვისაც იგი მისივე თანაპარტიელებმა სისუსტეში დაადანაშაულეს.[96] ნ. რამიშვილის შეცვლის შემდეგ, 1918 წლის ივნისის ბოლოს, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აჯანყების რაიონში გვარდიასთან ერთად, არმიის ნაწილებიც გაეგზავნა. აჯანყების ჩახშობა გადამჭრელი მოქმედებით მოხერხდა. შეიარაღებული გამოსვლის რამდენიმე ხელმძღვანელი დახვრიტეს, ბევრ მეამბოხეს პასუხი პატიმრობით აგებინეს.

1918 წლის გაზაფხულზე მდგომარეობა დაიძაბა აფხაზეთშიც. საბჭოთა რუსეთის ინიცირებითა და მხარდაჭერით ბოლშევიკურმა რაზმებმა სოხუმი დაიკავეს, დააპატიმრეს აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს წევრთა ნაწილი, ჩამოაყალიბეს სამხედრო რევკომები და მთელს აფხაზეთსა და სამურზაყანოში ხელისუფლებას დაეუფლნენ. შევიწროებულმა აფხაზთა სახალხო საბჭომ ბოლშევიკთა აგრესიისაგან თავდაცვის მიზნით დახმარება საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და ამიერკავკასიის სეიმს თხოვა.

ამიერკავკასიის მთავრობის გადაწყვეტილებით, აფხაზეთში წესრიგის აღსადგენად გაიგზავნა სამხედრო შენაერთები გვარდიის მეთაურის ვ. ჯუღელისა და პოლკოვნიკ ა. კონიაშვილის მეთაურობით. მათ ბოლშევიკები აფხაზეთიდან გარეკეს და აფხაზთა სახალხო საბჭო თავის უფლებებში აღადგინეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებულების გამოცხადების შემდეგ, თავისი ანტიქართული პოზიციის მიუხედავად, აფხაზთა სახალხო საბჭომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს რამდენიმე თხოვნის შემცველი მიმართვა გაუგზავნა: 1. სოხუმში მყოფი ქართული გვარდიის რაზმის აფხაზეთში დატოვება ადგილობრივი სახალხო საბჭოსათვის მისი დაქვემდებარების პირობით; 2. დახმარება სოხუმის ოლქის (ჯერ კიდევ ასე იწოდებოდა აფხაზეთი, - ო. ჯ.) ხელისუფლების ორგა-

[96] გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 26 ივნისი.

ნიზაციის საქმეში და მართვა-გამგეობის საჭიროებისათვის 2 მილიონი მანეთის გამოყოფა.[97]

1918 წლის 6 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაცია რ. კაკუბას ხელმძღვანელობით თბილისში ჩამოვიდა და საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკება გამართა. საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე მეთაურობდა. მოლაპარაკება 11 ივნისს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასრულდა. ამ დოკუმენტის ძალით, აფხაზეთი რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში და მას ენიჭებოდა სრული შინაგანი ავტონომია.[98] საქართველოს მთავრობა კისრულობდა, სამხედრო-ეკონომიკური დახმარება გაეწია აფხაზეთისთვის, რომლის პოლიტიკური მოწყობის საკითხი უახლოეს მომავალში დემოკრატიულ საწყისებზე მოწვეულ მთელი მოსახლეობის ყრილობას უნდა გადაეწყვიტა.

მალე აფხაზეთში სიტუაცია ისევ აირია. ბოლშევიკებმა გაგრიდან ახალი შეტევა წამოიწყეს, გუდაუთა აიღეს და ახალ ათონს მიუახლოვდნენ. მათი მთავარი მიზანი აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტა და საბჭოთა რუსეთის ნაწილად გადაქცევა იყო.

აფხაზთა სახალხო საბჭოს ხელახალი თხოვნის საფუძველზე, 1918 წ. 11 ივნისის ხელშეკრულების შესაბამისად, სოხუმში გაიგზავნა საქართველოს სამხედრო ძალა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით. გ. მაზნიაშვილი აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და სოხუმის გარნიზონის უფროსად დაინიშნა. სახელდახელოდ შექმნილ მცირერიცხოვან აფხაზთა კავალერიასთან ერთად ქართულმა ნაწილებმა მეამბოხე ბოლშევიკები აფხაზეთიდან განდევნეს.[99] ასეთივე ბედი ეწია ბათუმიდან მდინარე კოდორის მიდამოებში გადმოსხმულ ოსმალეთის ათასკაციან დესანტსაც, რომელიც ძირითადად მუჰაჯირების შთამომავლებისაგან იყო დაკომპლექტებული. საბრძოლო მოქმედებისას დაზარალებულ მშვიდობიან მოსახლეობას საქართველოს ხელისუფლებამ ზარალი აუნაზღაურა.

საქმიანობის კოორდინაციის მიზნით სოხუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებულის, ხოლო საქართველოს მთავრობასთან აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობები შემოიღეს.

---

[97] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 1, ფურც. 15.

[98] ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, თბ., 2007, გვ. 291;

[99] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 63.

ნეიტრალიტეტის დეკლარირება ახლად შექმნილი რესპუბლიკის სუვერენობის შენარჩუნებისათვის საკმარისი გარანტია ვერ იქნებოდა, ამიტომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფოებრივ ამოცანად დაისახა. ნოე რამიშვილი დეტალურად იყო საქმის კურსში თუ როგორ მიმდინარეობდა ქართული ჯარის ფორმირება. როგორც ცნობილია, ეროვნული სამხედრო შენაერთების ჩამოსაყალიბებლად მუშაობა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის აღდგენამდე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაიწყო. ამ საქმის გაძღოლა საბჭოს სამხედრო სექციას ევალებოდა, რომელსაც სათავეში ნ. რამიშვილი ედგა. მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საქართველოს სუვერენიტეტი, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ნოე რამიშვილი სათავეში ჩაუდგა მთავრობას, სამხედრო საკითხები სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა.

1918 წლის 2 ივნისს საქართველოს მთავრობამ განიხილა და დაამტკიცა „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყების დროებითი მართვის პროექტი“. დოკუმენტის მიხედვით, უწყების ყოველი დარგის ხელმძღვანელობა სამხედრო მინისტრს ევალებოდა, ომიანობის დროს კი მოქმედი შეიარაღებული ძალების მეთაურად, საგანგებო დეკრეტით, მთავარსარდალი ინიშნებოდა.

სამინისტროს სტრუქტურა ასეთ სახეს იღებდა: სამხედრო მინისტრი, მინისტრის ამხანაგი (მოადგილე, იგივე თანაშემწე), სამხედრო საბჭო და კანცელარია. მინისტრის მოადგილე პარალელურად, მთავარსარდლის ფუნქციასაც ითავსებდა. ამ პოსტზე გენერალ-მაიორი გიორგი კვინიტაძე დაინიშნა.[100]

სამხედრო სამინისტრო შედგებოდა საერთო, პირადი შემადგენლობის, გენერალური შტაბის, საადმინისტრაციო, სამხედრო-სასანიტრო და სამხედრო-საბეითლო განყოფილებებისაგან.[101]

---

[100] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 1, ფურც. 4; 16-17.

[101] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 115.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სრულფასოვანი ეროვნული სამხედრო ძალის შექმნას საქართველოში წინ მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა, მათ შორის ობიექტურიც და სუბიექტურიც.

ობიექტური სიძნელე იყო ის, რომ ქართული რეგულარული ჯარის შედგენა დაიწყო ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატის დროს და იგი არაოფიციალურად, შეიძლება ითქვას, ნახევრად ლეგალურად წარმოებდა. ამასთან, ხანგრძლივი ომით დაქანცული, რუსეთის არმიიდან დემობილიზებული თუ ფრონტებიდან თვითნებურად დაბრუნებული ქართველი ჯარისკაცები ხალისით როდი თანხმდებოდნენ ქართულ პოლკებში გაერთიანებაზე. არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ჯარისკაცთა საკმაო ნაწილში ჭარბობდა ბოლშევიკური განწყობილება, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა დამოუკიდებელი ქართული შენაერთების ფორმირებას.

არმიის ნაციონალიზაციას წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის ჯარის უმცროსი ოფიცრები, რომლებიც შიშობდნენ, რომ ნაწილების დაშლას მათი უადგილოდ დარჩენა მოჰყვებოდა.

სამხედრო აღმშენებლობის პროცესს თავის მოგონებებში კრიტიკულად აფასებდა ნოე ჟორდანია. იგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდისათვის შექმნილ ქართულ რეგულარულ ჯარს „სრულ იმპროვიზაციას“ უწოდებდა. მისი რეორგანიზაციისათვის „მთავარი იყო ოფიცრების შერჩევა, აპარატების განახლება“, მაგრამ პერსონალის მიღების საკითხები წყდებოდა პარლამენტის სამხედრო კომისიის წევრთა შორის „შინაურულად, პროტექციებით და ნაცნობ-მეგობრობით“ და არა სამხედრო სამინისტროს მეშვეობით.[102]

საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ფორმირებასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე ყურადღებას ამახვილებდა გენერალი ფონ კრესიც. მისი სიტყვით: ქართული არმიიის „საბრძოლო თვისებები არაჩვეულებრივად მცირე გახლდათ. რევოლუციური ზეგავლენის წყალობით, არმიაში დისციპლინა მთლიანად მოშლილი იყო: ჯარისაკაცები უგულისყუროდ ეკიდებოდნენ თავიანთ სამხედრო ჩაცმულობასა და გარეგნულ იერ-სახეს, არ ესალმებოდნენ თავიანთ ოფიცრებს და ამ უკანასკნელთ აშკარად ეშინოდათ თავიანთი ხალხის“.[103]

საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის შემდგომ ეროვნული არმიის შექმნა მიმდინარეობდა ნაჩქარევად,

---

[102] ნ. ჟორდანია, მემუარები, თბ, 1990, გვ. 96-97.

[103] ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გვ. 80.

ფინანსური დეფიციტის, გამუდმებული საგარეო გართულებებისა და სამხედრო შეტაკებების ვითარებაში, რაც, ცხადია, გამორიცხავდა მის რიგიანად მოწყობას.

მაგრამ არანაკლები იყო სუბიექტური ფაქტორის როლიც, კერძოდ, ხელისუფლების ყველაზე გავლენიანი და ფაქტობრივი მმართველი ძალის, - სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნეგატიური დამოკიდებულება მუდმივი ჯარისადმი. სოციალ-დემოკრატები უპირატესობას თავიანთ პარტიულ გვარდიას ანიჭებდნენ. აღსანიშნავია, რომ რეგულარული არმიის შექმნას ერთხანს უნდობლად ეკიდებოდა ფედერალისტური პარტიაც.[104]

საქართველოს რუსეთის არმიაში ნამსახური, ომებში გამოწრთობილი მრავალრიცხოვანი გენერალიტეტი და ოფიცრობა ჰყავდა. მათი დიდი ნაწილი უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს სამსახურში, მზად იყო, თავისი წვლილი შეეტანა ქართული შეიარაღებული ძალების მშენებლობაში, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ხშირად უნდობლობას და არაადეკვატურ დამოკიდებულებას განიცდიდა.

ცნობილმა სამხედრო მოღვაწეებმა, გენერლებმა გიორგი კვინიტაძემ და ვასილ გაბაშვილმა „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი" შეიმუშავეს, რომელიც რეგულარული არმიის დაკომპლექტების ტერიტორიულ პრინციპს ითვალისწინებდა. ჯარის ფორმირების ამგვარი პრინციპი, გარდა იმისა, რომ არმიასა და მოსახლეობას შორის კავშირს უზრუნველყოფდა, მობილიზაციის დროსა და ხარჯებსაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა, მაგრამ იგი პრაქტიკაში სრულად არ განხორციელებულა.[105]

---

[104] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ,ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 9, ფურც. 32.

[105] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალა არაორდინალურად იყო მოწყობილი. მუდმივი ჯარი - რეგულარული არმია ძირითადად 2 ქვეითი დივიზიის, ერთი საკავალერიო და ერთი საარტილერიო ბრიგადისაგან შედგებოდა. უშუალოდ ქვეყნის საზღვრების დაცვისათვის შეიქმნა არმიის განსაკუთრებული ნაწილი „სანაპირო ჯარი". სამხედრო სამსახურის საერთო ვადა 25 წლით განისაზღვრებოდა (აქედან ნამდვილი სამხედრო სამსახური გრძელდებოდა 2 წელი, თადარიგში ყოფნა 15 წელი, ხოლო ლაშქარში - 8 წელი). ლაშქარი მოიაზრებოდა რეზერვად, რომელიც საგარეო საფრთხის ან ომის შემთხვევაში ქუდზე კაცის პრინციპით 17-დან 50 წლამდე მამაკაცთაგან იკრიბებოდა.

არმიის პარალელურად, არსებობას განაგრძობდა ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისთანავე სოციალ-დემკრატიის მიერ ჩამოყალიბებული წითელი გვარდია, რომელსაც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ახლო ხანებში სახალხო გვარდია უწოდეს. ამ უკანასკნელს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი უწევდა. გვარდია შემდეგშიც, თავისი მთავარი შტაბის მეშვეობით, მთავრობის თავმჯდომარეს ექვემდებარებოდა და არა სამხედრო სამინისტროს.

სახალხო გვარდიაც რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა სისტემის ნაწილი იყო და მის ერთ-ერთ სტრუქტურას წარმოადგენდა, თუმცა, ბევრი თანამედროვის დახასიათებით, იგი უპირველესად პარტიული სამხედრო ფორმირება იყო, რომლის მოვლა-პატრონობაზე მთავრობა უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე რეგულარული არმიის შენახვასა და მატერიალურ უზრუნველყოფაზე. გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სიტყვით, „გვარდია იყო პირმშო შვილი, ჯარი კი - გერი".[106] ვითარება ამ მხრივ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამხობამდე არ შეცვლილა.

სახალხო გვარდიას „პრეტორიანულს" უწოდებდა ფრანგი პოლკოვნიკი რემონ დიუგე. მისი სიტყვით: „წითელ გვარდიაში რეალურად არავითარი წესრიგი არ ყოფილა. იყო „საკუთარი გუნება-განწყობილების დისციპლინა". ... გვარდია იყო სრულიად არეფექტური ორგანიზმი. .....ქართულ გვარდიას ჰქონდა არამარტო ყველა ეპოქის ეროვნული გვარდიის ხარვეზები, არამედ ნელ-ნელა შეიძინა სოციალისტური გვარდიის მანკიერებანიც".[107]

სახალხო გვარდიის, როგორც მებრძოლი სამხედრო შენაერთის ხარვეზებზე და რეგულარულ არმიასთან მისი თანაარსებობის უარყოფით შედეგებზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის არსებობის პერიოდში საუბარი ქართულ წყაროებშიც მრავლად გვხვდება. ამ მხრივ აღსანიშნავია გენერლების გიორგი კვინიტაძისა და გიორგი მაზნიაშვილის, პოლიტიკურ მოღვაწეთა – რევაზ გაბაშვილის, დათა ვაჩნაძისა და სხვათა მოგონებები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მკვლევარი დიმიტრი სილაგაძე მიიჩნევს, რომ სოციალ-

---

[106] გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი, 1990, გვ. 8.

[107] რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ. 19.

დემოკრატებმა სახალხო გვარდია არსებული რამდენიმე რეალური საფრთხის გამო არ გააუქმეს. ერთ-ერთ ასეთ საფრთხედ დასახელებულია რეგულარული ჯარის შენაერთებში ბოლშევიკური გავლენის საშიშროება.[108]

ამგვარი გამოწვევა პირველ ხანებში მართლაც რეალური იყო: ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე გვარდიელებმა იარაღით ჩაახშეს გაბოლშევიკებულ ჯარისკაცთა რამდენიმე ამბოხი თელავში, გორსა და ქუთაისში.[109] ბოლშევიკების ფარული ძირგამომთხრელი საქმიანობა ქართული ჯარის ნაწილებში სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგაც გრძელდებოდა, მაგრამ არმია მთლიანად ქვეყნის ერთგული დარჩა.

რაც შეეხება დ. სილაგაძის აზრს, - გვარდიას იმიტომაც არ შლიდნენ, რომ სოციალ-დემოკრატებს ეშინოდათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა - ქვეყანაში შემოსულ გერმანელებთან შესაძლო ალიანსით სამხედრო გადატრიალება არ მოეწყოთო, - გადაჭარბებულია. გერმანელებმა საქართველო 1918 წლის დეკემბერში დატოვეს. ამდენად, ეროვნულ-დემოკრატების მათთან ალიანსისა და გადატრიალების საფრთხე ამოიწურა, გვარდიისთვის კი მთავრობას ხელი არც ამის შემდეგ უხლია.

ძნელია გადაჭრით ითქვას, სრულად იზიარებდა თუ არა გვარდიის ცალკე სამხედრო შენაერთად არსებობის იდეას ნოე რამიშვილი. საერთოდ, სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ „მცდარი დოქტრინიორული შეხედულება, რომელიც თითქოს რამდენიმეთ უხერხულათ აგრძნობინებდა თავს რევოლუციონერებსა და სოციალისტებს რეგულარულ ჯარსა და რესპუბლიკის პოლიციაში“.[110] ამ სიტყვების ავტორის, გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, ეს იყო „იმ ძველი დროის ნაშხეფი“, როდესაც რუსეთის საიმპერიო არმია და მეფის პოლიცია მთელი რუსეთის ხალხის თავისუფლების მტერთა სინონიმათ იყო ქცეული.

ამგვარი შეხედულებისაგან თავისუფალი ვერც ნ. რამიშვილი იქნებოდა, მაგრამ მიხვდა თუ არა იგი თავის თანაპარტიელ გრიგოლ ლორთქიფანიძის მსგავსად, რომ „სახელმწიფოს თავდაცვის საქმის

---

[108] http://pirvelirespublika.blogspot.com/2015/07/1918.html

[109] В. Джугели, Тяжелий крест, Тб., 1920, გვ. XVIII.

[110] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 188.

ინტერესებს უფრო შეეფერებოდა, რომ ორი სამხედრო სისტემა აღარ დარჩენილიყო პარალელურათ" და „საქართველოს ჯარი და საქართველოს გვარდია ერთ მხედრობათ გადაქცეული იქნებოდა უფრო ძლიერი, ვიდრე მათი მეხანიკური ჯამი"?[111]

კითხვაზე ზუსტ პასუხს სათანადო პირველწყაროს არარსებობა აძნელებს. ნოე რამიშვილის შვილის, აკაკი რამიშვილის მოგონებების მიხედვით, დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება ვერ ხერხდება. მემუარისტის ერთი მოგონების თანახმად: ნოე რამიშვილი „მუდამ მოითხოვდა მაგარი ჯარის შექმნას, ხალხური გვარდიის დაშლას და გვარდიელების ჯარში გაერთებას".[112] მაგრამ, იგივე აკაკი რამიშვილი გადმოგვცემს, რომ ნოე რამიშვილს არასოდეს „უთქვამს ქართველი გენერლებისათვის, რომ რომ იგი წითელი გვარდიის სასტიკი მოწინააღმდეგე და ძლიერი ჯარის შექმნის აბსოლუტური მომხრე იყო".[113]

თუ წყაროთა არაპირდაპირ მონაცემებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძის გვიან გამოთქმული თვალსაზრისი რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის შერწყმის შესახებ ნოე რამიშვილმა პრემიერობის პერიოდში გაითავისა. ყოველ შემთხვევაში, მთავრობის დეკლარაციაში, რომელიც მან ეროვნულ საბჭოში წარადგინა (იხ. ქვემოთ), გვარდია ნახსენები არ ყოფილა და აქცენტი გადატანილი იყო „საკუთარი, ევროპიულის წესით გაწვრთნილი ჯარის შედგენასა" და იმავდროულად, მოქალაქეთა მიერ სამხედრო ხელოვნების შესწავლაზე, „რათა საჭიროებისას სახელმწიფომ შესძლოს თავისი საზღვრების დაცვა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა".[114]

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ სახალხო გვარდიის სარდალს ვალიკო ჯუღელსა და ნოე რამიშვილს შორის დაძაბული ურთიერთობა არსებობდა. ეს გარემოება მკვლევარ დოდო ჭუმბურიძეს აფიქრებინებს, რომ ნ. რამიშვილმა შინაგან საქმეთა უწყებაში „განსაკუთრებული რაზმი", რომელიც მხოლოდ

---

[111] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, გვ. 187.

[112] ა. რამიშვილი, ნოე რამიშვილის გახსენება, გაზ. „ქართული წიგნი", 2001 წ., ნოემბერი, № 11, გვ. 7.

[113] ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები. 1918-1921, გვ. 57.

[114] გაზ. „ერთობა", 1918 წ., 16 ივნისი.

მას ექვემდებარებოდა, გვარდიასთან დასაპირისპირებლადაც შექმნა.[115]

ქვეყანაში კრიმინალისა და კონტრრევოლუციის დასათრგუნად ჩამოყალიბებული პოლიციური ძალა არ ყოფილა მრავალრიცხოვანი შენაერთი. მისი შემადგენლობა 2500 კაცს არ აღემატებოდა, მაშინ, როდესაც გვარდიაში ორ ათეულათასამდე მებრძოლი ირიცხებოდა. ამასთან, თუ გვარდიის შეიარაღების ხარისხსაც გავითვალისწინებთ, ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა ქცეულიყო განსაკუთრებული რაზმი სახალხო გვარდიის საპირწონედ. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში ამ ორი სტრუქტურის კონფრონტაციის შემთხვევები არ აღრიცხულა.

[115] დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები. წერილები, თბ., 2012, გვ. 134.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის საფუძვლები ეკონომიკურ დამოუკიდებლობასაც უნდა გაემყარებინა და რომ, სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობას მყარი ეკონომიკა და გამართული ფინანსური სისტემა სჭირდებოდა.

ამ მხრივ საქართველომ რუსეთის იმპერიისაგან უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო. „ჯერ კიდევ დიდი ომის დროს გაწმინდა რუსეთმა ოქროსაგან საქართველოს ხაზინები. ჩვენში მან ერთი ყურგახვრეტილი ოქროც კი არ დასტოვა“.[116] ამასთან, მიმდინარე მსოფლიო ომმა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება გლობალური ხასიათის მოვლენად აქცია. ასეთ ფონზე, როგორც გაზეთ „ერთობაშია“ აღნიშნული: „პატარა საქართველო უეჭველად განიცდის საერთო კრიზისის ცუდ გავლენას. ...მისთვის, როგორც მეურნეობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნისთვის, ეს მოვლენა უფრო მეტად საგრძნობია, ვინემ სხვა რომელიმე სახელმწიფოსთვის“.[117]

საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მისი სატრანზიტო როლი და ფუნქცია, მაგრამ ომის გამო ქვეყანას ეს შესაძლებლობა დაეხშო. მეტიც, ის თითქმის ბლოკადაში მოექცა, რამაც უკიდურესად გაართულა ახალდ შექმნილი რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ნოე ჟორდანიას სიტყვით, „ჩვენ იმით დავიწყეთ სახელმწიფოს შენება, რომ ჩვენს კასაში არაფერი ...იყო. გვქონდა მხოლოდ რამდენიმე მილიონი მანეთის საქონელი, რომელიც დაგვრჩა რუსეთიდან გამოყოფის შემდეგ. მაშასადამე, პლიუსი იყო ჩვენთვის ის, რომ ვალი არ გვქონდა, მაგრამ დიდი მინუსი იყო, რომ ...არ გვქონდა სახელმწიფო აპარატი, საკუთარი ტრადიციული სისტემა, არავითარი ფონდი“.[118] ამას ემატებოდა ისიც, რომ რუსეთის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად,

---

[116] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 169.

[117] გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 17 ოქტომბერი.

[118] გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 16 ოქტომბერი.

საქართველოს ტერიტორიაზე „არც ერთი თვალსაჩინო ფაბრიკა-ქარხანა არ ჭაჭანებდა“,[119] იყო ძირითადად წვრილი წარმოება და მოძველებული ტექნიკა.

რა თქმა უნდა, ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ ჩვენი ქვეყნის არასახარბიელო მდგომარეობის ეს სურათი ცნობილი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს ფინანსური სექციისათვის, მაგრამ მისმა წევრებმა ეროვნულ ყრილობას ამგვარი დასკვნა წარუდგინეს: „ნორმალურ პირობებში საქართველოს შემოსავალი და ფინანსური ძალა მის ხარჯს და პოლიტიკურ საჭიროებებს დაფარავს. ...რასაც უნდა გვიქადდეს მომავალი, ფინანსური შესაძლებლობა საქართველოსი მხარს გაუმაგრებს მის პოლიტიკურ მდგომარეობას“.[120]

ამ სწორი გათვლის მუხედავად, ობიექტური რეალობა მძიმე რჩებოდა. აუცილებელი იყო მრეწველობის აღორძინება, საშუალებების გამოძებნა თითქმის ცარიელი სახელმწიფო ხაზინის შესავსებად და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სამართლიანად მიუთითებდა მაშინდელი პერიოდული პრესაც, რომ ფინანსები სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მდგომარეობის სარკეა. „ფინანსური სიმტკიცე გამომხატველი და მაჩვენებელია თვით სახელმწიფოს სიმტკიცისა და მისი კეთილდღეობისა“.[121]

მწვავედ იდგა ეროვნული ვალუტის შემოღების საკითხიც, მაგრამ არსებული მდგომარეობა ჯერ-ჯერობით ამის საშუალებას არ იძლეოდა. მართალია, 1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი” და გაჩნდა ერთგვარი წინაპირობა მომავალი ვალუტის კურსის სტაბილურობისათვის, მაგრამ ეს საკმარისი არ ყოფილა. ამიტომ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მიმოქცევაში დაეტოვებინათ მოქმედი ამიერკავკასიის ბონები და აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებთან შეთანხმებით, განეგრძოთ მათი ემისია.[122] პარალე-

---

[119] გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 6 ნოემბერი.

[120] ო. ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე. ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები, თბ., 1998, გვ. 21.

[121] გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 17 აპრილი.

[122] ამიერკავკასიის ბონების ემისია გაგრძელდა 1919 წლის ზაფხულამდე. 1919 წლის ივლისში შემოღებულ იქნა დროებითი გადახდის საშუალება - ქართული ბონი.

ლურად, დაიწყო სამზადისი ქართული ფულის შემოღებისათვის, გამოცხადდა კონკურსი ეროვნული ფულადი ნიშნების შესაქმნელად.

ნოე ხომერიკი მიუთითებდა: „როცა სახელმწიფო შევქმენით ჩვენ არ გვქონდა არც ოქროს ვალუტა, არც სხვა განძი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ჩვენი ფულის ტრიალს, ამიტომ ჩვენ ფულის მაგიერ გამოვეცით ბონები - ეს ფულის სუროგატი და დღემდე ამით გაგვქონდა თავი. მისი რაოდენობა არ იყო განსაზღვრული, ბონები იბეჭდებოდა უსაზღვროთ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მისი ერთადერთი საზღვარი ჩვენი საჭიროება იყო“.[123] მიმოქცევაში ზედმეტი ფულის გაშვება ინფლაციურ პროცესს იწვევდა, რაც სახელმწიფოსაც და მოსახლეობასაც მძიმე ტვირთად აწვებოდა.

ახლად შექმნილ სახელმწიფოს არ გააჩნა საკრედიტო სისტემის მართვა-რეგულირების ისეთი მეთაური რგოლი, როგორიც ეროვნული ბანკია. მის მოვალეობას რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება ასრულებდა, რომელიც 1917 წლის ნოემბრიდან ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატის ფინანსთა კომისრის, ხოლო 1918 წლის 26 მაისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გიორგი ჟურულის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მუშაობის დაწყებისთანავე გადადგა ნაბიჯი ამ მიმართულებით. კაბინეტის პირველივე სხდომამ, რომელიც 1918 წლის 27 მაისს გაიმართა, იმსჯელა ბიუჯეტის დროულად შედგენის აუცილებლობაზე, მიიღო დადგენილება საქართველოს ეროვნული ბანკის დაარსების შესახებ და დაამტკიცა ბანკის კანტორის კომისარი.[124]

სახელმწიფო ბანკი საქრთველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე პასუხისმგებელი დაწესებულება იყო, რომელსაც თავმჯდომარე და 12 წევრისაგან შემდგარი საბჭო მართავდა. ბანკის მთავარი დანიშნულება ფულის მიმოქცევის გაადვილება, აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის მოკლევადიანი სესხის გაცე-

---

[123] გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 17 ოქტომბერი.

[124] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, ფურც. 1-2; ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, № 8, 2 ივნისი, გვ. 16.

მა, ანაბრების მიღება და თამასუქების განაღდება უნდა ყოფილიყო.[125]

საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობის გამო ქვეყნის შემოსავლები მცირე იყო, გასავალი - დიდი. ხარჯს მნიშვნელოვნად ზრდიდა ის გარემოება, რომ იმპერიულ დაწესებულებათა და კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციისათვის საჭირო სახსრების გაღება მთლიანად საქართველოს მოუწია.[126] გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვით, „ნახევრად მშიერი ქართველი ხალხი იძულებული შეიქნა რუს მოხელეთა მთელი არმია თავისი ღარიბი ჯიბით ერჩინა და გაესტუმრებია".[127]

სახელმწიფო თანხების სოლიდური ნაწილი ხმარდებოდა პირველი მოთხოვნილების საქონლის, მათ შორის პურისა და შაქრის იმპორტს. „რესპუბლიკამ თავს იდვა ასეთი დიდი, რთული და საპასუხისმგებლო საქმე, როგორიცაა პურის მოწოდება. ...მუშა-მოსამსახურენი თითქოს სამუდამოდ იყვნენ აყვანილნი სახელმწიფოებრივ პურის რაციონზე". ამას ემატებოდა ხელფასის ნაწილობრივი ნატურალიზაციაც და ასევე ნაწილობრივ, ჯამაგირის იმით განსაზღვრა, ვის რამდენი სული ჰყავდა ოჯახში.[128]

სოციალისტური ეკონომიკის დამახასიათებელი ამ ნაბიჯების გადადგმა ხელისუფლებას, გარკვეულწილად, იძულებით უწევდა, მაგრამ უმნიშვნელო არც ის იყო, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული ქვეყნის განვითარების საბაზრო-ეკონომიკური კურსი.[129]

---

[125] ბანკის დაფუძნება გაჭიანურდა. რესპუბლიკის ცენტრალური საკრედიტო დაწესებულება თბილისში მხოლოდ 1920 წლის ივლისში, მას შემდეგ გაიხსნა, რაც 1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ. ბანკის პირველი თავმჯდომარე ცნობილი ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე იყო.

[126] ნ. ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996, გვ. 28.

[127] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 169.

[128] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, გვ. 169.

[129] ამის თაობაზე კოალიციურ და შემდეგ ერთპარტიულ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას მძაფრად აკრიტიკებდა ოპოზიციური ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ამავეზე მეტყველებს ისიც, რომ შემოსავლების დამატებითი წყაროების ძიებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ზოგიერთ საქონელზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებამდე მიიყვანა. ერთ-ერთი ასეთი საქონელი ჭიათურის მარგანეცი, - როგორც მაშინ უწოდებდნენ - შავი ქვა იყო. მოგვიანებით სახელმწიფო მონოპოლია თამბაქოზე, მატყლსა და აბრეშუმის პარკზეც დაწესდა.[130]

ეკლექტური ხასიათისა იყო აგრარული რეფორმაც, რომლის განხორციელება ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატის დროს დაიწყო და საქართველოში ნოე რამიშვილის პრემიერობის პერიოდშიც გაგრძელდა. ქვეყანაში მოქმედი ესა თუ ის პოლიტიკური პარტია საადგილ-მამულო საკითხის გადაჭრას განსხვავებულად უდგებოდა. ეროვნულ-დემოკრატები გლეხობის მიერ მემამულეთაგან მიწების გამოსყიდვას და კერძო საკუთრებაში მის დაკანონებას მოითხოვდნენ, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-ფედერალისტები მხარს სოციალიზაციას უჭერდნენ, ბოლშევიკები მიწის ნაციონალიზაციის ლოზუნგს აყენებდნენ, სოციალ-დემოკრატები კი ჩამორთმეული მიწების მუნიციპალიზაციის იდეას იცავდნენ.

ასეთ სინამდვილეში მიწის საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა. მთავრობის აგრარული პოლიტიკა თანმიმდევრული ვერ გამოდგა და მან კომპრომისული ხასიათი შეიძინა.[131]

---

[130] თ. ათანელიშვილი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.). ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2006, (ხელნაწერი), გვ. 31; 167.

[131] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 227. აგრარული რეფორმა საქართველოში ხანგრძლივი გამოდგა და საფეხურობრივად გატარდა. პირველ ეტაპი საადგილ-მამულო ნორმის განსაზღვრას და ნორმის ზევით მიწების ჩამორთმევას დაეთმო, მეორე ეტაპი კი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემამ შეადგინა. გლეხებს თავიანთი სანადელო მამულები დაუკანონდათ. ამასთან, ახალ მეპატრონეებს მიწა შეღავათიან პირობებში მიეყიდათ: სახნავ-სათესი ნაკვეთი - დესეტინა 500-1000 მანეთად, ხოლო მრავაწლიანი კულტურებით - ვენახითა და ხეხილით გაშენებული ფართობი - საშუალო საბაზრო ფასით.

მთავრობა გარკვეულ ფარგლებში ახალისებდა კერძო ინიციატივას, საიჯაროდ გადასცემდა ამა თუ იმ ობიექტს ან ცაკეულ კონკრეტულ საქმეს და სხვა, იმავდროულად, ასევე, ზრუნავდა სახელმწიფო, მუნიციპალური და კოოპერატიული გაერთიანებების შექმნაზეც.

კერძო ბიზნესი უმთავრესად კომერციაში დასაქმდა, რაც შეეხება წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ინვენსტირებას, იგი მხოლოდ ერთეულებმა გაბედეს. მათ შორის იყო ცნობილი ქართველი მეწარმე და ქველმოქმედი აკაკი ხოშტარია. მაგალითად, ნოე რამიშვილის პრემიერობის დროს დაიწყო და 1918 წლის სექტემბერში დასრულდა ხელშეკრულების გაფორმება ხოშტარიასა და მის კომპანიასთან ლეჩხუმის მაზრის ტერიტორიაზე მდ. რიონის წყლის რესურსების გამოყენების შესახებ.[132]

უცხოური კაპიტალი ჯერ არ ჩანდა, ფეხს ითრევდა და ქვეყანაში უფრო სტაბილური სიტუაციის დამკვიდრებას, ასევე, შესაფერის ბიზნესგარემოს შექმნას ელოდებოდა.

სუსტი იყო საგადასახადო და შრომის დისციპლინა. არც თუ იშვიათად საბიუჯეტო სახსრები დარღვევებით იხარჯებოდა. ბევრგან იტაცებდნენ და ითვისებდნენ სახელმწიფო დოვლათს, ახდენდნენ უსამართლო რეკვიზიციებსა და სხვ. გაუმჯობესებას საჭიროებდა აღრიცხვისა და კონტროლის საქმეც. ამ მიზანს ემსახურებოდა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შემოღება და ამ პოსტზე თვალსაჩინო ეკონომისტის ფილიპე გოგიჩაიშვილის დანიშვნა. სახელმწიფოს კონტროლის ფუნქციებში შედიოდა დარღვევათა გამოვლენა, თვალყურის დევნება ბიუჯეტის შედგენა-შესრულებასა და სახელმწიფო ფინანსების ხარჯვაზე, კონტროლი ხაზინიდან გაცემ თანხებზე, კრედიტების განაწილებაზე, ანგარიშის წარმოებაზე და სხვ. მასვე ჰქონდა მინდობილი რევიზიების გზით სააღრიცხვო მეურნეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და წესრიგის დამყარება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საკუთარი ძალებით უმკლავდებოდა ქვეყნის მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს. უხდებოდა ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის მრავალი დაბრკოლების დაძლევა და შეძლო ის, რომ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსათვის თავიდან აეცილებინა კატასტროფა ეკონომიკურ ნიადაგზე.

---

[132] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 227.

მთავრობის დეკლარაცია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ, 1918 წლის 12 ივნისს, ნოე რამიშვილი ეროვნული საბჭოს წინაშე წარსდგა მთავრობის დეკლარაციით, რომელშიც დაწყებული საქმიანობის ანგარიში და აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობის სამომავლო პროგრამა წარმოადგინა.

რა პრიორიტეტები გამოიკვეთა მთავრობის დეკლარაციაში, რა ძირითად პრობლემებზე შეაჩერა ყურადღება ახლად შექმნილი სახელმწიფოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ?

დეკლარაცია ქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კარდინალურ საკითხებს განსაზღვრავდა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებს მთავრობის მიერ მოკლე დროში გაწეული მუშაობის შესახებ მოუთხრობდა და იმ ტენდენციებს გამოყოფდა, რომელთა მიხედვითაც აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი საქმიანობის გაგრძელებას აპირებდა.

მთავრობას თავის უმთავრეს მოვალეობად მიაჩნდა, გამოეყვანა საქართველო მსოფლიო ომის ქარტეხილიდან, ხელი შეეწყო ქვეყანაში რესპუბლიკური წეს-წყობილების დამკვიდრებისათვის და განემტკიცებინა რევოლუციით მოპოებული სოციალური და პოლიტიკური უფლებები.

ცნობილა, რომ საქართველო მიმდინარე მსოფლიო ომში ცალკე მეომარი მხარე არ ყოფილა, თუმცა მისი 200 ათასი მცხოვრები, გენერლების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების სახით, ომში მონაწილეობას იღებდა, როგორც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები. რომანოვთა დინასტიის დამხობის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერიის რღვევა დაიწყო და მისმა არმიებმა ფრონტის ხაზების მიტოვება დაიწყეს, ქართველებისათვისაც ომი არსებითად დამთავრდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება გააფორმა და მის მოკავშირე ოსმალეთს ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები დაუთმო, სამხრეთ კავკასიელებს, უმთავრესად, ქართველებსა და სომხებს, ამ ტერიტორიებისათვის ომი ოსმალეთთან მოუწიათ.

ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს - ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის პირობებში თავდაცვა შეუძლებელი გახდა. ცალკე გამოყოფილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას თავისი ბედი ახლა დამოუკიდებლად, ასევე სუვერენულ სახელმწიფოებად გამოცხადებული მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის გარეშე უნდა გადაეწყვიტა. გარე აგრესიის აღკვეთა და მშვიდობის უზრუნველყოფა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის პირველი რიგის ამოცანა იყო. მთავრობამ, გარკვეული კომპრომისის ხარჯზე, შეძლო ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემის მოგვარება.

დეკლარაციაში აისახა ამ კუთხით საგარეო პოლიტიკის სფეროში განხორციელებული ორი მნიშვნელოვანი მოვლენა. 1. გერმანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება და 2. ოსმალეთთან დადებული ზავი.

აღინიშნა, რომ 1918 წლის 28 მაისს, ქალაქ ფოთში, გერმანიის საიმპერიო მთავრობის წარმომადგენელთან დადებულ იქნა წინასწარი ხელშეკრულება. ხელშეკრულებით, გერმანიამ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობის დაცვა იკისრა. დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, გერმანიამ გამოგზავნა თავისი ჯარი, რომელიც „იმოქმედებს ჩვენს განკარგულებათა თანახმად და მთავრობას ხელს შეუწყობს გარეშე საზღვრების დაცვის საქმეში“.[133]

მთავრობა აცხადებდა, რომ „მოამზადა ნიადაგი, რათა მკვიდრი კეთილგანწყობა განმტკიცდეს გერმანიის სახელმწიფოსთან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად“. „ნიადაგის მომზადებაში“ იგულისხმებოდა საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი ბერლინში საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომი განმტკიცების მიზნით. რახან ამ მოლაპარაკებათა შესახებ იმ ხანად დეტალური ინფორმაცია არ გააჩნდა, მთავრობა ფაქტის ზოგადი კონსტანტაციით შემოიფარგლა.[134]

---

[133] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 64, ფურც. 1; ასევე, გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 16 ივნისი.

[134] საქართველოს დელეგაციის ვიზიტი გერმანიაში 1918 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა. მიღწეულ იქნა რამდენიმე შეთანხმება, მათ შორის სესხის თაობაზეც, მაგრამ გერმანიაში დაწყებული პოლიტიკური კრიზისის გამო, საქმე ბოლომდე ვერ მივიდა.

ოსმალეთთან დამოკიდებულების შესახებ დეკლარაციაში ითქვა, რომ 1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას და ამ გზით გადაიდგა პირველი ნაბიჯი მოსაზღვრე სახელმწიფოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის დასამყარებლად.

ითვალისწინებდა რა ამ ხელშეკრულების აუცილებლობით განპირობებულ, მაგრამ ქვეყნისათვის საჩოთირო შინაარსს, რომლის შესახებ უკვე დაუფარავად წერდა ქართული პერიოდული პრესა, მთავრობა აღიარებდა: „4 ივნისის ხელშეკრულების ზოგიერთი პირობები ქართველ ხალხის გულში სრულიად სამართლიან მწუხარებას გამოიწვევს“, თუმცა იქვე იმედს გამოთქვამდა, რომ „ნორჩი რესპუბლიკის ენერგიულ შემოქმედების და დიპლომატიური საქმიანობის (შედეგად) მომავალში ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესები დაცულ იქნება“.[135]

ამგვარი იმედის საფუძველს საქართველოს მთავრობას გერმანიის დაპირება აძლევდა, რომ ხსენებული ზავის პირობები ახლო მომავალში გადაისინჯებოდა. გამოცხადებულიც იყო, რომ ქალაქ კონსტანტინოპოლში შეიკრიბებოდა გერმანიისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოების კონფერენცია. ამ კონფერენციაზე მიწვეული საქართველოს დელეგაცია, რომელიც მთავრობამ ოფიციალურად დაამტკიცა, უკვე ემზადებოდა ოსმალეთში გასამგზავრებლად.[136]

დეკლარაციაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთავრობა გააგრძელებს მშვიდობიან, კეთილმეზობლურ ურთიერთობებს კავკასიის რესპუბლიკებთან და ერებთან და რომ, დიპლომატიური გზებით

---

[135] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 64, ფურც. 1; ასევე, გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 16 ივნისი.

[136] ქართულ დელეგაციას კონსტანტინოპოლში დიდხანს მოუწია ლოდინი. კონფერენცია არ გამართულა. მიუხედვად ამისა, საქართველო-ოსმალეთის ბათუმის ხელშეკრულებამ 1918 წლის ოქტომბერში გაფორმებული მუდროსის ზავის შედეგად ძალა დაკარგა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ე. წ. სამუსლიმანო საქართველოზე თავისი იურისდიქცია აღედგინა.

უზრუნველყოფს ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას.[137]

ამ კონტექსტში აუცილებელია განიმარტოს, რომ საქართველოს მთავრობა ერთგული დარჩა ნეიტრალიტეტის პრინციპისა, რომელიც პირველად 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში გაცხადდა.

ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებისას პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ დასრულებული არ ყოფილა. ახლად წარმოშობილმა სახელმწიფომ საჭიროდ მიიჩნია, განესაზღვრა ქვეყნის დამოკიდებულება ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი, რაც აისახა კიდეც ხსენებულ დოკუმენტში. საქართველომ საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, როგორიც სამხრეთ კავკასია იყო, ნეიტრალიტეტი ნაკლებად რეალური ჩანდა, მაგრამ მისი საჯარო დეკლარირება მკაფიოდ და ნათლად ცხადყოფდა ქართული სახელმწიფოს სამშვიდობო მისწრაფებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი, განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატები, ნეიტრალიტეტს არ მიიჩნევდნენ იდეალად და იგი მხოლოდ „მიმდინარე პოლიტიკის საფუძვლად" წარმოედგინათ.[138]

გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადება მთავრობას ქვეყნის სუვერენობის საკმარის გარანტად ესახებოდა და ვერ აცნობიერებდა იმ რისკებსა და საფრთხეებს, რაც ახლად შექმნილ პატარა ქართულ სახელმწიფოს სხვადასხვა მხრიდან ემუქრებოდა.

სრულიად საპირისპიროს მოწმობს ის ფაქტი, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფოებრივ ამოცანად დაისახა. დეკლარაციაში აღნიშნული იყო: „მთავრობა თა-

---

[137] უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვიერად სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებიც მუდამ მეზობელთა შორის სოლიდარობის აუცილებლობაზე საუბრობდნენ, თუმცა პრაქტიკულად, ურთიერთ შორის ხშირი იყო დავა ტერტორიებისა და საზღვრების გამო.

[138] საქ. დამფუძნებელი კრება, 1919 წ., 17 ივნისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გ. გვაზავას გამოსვლა, გვ. 19.

ვის მოვალეობად რაცხს დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დემოკრატიული წყობილება ყოველნაირ გარეშე და შინაურ საფრთხისაგან".

იქვე მითითებული იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად აუცილებლად საჭიროა საკუთარი, ევროპიულის წესით გაწვრთნილი ჯარის შედგენა და ამავე დროს მთელის ხალხის მიერ სამხედრო ხელოვნების შესწავლა, რათა საჭიროებისას სახელმწიფომ შესძლოს თავისი საზღვრების დაცვა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა".[139]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სერიოზულ საფრთხედ აღიქვამდა იმ „არევდარევას, რომელმაც თავი იჩინა სახელმწიფოს ზოგიერთ კუთხეში". აცხადებდა, რომ ამით ხელი ეშლებოდა „რევოლუციით მოპოებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა განხორციელებას" და პირობას იძლეოდა, აღმოეფხვრა ამ ანარქიის ნიადაგი.

დეკლარაციაში ყურადღება ჰქონდა დათმობილი ეთნიკურ უმცირესობათა საკითხს. ისე როგორც 1918 წლის 26 მაისს დამტკიცებულ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტში, განსახილველ დოკუმენტშიც მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს (როგორც მაშინ უწოდებდნენ - „ნატეხ ერებს") „მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი".[140].

საქართველოს მთავრობის დეკლარაციაში გამოკვეთილი იყო ქვეყანაში დემოკრატიული წყობილების განმტკიცების აუცილებლობა, გამოთქმული იყო დაპირება, რომ ახლო მომავალში სრულ დემოკრატიულ საფუძველზე მოიწვევდნენ საქართველოს დამფუძნებელ კრებას, დაჩქარდებოდა საერობო თვითმმართველობის შემოღება, განისაზღვრებოდა ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის ურთიერთობა, ასევე გატარდებოდა სასამრთლო რეფორმა. მთავრობა პირობას დებდა, რომ გააგრძელებდა სკოლის გაეროვნულებას და

---

[139] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი, 1836, ანაწ. 1, საქმ. 64, ფურც. 1-2; ასევე, გაზ. „ერთობა", 1918 წ. 16 ივნისი.

[140] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი, 1836, ანაწ. 1, საქმ. 64, ფურც. 1-2; ასევე, გაზ. „ერთობა", 1918 წ. 16 ივნისი.

დროულად დაასრულებდა სავალდებულო უფასო პირველ დაწყებით სწავლა-განათლებაზე გადასვლას.

დეკლარაცია შეიცავდა მთავრობის ხედვას ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის შესახებაც, რომელიც ასე იყო ფორმულირებული: „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად ...საჭიროდ მიგვაჩნია ფინანსიური მეურნეობის მოწესრიგება, ფულის სისტემის შემუშავება და საკუთარი ფულის მოჭრა, ხოლო, ვიდრე ეს რთული საქმე მოეწყობოდეს, - მთავრობა ზომებს მიიღებს შინაური და საგარეო სესხის ასაღებად. მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგება შემოსავლისა და ქონების მიხედვით პროგრესიული გადასახადის შემოღებას და გადასახადთა მთელ სისტემის გარდაქმნას“.[141]

აგრარულ სფეროში გათვალისწინებული იყო დაწყებული მიწის რეფორმის დროული განხორციელება და ზრუნვა ინტენსიურ სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

დეკლარაციის თანახმად, მთავრობას ზომები უნდა მიეღო საწარმოო ძალთა განვითარების უზრუნველსაყოფად. ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ხალხის სამსახურში გამოსაყენებლად მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა „ყოველგვარი მადნეულობის სახელმწიფოს საკუთრებად აღიარება“ და საზღვარგარეთ ნედლეულის გატანაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება. ამ ინიციატივებისათვის სამართლებრივი ბაზის მოსამზადებლად განზრახული იყო ეროვნულ საბჭოში შესაბამისი კანონპროექტების წარდგენა.[142]

საქართველოს მთავრობას უყურადღებოდ არ დარჩენია არც სოციალური პრობლემატიკა. მას „დიდმნიშვნელოვან მორიგ საქმედ“ წარმოედგინა ხალხის სურსათით უზრუნველყოფა და უმუშევრობის შემცირება. გეგმავდა სოციალური კანონმდებლობის განვითარებასა და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის დასქმების მიზნით, მთავრობას განზრახული ჰქონდა სარკინიგზო ქსელის გაზრდა, ტყეების „წესიერი ექსპლუატაცია“, საირიგაციო არხების გაყვანა და სხვ.

---

[141] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი, 1836, ანაწ. 1, საქმ. 64, ფურც. 1-2; ასევე, გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 16 ივნისი.

[142] მთავრობამ 1918 წ. 18 ივნისის სხდომაზე მართლაც მიიღო ასეთი დადგენილება (იხ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 2, ფურც. 1.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად დეკლარაციაში მიჩნეული იყო ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი „ერთი ძლიერი მთავრობის" არსებობა. ქვეყანაში აღარ უნდა დარჩენილიყო მთავრობის უფლებით აღჭურვილი რომელიმე სხვა ორგანო (იგულისხმებოდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები).

დეკლარაციიდან კარგად ჩანს, რომ ნოე რამიშვილი „მტკიცე" და „ძლიერი ხელისუფლების" მომხრე იყო. თუმცა, სათქმელია შემდეგიც: როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას დაისვა საკითხი, ვინ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მეთაური - პრეზიდენტი თუ მთავრობის თავმჯდომარე, - ნოე რამიშვილმა მხარი ამ უკანასკნელი თანამდებობის დატოვებას დაუჭირა.[143]

გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ნ. რამიშვილის მთავრობის „საშინაო პოლიტიკა უნდა აგებულიყო მემარჯვენე-ცენტრიზმის პლატფორმაზე და რეფორმები უნდა გატარებულიყო ყველა სოციალურ ფენასთან კომპრომისის გზით".[144]

ჩვენ მთავრობის დეკლარაცია ზემოთ მუხლობრივად განვიხილეთ, აღვნიშნეთ მასში გამოკვეთილი ხელისუფლების ყოველი მიზანი და ამოცანა, მაგრამ ვერ აღმოვაჩინეთ „მემარჯვენე-ცენტრიზმი" და ვერც „რეფორმების ყველა სოციალურ ფენასთან კომპრომისის გზით" განხორციელების სურვილი ან დაპირება. წესით, ეროვნულ მთავრობას ერის ყველა შემადგენელი ნაწილის ინტერე-

---

[143] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 125, ანაწ. 1, საქმ. 129, ფურც. 41-42; ასევე, შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II, თბ., 2006, გვ. 174. ნ. რამიშვილს არ ხიბლავდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში მოქმედი საპრეზიდენტო მმართველობის მოდელი, უპირატესობას შვეიცარიის სახელმწიფო სისტემას ანიჭებდა და, მცირე კორექტირებით, იგი საქართველოსათვის უფრო მისაღებად მიაჩნდა. ცვლილება ქვეყნის პირველი პირის კომპეტენციის ფარგლებს უნდა შეეხებოდა იმ თვალსაზრისით, რომ მთავრობის თავმჯდომარე იმავდროულად რესპუბლიკის წარმომადგენელიც ყოფილიყო.

[144] დ. ჯოჯუა, 1918 წლის 24 ივნისის გადატრიალება საქართველოში და მისი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე, კრებულში - ზურაბ პაპასქირი - 60, თბ., 2010-2013, გვ. 460.

სები თანაბრად უნდა გაეთვალისწინებინა, მაგრამ ნოე რამიშვილის კოალიციურ კაბინეტში არსებული სოციალ-დემოკრატიის პრიმატი სასწორს უფრო „მშრომელ კლასების“ სასარგებლოდ ხრიდა. ამ გარემოებას არც მალავდა, პირიქით, - ხაზგასმით აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა“. თავის მოწინავეში, რომელიც გაზეთმა ხსენებულ დეკლარაციას მიუძღვნა, მიუთითა, რომ მთავრობას ახალი წყობილების განმტკიცება საჭიროდ და შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ „დემოკრატიის საშუალებით და მისი ინტერესების დაკმაყოფილებით“.[145]

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დეკლარაციაში საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნება-განვითარების მკაფიოდ და ნათლად გამოხატულ სურვილს, მომავლის იმედსა და რწმენას. ამის აღნიშვნა მით უფრო აუცილებელია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის მიუხედვად, თვით დომინანტი პოლიტიკური ძალის - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ელიტაში კვლავ რჩებოდნენ ადამიანები, რომლებსაც ეჭვი ეპარებოდათ ქართული სახელმწიფოს დღეგრძელობაში და თვალი კვლავ „დემოკრატიულ“ რუსეთზე ეჭირათ. აკაკი ჩხენკელი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისთანავე, საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, პირველ ოფიციალურ ვიზიტად გერმანიაში გაემგზავრა, შიშობდა, რომ თავისიანებს „არ გადაეხვიათ დამოუკიდებლობის გზიდან“. ბერლინიდან გამოგზავნილ წერილებში ა. ჩხენკელი თავის გულისწუხილს უპირველესად ნოე რამიშვილს უზიარებდა, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის მტკიცე და განუხრელ დამცველად მიიჩნევდა. ჩვენს პარტიას მართებს განთავისუფლდეს რუსოფილური ინერციისაგან, ჩაერიოს ხალხში ახლებურად, ჩაუნერგოს მას ეროვნული გრძნობა, პასუხისმგებლობის შეგნება, იმისა რომ, ის ახლა თვითონაა თავის ბედ-იღბალის გამომჭედი, - იწერებოდა აკაკი ჩხენკელი და მიმართავდა მთავრობის თავმჯდომარეს: „შენ გაწევს, ნოე, დიდი პასუხისმგებლობა, იმავე დროს შენი მხრით...განმტკიცება პარტიაში და იქედან ერში დამოუკიდებლობის ღრმა რწმენისა, სხვა დანარჩენი... დიდის ჭაპანწყვეტით თავისთავათ მოვა“.[146]

---

[145] გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 16 ივნისი.

[146] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1831, ანაწ. 2, საქმ. 83, ფურც. 1-3.

არანაკლებ საინტერესოა ნაწყვეტი აკაკი ჩხენკელის მეორე წერილიდან, რომელშიც ხაზგასმულია: „დიდი პასუხისმგებლობა აწევს ჩვენს პარტიას კისერზე, რყევა და ხასიათის სისუსტე მომაკვდინებელი იქნებოდა ახლა მისთვის. რუსეთისაკენ პირის გაკეთება ეროვნულათ სახიფათო იქნებოდა. ... იმედია, ამხანაგები ალღოს აუღებენ ახალ მდგომარეობას და ბოლომდე მტკიცეთ გაყვებიან ერთხელ არჩეულ თავისუფლების და დამოუკიდებლობის გზას".[147]

საქართველოს მთავრობის დეკლარაციას თუ დემოკრატიულ ღირებულებათა კუთხით განვიხილავთ, უნდა ითქვას, რომ მას სრული გამჭვირვალობა ახასიათებდა. დეკლარაცია ერთგვარი პათოსით იყო შედგენილი, მისი ტექსტი უხვადაა გაჯერებული იმ დროს ფართოდ გავრცელებული რევოლუციური ფრაზეოლოგიით, საგრძნობია სოციალ-დემოკრატიული პარტიული სტილიაც, მაგრამ ხელისუფლებას არაფერი დაუმალავს ქვეყნის მოქალაქეებისათვის - არც მიღწევები, არც ნაკლოვანებები, არც სახელმწიფოს წინაშე მდგომი სიძნელე-გამოწვევები და არც სამომავლო გეგმები თუ ამოცანები. ამასთან, დეკლარაციაში რეალისტურად იყო შეფასებული „ნორჩი რესპუბლიკის" შესაძლებლობები, არ იყო დასახული ამბიციური, იმაზე მეტი მიზნები და ამოცანები, რისი განხორციელებაც სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებით, შეუძლებელი იქნებოდა.

საქართველოს მთავრობის დეკლარაციამ ეროვნული საბჭოს წევრთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. განხილვას 1918 წლის 15 და 16 ივნისს სამი სხდომა მიეძღვნა. იყო კრიტიკული შეფასებებიც და მოწონების გამომხატველი გამოსვლებიც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ფედერალისტებმა: სამსონ ფირცხალავამ, სვიმონ მდივანმა, აკაკი პაპავამ და სამსონ დადიანმა, უპარტიო კონსტანტინე აფხაზმა, რადიკალ-დემოკრატებმა დავით ჩიქოვანმა და ალექსანდრე ახმეტელმა, ესერმა იოსებ გობეჩიამ და გრიგოლ ნათაძემ, ეროვნულ-დემოკრატებმა: გრიგოლ ვეშაპელმა, გერონტი ქიქოძემ, რევაზ გაბაშვილმა, მიხეილ მაჩაბელმა, იოსებ მაჭავარიანმა, შალვა ქარუმიძემ, სოციალ-დემოკრატებმა ირაკლი წერეთელმა და ნოე ჟორდანიამ.

მათი სიტყვებისა და შენიშვნების გამო საბჭოს განმარტება მისცეს მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილმა, ფინანსთა მინისტ-

---

[147] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1831, ანაწ. 2, საქმ. 83, ფურც. 6.

რმა გიორგი ჟურულმა და მიწათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა.

დეკლარაციის ორდღიანი განხილვის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ კენჭი უყარა რეზოლუციის ორ ვარიანტს. პირველი პროექტი სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წარმოადგინა და ასეთი შინაარსის იყო: „მოისმინა რა მთავრობის მოხსენება მისი სამოქმედო გეგმის შესახებ, საქართველოს ეროვნული საბჭო უცხადებს სრულ ნდობას დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პირველ მთავრობას“.

მეორე, - ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის რეზოლუციის პროექტი აღნიშნავდა: „დღევანდელი მთავრობის სამხედრო, აგრარული და ფინანსიური პოლიტიკა საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს. ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მთავრობის ორგანიზაციას სახელმწიფოებრივ და სოციალისტურ ელმენტებს შორის პარიტეტის პრინციპის მიხედვით კოალიციურ პლატფორმის ნიადაგზე.“

საბჭოს უმრავლესობამ, ეროვნულ-დემოკრატების გამოკლებით, დაამტკიცა რეზოლუციის პირველი პროექტი და ნოე რამიშვილის მთავრობას სრული ნდობა გამოუცხადა. [148]

ეროვნულ-დემოკრატები არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ეროვნული საბჭოს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებით და მთავრობის დეკლარაციას თავიანთი პარტიული გამოცემის ფურცლებიდანაც გამოეხმაურნენ. კერძოდ, გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ვასილ წერეთლისა და რაფიელ ინგილოს კრიტიკული სტატიები.

კრიტიკას შეიცავდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის გაზეთის „სახალხო საქმის“ გამოხმაურებაც მთავრობის დეკლარაციაზე. გაზეთი მიანიშნებდა სახელმწიფო აპარატის გაუმართაობაზე, ცენტრსა და პროვინციას შორის სახელმწიფოებრივი კავშირის სისუსტეზე და სხვ.[149]

ნოე ჟორდანიას სიტყვით: „საქართველოს პირველ მთავრობის პირველ დეკლარაციის განხილვამ ნამდვილი პარლამანტარული განწყობილება შექმნა ეროვნულ საბჭოში“.[150]

---

[148] გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 18 ივნისი.

[149] გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 18 ივნისი.

[150] გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 18 ივნისი.

სოციალ-დემოკრატიული პერიოდული პრესის თანახმად კი, „მთავრობის დეკლარაციის განხილვის დროს საქართველოს პარლამენტმა ნამდვილი სარკის როლი ითამაშა და ყველა წრეების და პარტიების გულისნადები გამოააშკარავა".[151]

1918 წლის ზაფხულში, გაზეთი „ერთობა" ასე აფასებდა საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას: „მიუხედავად ყოველგვარი ინტრიგისა, შიგნით თუ გარეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მაინც საუკეთესო ოაზისია მთელი რუსეთის და ამიერკავკასიის ანარქიით მოცულ უსაზღვრო სივრცეში".[152] ამ სიტყვებში არაფერი იყო გადაჭარბებული. და თუ მოკლე დროში საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის აღმშენებლობას, მოესწრო არაერთი დემოკრატიული ინსტიტუციის ფორმირება, სათავე დაედო სახელმწიფოებრივ წესრიგსა და სხვა, ამ საქმეში, რა თქმა უნდა, მთავრობის პირველი პრემიერის - ნოე რამიშვილის ღვაწლიც იყო.

[151] გაზ. „ერთობა", 1918 წ., 18 ივნისი.

[152] გაზ. „ერთობა", 1918 წ., 21 ივლისი.

პრემიერის გადადგომა

1918 წლის 24 ივნისს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილმა ეროვნულ საბჭოს გადადგომის თხოვნით მიმართა. სათანადო განცხადებაში აღნიშნული იყო: „საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობას დაეკისრა მეტად მძიმე მოვალეობა - მოსპოს ჩვენს სახელმწიფოს ფარგლებში ანარქია და აღადგინოს სრული წესიერება რევოლიუციის მოპოებათა საბოლოო გასამტკიცებლათ. ამ მოვალეობის ასასრულებლად ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მთავრობის გარშემო ყველა საზოგადოებრივ და რევოლიუციონურ რეალურ ძალთა გაერთიანება. რომ პარლამენტს საშუალება მიეცეს ეს მიზანი დაჩქარებით განახორციელოს, მთავრობამ დაადგინა სამსახურიდან გადადგეს და თქვენ გაცნობოს თვისი ასეთი დადგენილება ახალი მთავრობის დაუყონებლივ შესადგენათ“.[153]

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო ეროვნული საბჭოს ყველა პოლიტიკურმა ფრაქციამ. სიტყვებითა და განცხადებებით გამოვიდნენ გრიგოლ ვეშაპელი (ეროვნულ-დემოკრატებისაგან), ალექსანდრე წერეთელი (ფედერალისტური პარტიისა სახელით), კალენიკე ქავთარაძე (ალიონის ჯგუფი), ივანე ჩერქეზიშვილი (სოციალისტ-რევოლუციონერი) და ალექსანდრე ახმეტელი (რადიკალ-დემოკრატი). კამათის დასრულების შემდეგ ეროვნულმა საბჭომ ასეთი რეზოლუცია მიიღო:

„მოისმინა რა მთავრობის განცხადება მისი გადადგომის შესახებ, ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მიანდოს საბჭოს წევრს ნოე ჟორდანიას ახალი მთავრობის შედგენა და ანიჭებს მას საგანგებო უფლებებს მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად და გასაერთიანებლად“.[154]

კენჭისყრისას ეროვნულ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს. დანარჩენმა ფრაქციებმა საბჭოს რეზოლუციას მხარი უცვლელად დაუჭირეს.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებაში განხორციელდა ცვლილება. თავმჯ-

---

[153] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 43, ფურც. 29; ასევე, გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 25 ივნისი.

[154] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 51, ფურც. 3;

დომარის პოსტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ნოე ჟორდანიამ დაიკავა. ნოე რამიშვილი დარჩა შინაგან საქმეთა უწყების მეთაურად.[155]

ამ ცვლილებაში ზოგიერთი მკვლევარი „მთავრობის ნაადრევ კრიზისს“ ხედავს და იგი ოპოზიციის მიერ გამოწვეულ მოვლენად მიაჩნია,[156] ზოგიერთი კი მას „სახელმწიფო გადატრიალებას“ უწოდებს.[157]

გვხვდება თვალსაზრისიც, რომ ნოე რამიშვილის შეცვლა „იმპიჩმენტიც“ იყო და ნებაყოფლობითი გადადგომაც[158] და, რომ მთავრობის თავმჯდომარემ პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა.[159]

---

[155] მოგვიანებით, 1918 წ. შემოდგომაზე, საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი აკაკი ჩხენკელის ნაცვლად მიიღო ევგენი გეგეჭკორმა (სოციალ-დემოკრატი). მთავრობის დადგენილებით, იმავე წლის 22 ნოემბერს ჩხენკელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 69, ფურც. 1-2). სამხედრო მინისტრის მოადგილე და რესპუბლიკის ჯარის მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე ჯერ გენერალ ილია ოდიშელიძით შეცვალეს, თუმცა ეს გადაწყვეტილება მეორე დღეს გაუქმდა და ორივე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი დაინიშნა. სამხედრო მინისტრის მოადგილეობა ნ. ჟორდანიას ვ. ჯუღელისათვისაც შეუთავაზებია, მაგრამ ამ უკანასკნელს უარი უთქვამს: „გვარდიასთან განშორება არ მინდოდაო“ (В. Джугели, Тяжелий крест, Тб., 1920, გვ. 26). შინაგან საქმეთა მინისტრის (რომელიც იმავდროულად საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა) მოადგილეებად შეარჩიეს გერასიმე მახარაძე და კონსტანტინე საბახტარაშვილი. საგარეო უწყებაში მოადგილის პოსტი შეინარჩუნა ზურაბ ავალიშვილმა, მეორე მოადგილედ დაამატეს კონსტანტინე გვარჯალაძე, შრომის სამინისტროში ერთ-ერთ მოადგილედ დააწინაურეს გიორგი ერაძე. დანარჩენ სამინისტროებში მოადგილეები არ შეუცვლიათ (იხ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 2, ფურც. 8-9).

[156] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 105.

[157] დ. ჯოჯუა, 1918 წლის 24 ივნისის გადატრიალება საქართველოში და მისი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე, გვ. 445-463.

[158] დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები. წერილები, გვ. 134.

[159] შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წგნ. II, თბ., 2006, გვ. 160

რა მოხდა სინამდვილეში, რამ განაპირობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერის ნაადრევი წასვლა თანამდებობიდან?

ნოე რამიშვილის გადადგომა რომ თითქოს ოპოზიციის კრიტიკული გამოსვლების შედეგი იყო, ამთავითვე უნდა გამოირიცხოს. ცნობილია, რომ დეკლარაციის განხილვისას 1918 წლის 15-16 ივნისს ეროვნულმა საბჭომ რამიშვილის მთავრობას ნდობის ვოტუმი გაუგრძელა. 24 ივნისს გამართულ საბჭოს სხდომაზე კი, გრიგოლ ვეშაპელმა ეროვნულ-დემოკრატთა სახელით პირდაპირ განაცხადა: „მთავრობის კრიზისი არ არის გამოწვეული პარლამენტში ძალთა განწყობილებით".[160]

რა მონაცემებს ეყრდნობიან ის ისტორიკოსები, რომლებიც ნოე რამიშვილის იძულებით გადადგომაზე - გადაყენებაზე საუბრობენ? მათ ამის ძირითად საბუთად მოჰყავთ ვითომცდა გენერალ გიორგი კვინიტაძის ნათქვამი: „ვალიკო ჯუღელი[161] რამდენჯერმე შემოვარდა მთავრობის სხდომაზე ყვირილით: გვარდია არავითარ მთავრობას არ დაემორჩილება, თუ მისი თავმჯდომარე ნოე ჟორდანია არ იქნებაო".

დავიწყოთ იმით, რომ ცნობილი გენერლის სიტყვები მკვლევართ დამოწმებული აქვთ ნოე რამიშვილის შვილის - აკაკი რამიშვილის მოგონებებიდან და არა უშუალოდ გიორგი კვინიტაძის მემუარების წიგნიდან, რომელშიც მსგავსი არაფერი წერია.

გენერალი გიორგი კვინიტაძე, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, გრიგოლ გიორგაძის თანაშემწე (მოადგილე) ნოე რამიშვილის კოალიციურ კაბინეტში, საჭიროების შემთხვევაში, ესწრებოდა მთავრობის სხდომებს. ოქმებში, რომლებიდანაც მთავრობის სხდომებზე მისი მონაწილეობა დასტურდება (ასეთი კი სულ 6 ფაქტია), ნახსენები არ არის ჯუღელის გვარი. ეს იმას ნიშნავს, რომ გვარდიის სარდალს მთავრობის სხდომებზე არ იწვევდნენ (თანაც, ამ პერიოდში ჯუღელი, გვარდიის შენაერთებთან ერთად, უფრო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმყოფებოდა ანარქიასთან საბრძოლველად და არა თბილისში). დაუპატიჟებლად შევარდნა და თანაც რამდენჯერმე კი, მეტად არასერიოზული ჩანს და ვ. ჯუღელის არაადეკვატურობას რომ თავი დავა-

---

[160] გაზ. „ერთობა", 1918 წ., 26 ივნისი.

[161] ვალიკო ჯუღელი - სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მეთაური (სარდალი).

ნებოთ, ჩრდილი მთავრობასაც ადგება. ეგეც არ იყოს, გვარდია რომ მთავრობას არ ექვემდებარებოდა და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას განკარგულებებით იმართებოდა, ეს ყველასათვის ცნობილი იყო და მისი აღნიშნული ფორმით საჯაროდ გაცხადების საჭიროება აღარ უნდა არსებულიყო.[162]

თვალსაზრისს, რომ თითქოს ნოე რამიშვილი ჟორდანია-ჯუღელის შეთქმულების მსხვერპლი გახდა, ამაგრებენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის ერთი პუბლიკაციითაც, რომელიც 1961 წელს, პარიზში, ჟურნალ „ბრძოლის ხმაში“ დაიბეჭდაო. რაჟდენ არსენიძე თითქოს იხსენებდა 1918 წლის 23 ივნისს გამართულ ეროვნული საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხდომას, რომელიც ირაკლი წერეთლის თაოსნობით გამართულა და პრემიერი ნოე რამიშვილიც ესწრებოდა. „ირაკლიმ მოულოდნელად მთავრობის თავმჯდომარედ ნაცვლად ნოე რამიშვილისა, ნოე ჟორდანიას კანდიდატურა წამოაყენა. ბევრი ჯიუტობდა: სხვა თავმჯდომარეს, თუ შეცდომას ჩაიდენს, ადვილად გამოვცვლით, ნოე ჟორდანიას კი ვერაო.“[163] „როგორც ჩანს, ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი“, რამიშვილისა და იქ დამსწრე ზოგიერთი პარლამენტარისათვის კი, ეს ამბავი მოულოდნელი ყოფილა.[164]

პოლიტიკური ფრაქციის შეკრებაში ეროვნული საბჭოს პლენარული სხდომის წინ უჩვეულო არაფერია. ეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ფორმაა. მოულოდნელობის ეფექტი ამ ამბავს შეთქმულების ხასიათს ნაკლებად აძლევს. შეთქმულები ნიშანში ამოღებულ მსხვერპლს წინასწარ არ ეთათბირებიან. ამ შემთხვევაში კი ისე გამოდის, რომ სწორედ მოითათბირეს და რამიშვილი დაიყოლიეს. იგი დათანხმდა გადადგომას და სათანადო განცხადებაც დაწერა. მხოლოდ ამის შემდეგ, 24 ივნისისათვის დაინიშნა ეროვნული საბჭოს სხდომა მთავრობის განცხადების განსახილველად.

ლაპარაკი შეთქმულების შესახებ, ალბათ, მაშინ იქნებოდა ლოგიკური და საფუძვლიანი, ირაკლი წერეთელს რომ მთავრობის შეცვ-

---

[162] იმ დროს არა მხოლოდ საუბრობდნენ, პრესაშიც იწერებოდა, რომ „საქართველოს ორი მთავრობა ჰყავს, ერთი ოფიციალური და მეორე - გვარდია-საბჭოები“ (იხ. გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 20 ივნისი).

[163] ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები, გვ. 23.

[164] დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები. წერილები, გვ. 133.

ლის საკითხი რამიშვილის ზურგს უკან, პირდაპირ ეროვნულ საბჭოში დაესვა და პრემიერი ფაქტის წინაშე დაეყენებინა.

მაგრამ არის კიდევ სხვა შეუსაბამობა. რაჟდენ არსენიძის წერილში, რომელიც „ბრძოლის ხმაში" კი არ გამოქვეყნებულა,[165] არამედ ჟურნალ „ჩვენ დროშაში" დაიბეჭდა, მსგავსი არაფერია ნათქვამი. მკვლევრები, როგორც ჩანს, ბრმად ენდვნენ აკაკი რამიშვილს, რომელსაც პარიზული ემიგრანტული გამოცემის დასახელება აერია და თანაც რ. არსენიძის ტექსტის თავისებური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. მეტი სიზუსტისათვის, მოვიტან ამონაწერს არსენიძის სტატიიდან, რომლის სათაურია „ირაკლი წერეთლის ხსოვნას". ავტორი წერდა: „საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობის თავმჯდომარე იყო ნოე რამიშვილი. ...მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ (სინამდვილეში ერთი თვეც არ იყო გასული, - ო. ჯ.) გადაწყდა ქვეყნის გაძღოლა ნოე ჟორდანიასთვის ჩაგვებარებია. ამის ინიციატორი და გამტარებელი იყო ირაკლი წერეთელი. მან დააჯერა ჯერ ნოე ჟორდანია, რომ ის, როგორც ლიდერი, უნდა ჩადგომოდა სათავეში ქვეყნის მართვას, რადგან ამაზე უფრო დიდი და უფრო საპასუხისმგებლო საქმე ქვეყანას არ ქონდა, არც პარტიას, არც რევოლუციურ ორგანიზაციებს, რომელსაც ნ. ჟორდანია მაშინ მეთაურობდა. ეს აზრი მიაღებინა ს.-დემ. ფრაქციასაც, რომლის თავმჯდომარე ის იყო. საბუთად ის მოქონდა, რომ ასე იქცევა ინგლისის სანიმუშო დემოკრატია. ასე უნდა მოიქცეს ქართველი სოც.-დემოკრატიაც, რათა ყველამ იგრძნოს, რომ პარტიას მთელი თავისი ძალა, პრესტიჟი და შესაძლებლობა დამოუკიდებელ სახელმწიფოს გასაძღოლად აქვს დადებულიო.

ფრაქციაში ბევრი ჯიუტობდა, სხვა თავმჯდომარემ თუ შეცდომა ჩაიდინა, ადვილად გამოვცვლით, ნ. ჟორდანიას კი ვერაო. ირაკლი კი პირიქით, სწორედ ასეთი გამოცვლის წინააღმდეგი იყო. საუკეთესო ძალა, პარტიის სახელი და დიდება - მთლი-

---

[165] საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროს ყოველთვიური ორგანო „ბრძოლის ხმა" გამოდიოდა 1929 წლიდან როგორც გაზეთი. 1938 წლის აპრილიდან გადაკეთდა ჟურნალის ფორმატად და გამოიცემოდა 1940 წლამდე (გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბ., 2005, გვ. 7).

ანად უნდა ჩავდვათ ერის სამსახურში და არა გამოცვლაზე ვიფიქროთო".[166]

ჯუღელის თემა რომ ამოვწუროთ, საჭიროა გავიხსენოთ 1918 წლის 8 ივნისს თბილისში გამართული ერთ კრება. ამ დღეს სახელდახელოდ შეკრებილან თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, შეერთებული ცენტრისა და წითელი გვარდიის შტაბის წევრები. სიტყვით გამოსვლისას ვ. ჯუღელს განუცხადებია: „მაგარი მთავრობის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ იქ გავგზავნით ჩვენ საუკეთესო ამხანაგებს. მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ თუ დემოკრატიის მესვეური ნოე ჟორდანია არ შევიდა მთავრობაში, ჩვენ არასოდეს გვეყოლება მაგარი მთავრობა".[167] ვფიქრობ, გვიანდელ მოგონებებში აღწერილი ჯუღელის „შევარდნები" მთავრობის სხდომებზე სათავეს აქედან უნდა იღებდეს.

თვით ვ. ჯუღელი თავის დღიურების წიგნში ,,მძიმე ჯვარი", 1918 წლის 17 ივნისის თარიღით ამგვარ ფაქტს გადმოგვცემს: ,,გუშინ ვიყავი ჩვენი ბელადების ძალიან მნიშვნელოვან თათბირზე. გადაწყდა, რომ ნოე ჟორდანია გახდება მთავრობის თავმჯდომარე. ეს ბოლო ფსონია, დემოკრატიის საუკეთესო შესაწირავი".[168]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში განხორციელებული ცვლილების არსში ჩასაწვდომად უფრო მეტის თქმა შეუძლია იმ სტენოგრაფიული ანგარიშის გაცნობას, რომელმაც საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 24 ივნისის სხდომის მიმდინარეობა ასახა. როგორც ვნახეთ, სწორედ ამ სხდომამ დააკმაყოფილა მთავრობის თხოვნა გადადგომის შესახებ და ახალი კაბინეტის შედგენა ნოე ჟორდანიას მიანდო. ჩვენთვის საინტერესო კუთხით, განსაკუთრებით საგულისხმოა ირაკლი წერეთლის სიტყვა.

საბჭოს წინაშე გამოსვლისას სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელმა განაცხადა: „ჩვენ არ გვქონდა ერთი ძლიერი ცენტრი" და „მაგარი მთავრობა", „დღემდის და დღეს ჩვენი მთავრობა სუსტია, ის ცოცხლობს ხელოვნური სულისდგმით.

---

[166] ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1961, № 36, ოქტომბერი, გვ. 16.

[167] გაზ. „ერთობა", 1918 წ., 11 ივნისი.

[168] В. Джугели, Тяжелий крест, Тб., 1920, გვ. 22. ვ. ჯუღელის თანახმად, მთავრობაში ნ. ჟორდანიას შესვლის იდეა უფრო ადრე, ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ე. გეგეჭკორს გამოუთქვამს, მაგრამ მაშინ მას მხარდამჭერები არ აღმოუჩდნენო.

არსებობდნენ სხვადასხვა რევოლუციონური ორგანიზაციები, რომლებიც მთავრობას სულს უდგამდნენ".[169]

თავი დავანებოთ იმის გარკვევას, როდიდან დასჭირდა ნოე რამიშვილის მთავრობას „ხელოვნური სუნთქვა", - წერეთელს ხომ მსგავსი არაფერი უთქვამს ამ მთავრობის დეკლარაციის განხილვისას 1918 წლის 15-16 ივნისს და ყურადღება მივაქციოთ ციტატის ბოლო ფრაზას, რომ მთავრობას სულს „რევოლუციონური ორგანიზაციები" უდგამდნენ (ნოე ჟორდანიას სიტყვით, „მთავრობას ამაგრებდნენ"[170]). მაშასადამე, საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ქვეყნის ლეგიტიმური ხელისუფლების ჩამოყალიბების შემდეგაც არსებულა სხვა, უფრო ძლიერი და გავლენიანი სტრუქტურები, როგორც ოფიციალური მთავრობის ალტერნატიული ძალა ანუ, სხვაგვარად - მეორე ხელისუფლება.

მართლაც, „ეროვნული საბჭო და მთავრობა, ერთი მხრივ, და საბჭოები, მეორე მხრივ, ქმნიდნენ პოლიტიკური რეჟიმის ორპოლუსიან სტრუქტურას" - „პოლიტიკურ ბიპოლარიზმს".[171]

ვინ იგულისხმებოდა ამ „რევოლუციონურ ორგანიზაციებში"? ესენი იყვნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები და წითელი გვარდია. ირაკლი წერეთლის სიტყვით, „გლეხების და მუშების ნდობა ჰქონდათ ამ ორგანიზაციებს. რაც შეეხება მთავრობას, ... მთელი დემოკრატია, მასსა ნდობას არ უცხადებდა მას".[172]

გვარდია პირწმინდად სოციალ-დემოკრატიული შეიარაღებული წარმონაქმნი იყო („სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია"), საბჭოებში კი, მართალია, ესერებიც შედიოდნენ, მაგრამ ამინდს აქაც სოციალ-დემოკრატები ქმნიდნენ. ესე იგი, სოციალ-დემოკრატები დომინანტობდნენ კოალიციურ მთავრობაში და იგივენი სრულად აკონტროლებდნენ ამ მთავრობის ალტერნატიულ „რევოლუციურ ხელისუფლებას". რისთვის იყო საჭირო ძალების ამგვარი გაფანტვა?

---

[169] გაზ. „ერთობა", 1918 წ., 26 ივნისი. სხვა გამოსვლაში ი. წერეთელი მთავრობის სისუტედ მიიჩნევდა იმას, რომ იგი „სრულიად არ სარგებლობს იძულების მეთოდით" (გაზ. „ერთობა", 1918 წ., 11 ივნისი).

[170] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 91.

[171] დ. ჯოჯუა, 1918 წლის 24 ივნისის გადატრიალება საქართველოში და მისი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე, გვ. 453, 456.

[172] გაზ. „ერთობა", 1918 წ., 11 ივნისი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1918 წლის მაისში მათი პროგრამული მისწრაფების საწინააღმდეგოდ დათანხმდნენ. არც სურდათ და არც აპირებდნენ, მაგრამ შექმნილმა მდგომარეობამ ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ უბიძგათ. როგორც კარგად ორგანიზებულმა, სხვებზე მეტად გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალამ, სოციალ-დემოკრატიამ, დასკვნით ეტაპზე, წარმატებით უხელმძღვანელა სუვერენული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას და მისი მეთაურობაც იკისრა. მაგრამ პარტიის ლიდერები, მათ შორის ნოე ჟორდანია, ბოლომდე არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფით სწორ გზას დაადგნენ. გაამართლებდა თუ არა ეს არჩევანი, მრავალ გარემოებაზე იყო დამოკიდებული (მიმდინარე მსოფლიო ომი, მეზობლებთან ურთიერთობა, რუსეთის ფაქტორი, ქვეყნის შიდა ვითარება და სხვ.). ასეთ სინამდვილეში, ნოე ჟორდანიამ მეორე სკამის შენარჩუნებაც საჭიროდ ჩათვალა და მოვლენათა მსვლელობას დაელოდა: ერთბაშად არ გააუქმა ფაქტობრივი ძალის მქონე საბჭოები და უარი არც მის დასაყრდენ გვარდიაზე უთქვამს.

მოვლენები კი სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან ერთი თვის განმავლობაში ასე განვითარდა: ქართველმა ხალხმა საკუთარი სახელმწიფოს შექმნის ფაქტი სიამოვნებით მიიღო. ქვეყანაში, რუსეთისაგან განსხვავებით, სამოქალაქო ომი არ გაჩაღებულა. გერმანიის დაპირებაც, რომ იგი დაიცავს საქართველოს სუვერენიტეტს, სულ უფრო დამაჯერებელი გახდა (გერმანიის ჯარის ნაწილები უკვე შემოვიდნენ საქართველოში). ჯერ-ჯერობით მეზობელ რესპუბლიკებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა) ურთიერთობაც ნორმალურად მიმდინარეობს, სამოქალაქო ომში ჩაძირული საბჭოთა რუსეთიც სამხედრო აგრესიისათვის ვერ იცლის. მაშ, სახელმწიფომ და მისმა მთავრობამ გაძლო, პერსპექტივაც უფრო საიმედოდ გამოიკვეთა. ახლა საჭირო აღარ არის მეორე ხელისუფლების არსებობა.

შექმნილი რეალობა ეროვნული საბჭოს ტრიბუნიდან ირაკლი წერეთლმა ასე დაახასიათა: „ჩვენი დემოკრატია შესდგა ახალი ცხოვრების გზაზე და ეს ახალი კალაპოტი საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის ცხოვრებისა უნდა დამკვიდრდეს.“ ორატორმა იქვე დასძინა, რომ „დადგა დრო, როცა უნდა შეიქმნას ძლიერი მთავრო-

ბა. ...ჩვენ ერთ ცენტრში უნდა მოვუყაროთ თავი ყველა ჩვენს საუკეთესო ძალებს, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში არიან სამუშაოდ გაფანტულნი".[173]

ახლა იმავე სხდომაზე ნოე ჟორდანიას გამოსვლის ერთ ფრაგმენტსაც გავეცნოთ. მისი სიტყვით: „დღემდის მთავრობას არ ჰქონდა ყველა ფუნქციები. არსებობდა სხვადასხვა რევოლუციონური ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებდნენ ზოგიერთ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს. ....რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა გამოსთქვეს სურვილი სახელმწიფოებრივი ფუნქციები გადასცენ მთავრობას".[174] (ნ. ჟორდანიას მხედველობაში ჰქონდა ზემოთ უკვე ნახსენები, 8 ივნისს გამართული თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, შეერთებული ცენტრისა და წითელი გვარდიის შტაბის წევრთა კრება, რომელმაც ასეთი დადგენილება გამოიტანა: რევოლუციურ ორგანიზაციებსა და მთავრობას ცალ-ცალკე არ შეუძლიათ ძლიერი სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მათი გაერთიანებით და მთელი შეიარაღებული ძალის დემოკრატიული მთავრობის ხელში გადაცემის გზით[175]).

დაბოლოს, ისევ ერთი ნაწყვეტი ეროვნულ საბჭოში ირაკლი წერეთლის სიტყვიდან, რომელიც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს მსჯელობას: **„სანამდის საჭიროება მოითხოვდა ნოე ჟორდანიას რევოლუციონურ ორგანიზაციებში მუშაობას, ის იქ იყო და როდესაც მთავარი პოზიცია მთავრობის ხელში გადადის, აქ უნდა დავაყენოთ ჩვენი ნოე"** (ხაზი ჩემია, - ო. ჯ.).[176]

---

[173] გაზ. „ერთობა, 1918 წ., 26 ივნისი.

[174] გაზ. „ერთობა", 1918 წ., 26 ივნისი.

[175] გაზ. „სახალხო საქმე", 1918 წ., 11 ივნისი. თავის მემუარებში ნ. ჟორდანია ამ ფაქტს ასე აღწერს: „დაიბადა აზრი ამ ორი ძალის („რევოლუციონურისა" და ეროვნულის, - ო. ჯ.) გაერთიანების შესახებ ერთი პირის, ჩემი მეთაურობით" (გვ. 90). აღსანიშნავია, რომ ნ. ჟორდანია მთავრობის თავმჯდომარედ მისი არჩევის შემდეგაც იტოვებდა უკანდასახევ გზას და ბოლომდე არ ჭრიდა „რევოლუციურ" ტოტს, რომელზედაც იჯდა. აცხადებდა: „თუ მთავრობამ ვერ გაართვა თავი მართვა-გამგეობის საქმეებს და ფუნქციები ჯეროვნად ვერ შეასრულა, მაშინ ისევ რევოლუციონურ ორგანიზაციებში გადავა ზოგიერთი სახელმწიფოებრივი ფუნქციები" (იხ. გაზ. „ერთობა", 1918 წ., 26 ივნისი).

[176] გაზ. „ერთობა", 1918 წ., 26 ივნისი.

რატომ ნოე ჟორდანია და არა ნოე რამიშვილი? ეს კითხვა საბჭოში არავის დაუსვამს, თუმცა ი. წერეთელმა მაინც უპასუხა: იმიტომ, რომ ჟორდანია არის „ნამდვილი გამომხატველი ჩვენი დემოკრატიის სურვილების“, ის არის აღჭურვილი ყველა პარტიის ნდობით.

ეროვნულ საბჭოში შემავალი პოლიტიკური სპექტრის ნდობა ნოე რამიშვილსაც გააჩნდა, - იგი ერთხმად იყო დამტკიცებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის თავმჯდომარედ. მაშ, რატომ დათმო მან ასე იოლად ქვეყნის პირველკაცობა?

როგორი იყო ნოე რამიშვილის რეაქცია ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებაზე? ზუსტად ვერ ვიტყვით, რადგან საბჭოს ხსენებულ სხდომაზე იგი არც სიტყვით გამოსულა და არც რეპლიკა წარმოუთქვამს, - მთავრობის თავმჯდომარეობიდან ოფიციალურად გადადგა, მაგრამ დარჩა შინაგან საქმეთა მინისტრად. რაჟდენ არსენიძის სიტყვით: „როცა ერის ინტერესებმა მოითხოვეს, იგი (ნოე რამიშვილი, - ო. ჯ.) უდრტვინველად უთმობს თავის მაღალ პოსტს პარტიის მეთაურს ნოე ჟორდანიას და თვითონაც ამოუდგება გვერდში, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი“.[177]

თუ ნოე რამიშვილი აიძულეს, დაეთმო პრემიერობა, უნდა ვიფიქროთ, იგი განაწყენდებოდა და აღმასრულებელ ხელისუფლებას საერთოდ ჩამოშორდებოდა. არადა, მისი მოქმედება არ გავს ძალით გადაყენებული, გაჯავრებული კაცის ქცევას - თანხმდება მომავალ კაბინეტში თანამშრომლობას.

აკაკი რამიშვილის აზრით, ჟორდანიას მთავრობაში ნოე რამიშვილის შესვლის მიზანი იყო „შეენარჩუნებინა მთავრობისათვის, ე. ი. საქართველოს რესპუბლიკისათვის, რაიმე ეროვნული ხასიათი“.[178] სხვაგან იგივე აკაკი რამიშვილი წერს, რომ ნოე რამიშვილს შეეძლო არც გადამდგარიყო, ის ჯარის გამოყენებით შეძლებდა დაეპატიმრებინა ნოე ჟორდანია და მისი ისეთი მხარდამჭერები, როგორებიც იყვნენ ირაკლი წერეთელი, ვალიკო ჯუღელი და სახალხო გვარდიის შტაბი, მაგრამ ჩათვალა, რომ ამას სამოქალაქო ომი მოჰყვებოდა და ამ რადიკალური ნაბიჯისაგან თავი შეიკავაო.

---

[177] რ. არსენიძე, ნოე რამიშვილის ხსოვნას, ჟურნ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1981, № 96, გვ. 7.

[178] ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები, გვ. 23.

არავინ იცის, წავიდოდა თუ არა ქართული ჯარი და მისი სარდლობა ასეთ ავანტურაზე. ნაკლებ სარწმუნოა, ემიგრაციაში, უკვე ღრმად მოხუცი გენერლის გიორგი კვინიტაძის სიტყვებიც, რომელსაც ისევ აკაკი რამიშვილი იშველიებს და მკვლევართა ნაწილიც უკრიტიკოდ იზიარებს. კვინიტაძეს თითქოს უთქვამს: „საკმარისი იყო ნოე რამიშვილს ჩემთვის ეთხოვა და მეორე დღესვე მივართმევდით გაბაწრულ გენერალურ შტაბს (იგულისხმება მთავარი შტაბი, - ო. ჯ.). ...გვარდია ამით დაიშლებოდა. მთავრობის გადატრიალებას მაშინ ვეღარავინ შეძლებდა“.[179]

ლოგიკისაგან შორს არის ის აზრიც, რომ მთავრობის მეთაურობას იძულებით ჩამოშორებულ, ნოე ჟორდანიაზე განაწყენებულ პიროვნებას ახალ მთავრობაში ყველაზე ძლიერ უწყებას შეუნარჩუნებდნენ და შინაგან საქმეთა მინისტრად დატოვებდნენ. ამდენად, თუ იძულება გამოირიცხა, დარჩა ერთადერთი - ნებაყოფლობითი გადადგომა.

ყოველივეს გათვალისწინებით, იმის დაშვებაც შეიძლება, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილს საქართველოში და მის ირგვლივ მოვლენათა განვითარების ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი სქემა განეხილათ და კიდევაც შეთანხმებულიყვნენ, რომ რამიშვილი მთავრობის თავმჯდომარის პოსტს დროებით დაიკავებდა და თუ ახლად გამოცხადებული სახელმწიფო არსებობას შეძლებდა, შემდეგ მას ნ. ჟორდანია შეცვლიდა.

ერთი შეხედვით, ამგვარ შესაძლებლობას უნდა გამორიცხავდეს მკვლევარ დაზმირ ჯოჯუას მტკიცება, რომ „სოციალ-დემოკრატიული პარტია იმთავითვე არ წარმოადგენდა ერთიან სახელისუფლებო სუბიექტს და მის კრატოლოგიურ ფუნქციას იმთავითვე აკნინებდა ჟორდანია-გეგეჭკორი-ჯუღელისა და რამიშვილი-ჩხენკელი-კვინიტაძის კორპორატიული დაჯგუფებების შინაგანი დიქტომია“. და რომ წარმოებდა „ბრძოლა ჟორდანიას ჯგუფის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ პროგრამასა და ნ. რამიშვილის მემარჯვენე ეროვნულ-სოციალისტურ დოქტრინას შორის“.[180]

---

[179] ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები, გვ. 24.

[180] დ. ჯოჯუა, 1918 წლის 24 ივნისის გადატრიალება საქართველოში და მისი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე, გვ. 454.

ზოგიერთი ისტორიკოსი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, დამოუკიდებლობის პერიოდშიც კი, ეროვნული და კოსმოპოლიტური ფრთების არსებობაზე საუბრობს. ოღონდ, ეროვნული ფრთის წინამძღოლად ნოე ჟორდანია სახელდება, კოსმოპოლიტების მეთაურებად კი კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი არიან მიჩნეულნი. თითქოს ეს უკანასკნელნი დიდად განიცდიდნენ რუსული მენშევიზმის გავლენას და ამ ნიადაგზე წინააღმდეგობაში იყვნენ პარტიის ლიდერ ნოე ჟორდანიასთან[181] და სხვ.

ვნახოთ, ასე იყო თუ არა სინამდვილეში. ორ ნოეს შორის უნდობლობა, გართულება ან, მით უფრო - დაპირისპირება რომ არსებულიყო, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟორდანია რატომ წამოაყენებდა პრემიერის პოსტზე მისთვის სათუო პიროვნებას? არადა, ხომ ფაქტია, რომ მთავრობის წევრობის კანდიდატები არა მარტო სოციალ-დემოკრატიული, არამედ სხვა პოლიტიკური პარტიებიდანაც კი ნოე ჟორდანიას აზრის გათვალისწინებით შეირჩა.[182] იქნებ 26 მაისიდან 24 ივნისამდე პერიოდში მოხდა ისეთი რამ, რამაც ჟორდანიასა და რამიშვილს შორის ურთიერთობა დაძაბა და გააუარესა? ვითომ დროის ამ მოკლე მონაკვეთში შეიქმნა ნ. რამიშვილის „მემარჯვენე ეროვნულ-სოციალისტურ დოქტრინა“? სათუოა, მით უფრო, რომ წყაროებში მსგავსი არაფერი ჩანს.

---

[181] ბ. კობახიძე, საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი (ხელნაწერი), თბ., 2015, გვ. 54. წინააღმდეგობა ნ. ჟორდანიასა და ი. წერეთელს შორის არა იმდენად საქართველოში, არამედ ემიგრაციაში გამოიკვეთა და მათ ნაწერებშიც რელიეფურად აისახა.

[182] რ. გაბაშვილის თანახმად, ეროვნულ-დემოკრატებს ამ პარტიის წევრის გ. ყურულის გამინისტრება ეროვნულ საბჭოში გამოცხადებამდე არც კი გაუგიათ. გ. ვეშაპელმა ამაზე პროტესტი გამოთქვა: „ჩვენ ბ-ნი გ. ყურული არ დაგვისახელებია და ვინ დანიშნა ჩვენს დაუკითხავად?-აო. ...რომ მოემართნათ, ალბათ, სწორედ ბ-ნ გიორგის დავასახელებდით“. (იხ. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, გვ. 216). ამ ინციდენტის გამო გიორგი ყურულმა 1918 წ. 15 ივნისს მინისტრობიდან გადადგომა ითხოვა, მაგრამ მთავრობის წევრებმა განზრახვა გადააფიქრებინეს (იხ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 1, ფურც. 42).

საერთოდ, უნდა აღინიშნოს შემდეგი: პოლიტიკური პარტია ცოცხალი ორგანიზმია, იგი ადამიანებისაგან შედგება და მათ ურთიერთობებს ემყარება. ადამიანთა ურთიერთობებში კი ნებისმიერ დროს შეიძლება გაჩნდეს ბზარი, ეს ურთიერთობა გართულდეს ან პირიქით, - გაღრმავდეს, განმტკიცდეს და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ პარტიული მსოფლმხედველობა და დისციპლინა ორგანიზაციის წევრებს ერთმანეთს აახლოებს და ამსგავსებს კიდეც, პიროვნებები ბოლომდე არ იშტამპებიან, რადგან სხვადასხვაობს მათი აზრთა წყობა, გარემოსთან დამოკიდებულების, სამყაროს აღქმისა და შეცნობის უნარები და სხვ. ცნობილია, რომ ნოე ჟორდანიასა და აკაკი ჩხენკელს განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ეროვნულ საკითხზე. თანაპარტიელთა შორის ამ თემაზე კარგა ხანს იყო კამათი, მაგრამ იგი არ გადაზრდილა სერიოზულ უთანხმოებაში. სხვადასხვაგვარი იყო ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის აზრი საკითხზე - ვისი გამარჯვება იქნებოდა უმჯობესი პირველ მსოფლიო ომში - გერმანიის თუ საფრანგეთის. რამიშვილი გერმანოფილობდა, ჟორდანია კი უპირატესობას საფრანგეთს ანიჭებდა. დარჩნენ თავთავიანთ აზრზე,[183] მაგრამ ერთმანეთს არ გადამტერებიან.

ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილს შორის წინააღმდეგობა-დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში, იგი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მოვლენათა ფხიზელ მეთვალყურე ოპოზიციურ პრესას. ასეთი მასალა კი მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში არ იძებნება. ასე რომ, ნოე რამიშვილის პრემიერის პოსტზე შეცვლის დრამატიზება, რაც აკაკი რამიშვილის გვიან დაწერილ მოგონებებში გვხვდება და მკვლევართ „სახელმწიფო გადატრიალებაზე“ ან „იმპიჩმენტზე“ საუბრის შესაძლებლობას აძლევთ, დამაჯერებლობას მოკლებულია. არც ის ფაქტი ცვლის რეალობას, რომ „ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მემარჯვენე ფრთა ვერ პატიობდა ნ. რამიშვილს, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველ თავმჯდომარეს, რომ მან ...დაუშვა ხელისუფლების სათავეში ნ. ჟორდანიას მოსვლა, რამაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასამარებას“.[184]

მთავრობის თავმჯდომარის შეცვლით აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტების პრინციპი არ დარღვეულა და იგი კვლავ კოალიციას ეფუძნებოდა.

---

[183] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, გვ. 69.

[184] ლ. ურუშაძე, როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია, თბ., 2011, გვ. 88.

გადაჭარბებული იქნება ვთქვათ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირველი 10 თვე (ამ ხნის განმავლობაში მართავდა ქვეყანას კოალიციური მთავრობა) მხოლოდ ახლის ძიებისა და შეთვისების, გარდაქმნებისა და წინსვლის პერიოდი იყო. იმავდროულად, ეს იყო მრავალი სიძნელის, საშინაო სირთულეებთან თუ საგარეო გამოწვევებთან გამკლავების დროც, რომელიც აღბეჭდილია როგორც მიღწევებით, ისე წარუმატებლობებით. მაგრამ, ფაქტია, რომ კოალიციურმა მთავრობამ მყარი საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას: ჩამოყალიბდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ზოგადი კონცეფცია და დაიწყო მმართველობის სისტემის ფორმირება. შეიქმნა სახელმწიფო სტრუქტურები, ახალი ინსტიტუციები. უარი ითქვა ქვეყნის გუბერნიებად დაყოფაზე და გაუქმდა კომისართა თანამდებობებიც.

მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს მთლიანად ჩამოერთვათ მმართველობის ფუნქცია, რომელიც სამაზრო ერობებისა და საქალაქო სათათბიროების ხელში გადავიდა. ადგილობრივი თვითმმართველობის (იმავდროულად - მმართველობის) ეს ორგანოები არჩევნების გზით დაკომპლექტდა. დაიწყო ცენტრალური და რეგიონული ორგანოების კომპეტენციების გამიჯვნა, დამკვიდრდა მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა, თავისუფალი პრესა, პლურალიზმი და სხვა ლიბერალური ღირებულებანი. გასაქანი მიეცა სამოქალაქო სექტორის ფორმირებას და სხვ.

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სტატუსით აღიჭურვა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც დამატებითი წევრებით შეივსო და 1918 წლის ოქტომბრიდან საქართველოს პარლამენტად იწოდებოდა.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკაც კოალიციური ხელისუფლების მოღვაწეობის პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა. ცნობილი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშის პროექტი იაკობ ნიკოლაძემ, ხოლო გერბისა იოსებ შარლემანმა შექმნეს. 1918 წლის სექტემბერში ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფო დროშად დაამტკიცა სამფეროვანი (შვინდისფერი, შავი, თეთრი) დროშა, ხოლო რესპუბლიკის გერბად ურჩხულთან მებრძოლი თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. სახელმწიფო ჰიმნის სტატუსი შეიძინა კოტე ფოცხვერაშვილის „დიდებამ“.

კოალიციური მთავრობის პირობებში საქართველომ სხვა რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგსაც მიაღწია. მათ შორის:

1. მოიგერია ბოლშევიკთა შემოჭრა აფხაზეთში 1918 წლის გაზაფხულზე, განდევნა მათი რაზმები სოხუმის ოლქიდან და ეს კუთხე შეინარჩუნა საქართველოს შემადგენლობაში.
2. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გადაიხადა ომი სომხეთთან. სძლია აგრესორს და შეძლო სამხედრო წარმატება. მართალია, მიღწეული უპირატესობა პოლიტიკურად ვერ განიმტკიცა და ლორე დროებით ნეიტრალურ ოლქად გამოცხადდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სომხების გამარჯვების შემთხვევაში, არარატის რესპუბლიკა მხოლოდ ლორეს არ დასჯერდებოდა. ამდენად, საქართველომ მოახერხა და დაიცვა საკუთარი მიწა-წყალი.

მმართველობის კოალიციური პრინციპისათვის უპირატესობის მინიჭება უდაოდ ცხადყოფს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტის მაღალ პოლიტიკურ კულტურას, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ვითარების სწორ ანალიზს, პოლიტიკურ ლიდერთა მიერ საქვეყნო ინტერესის პარტიულზე მაღლა დაყენების უნარსა და სხვ.

საქართველოს იმდროინდელი ძირითადი პოლიტიკური სპექტრის კონსენსუსი კოალიციური ხელისუფლების ფორმირებასა და მმართველობაში მონაწილეობაზე მრავალმხრივ საყურადღებო გამოცდილებაა, რომელიც სათანადო შესწავლას, გააზრებასა და გათვალისწინებას საჭიროებს.

დოკუმენტები

ფოტომასალა

„26 მაისს გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და შესდგა ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა.

რესპუბლიკის მთავრობის პირველ შემადგენლობას მეტად რთულ და მწვავე პირობებში დაეკისრა ქვეყნის მართვა-გამგეობა.

მის მთავარ მოვალეობას შეადგენს საქართველოს ხალხი გამოიყვანოს მსოფლიო ომის ქარტეხილიდგან, ხელი შეუწყოს რესპუბლიკანურ წეს-წყობილების დამყარებას და დიდის რევოლიუციით მოპოებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა საბოლოოდ განმტკიცებას.

ამ ისტორიულ მოვალეობათა მიხედვით, მთავრობის უპირველესი საგანი იყო გარეშე საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას ემუქრებოდა და ნორჩ რესპუბლიკას კულტურულ განადგურებას უქადდა. ამ მიზნით მთავრობამ უკვე გადასდგა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი. 28 მაისს ქალაქ ფოთში გერმანიის მთავრობის საიმპერიო წარმომადგენელთან დადებულ იქმნა წინასწარი ხელშეკრულება, რომლის თანახმად გერმანიის მთავრობამ აღგვითქვა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და მისი ტერიტორიის ხელუხლებლობის დაცვა. ჩვენთან შეთანხმებით გერმანიამ გამოგზავნა თავისი ჯარი, რომელიც იმოქმედებს ჩვენს განკარგულებათა თანახმად და მთავრობას ხელს შეუწყობს გარეშე საზღვრების დაცვის საქმეში.

მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მან მოამზადა ნიადაგი, რათა მკვიდრი კეთილგანწყობილება განმტკიცდეს გერმანიის სახელმწიფოსთან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

4 ივნისს ქ. ბათუმში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოსმალეთთან ხელშეკრულებას. ამ გზით ჩვენი ხალხის საყოველთაო მისწრაფება ოსმალეთთან ზავის ჩამოგდების შესახებ განხორციელდა და გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოსაზღვრე სახელმწიფოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის დასამყარებლად. თანახმად ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა, მთავრობა გადასცემს არჩეულ საზავო კომისიას ხელშეკრულების ტექსტს.

მთავრობა თავისს მოვალეობად რაცხს აშკარად აღიაროს, რომ 4 ივნისის ხელშეკრულების ზოგიერთი პირობები ქართველ ხალხის გულში სრულიად სამართლიან მწუხარებას გამოიწვევს, მაგრამ, მთავრობა იმედოვნებს, რომ ნორჩი რესპუბლიკის ენერგიულ შემოქმედებით და დიპლომატიური საქმიანობით მომავალში ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესები დაცულ იქმნება.

მთავრობა მოწადინებულია კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს კავკასიის რესპუბლიკებთან და ერებთან.

მთავრობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მის წარმომადგენელთა წინადადებით ამ დღეებში ქ. სტამბოლში შეიკრიბება ოთხი მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელზედაც მიწვეულ არიან აგრეთვე ჩვენი წარმომადგენლები და რომლის უმთავრესი საგანია საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გამორკვევა და უზრუნველყოფა.

მთავრობა თავის მოვალეობად რაცხს დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დემოკრატიული წყობილება ყოველნაირ გარეშე და შინაურ საფრთხისაგან.

მთავრობა ნათლად ხედავს, რომ დიდის რევოლიუციით მოპოებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა განხორციელებას ხელს უშლის არევდარევა, რომელმაც თავი იჩინა ჩვენს სახელმწიფოს ზოგიერთ კუთხეში.

ამიტომაც მთავრობა მთელის თავისის ძალღონით შეეცდება ანარქიის ყოველნაირ ნიადაგის მოსპობას და სახელმწიფოებრივ წესრიგის განმტკიცებას.

ამ მიზნისათვის საჭიროა დამყარდეს ერთი **ძლიერი მთავრობა,** ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი, რომლის გვერდით, როგორც ეს რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა უკვე აღიარეს, არ უნდა იდგეს არც ერთი, მთავრობის უფლებებით აღჭურვილი ორგანო.

მთავრობა აღიარებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად აუცილებლად საჭიროა საკუთარი, ევროპიულის წესით გაწვრთნილი ჯარის შედგენა და ამავე დროს მთელის ხალხის მიერ სამხედრო ხელოვნების შესწავლა, რათა საჭიროებისას სახელმწიფომ შესძლოს თავისი საზღვრების დაცვა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა.

მთავრობა თავისს მოვალეობად მიიჩნევს ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული ის დებულე-

ბა, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი.

ახალ დემოკრატიულ წყობილების განსამტკიცებლათ მთავრობა ზომებს მიიღებს დაჩქარებით შემოიღოს საერობო თვითმმართველობა, განსაზღვროს ადმინისტრაციის და თვითმმართველობის ურთიერთობა და ახალ პირობათა მიხედვით გარდაქმნას სასამართლო და სკოლა და დაჩქარებით განახორციელოს სავალდებულო უფასო პირველ დაწყებითი სწავლა განათლება.

საქართველოს ეკონომიური განვითარების ხელშესაწყობად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ფინანსიური მეურნეობის მოწესრიგება, ფულის სისტემის შემუშავება და საკუთარი ფულის მოჭრა, ხოლო, ვიდრე ეს რთული საქმე მოეწყობოდეს, - მთავრობა ზომებს მიიღებს შინაური და საგარეო სესხის ასაღებად. მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგება შემოსავლისა და ქონების მიხედვით პროგრესიული გადასახადის შემოღებას და გადასახადთა მთელ სისტემის გარდაქმნას, რათა საუკეთესოდ დაცულ იქნას მშრომელ ხალხის ინტერესები.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა მთელი თავისი ძალღონით შეუდგება დაწყებულ აგრარულ რეფორმის განხორციელებას და ამ გზაზე ყოველივე დაბრკოლების დაძლევას.

ზავის ჩამოგდებით მყარდება წინასწარი პირობა საწარმოვო ძალთა განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ეკონომიურ განვითარების ხელშესაწყობათ, აგრეთვე უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობას განზრახული აქვს საქართველო მოჰფინოს რკინის გზებით, მოაწყოს ტყეების წესიერი ექსპლუატაცია, შეუდგეს არხების გაყვანას და საერთოდ იზრუნოს ინტენსიურ სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

რათა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ხალხის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ, მთავრობა საჭიროდ სთვლის ყოველგვრი მადნეულობის სახელმწიფოს საკუთრებად აღიარებას და შესაფერ კანონპროექტს ახლო მომავალში წარუდგენს ეროვნულ საბჭოს. აგრეთვე მთავრობას განზრახული აქვს დააწესოს სახელმწიფო კონტროლი საზღვარგარეთ ნედლი მასალის გატანაზე.

მთავრობა ხელს შეუწყობს სოციალურ კანონმდებლობის განვითარებას და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მთავრობას დიდმნიშვნელოვან მორიგ საქმედ მიაჩნია ხალხის უზრუნველყოფა სურსათით, რისთვისაც ის სათანადო ზომებს მიიღებს.

მთავრობა აცხადებს, რომ ის ეცდება ახლო მომავალში მოწვეული იქნას სრულ დემოკრატიულ საფუძველზე საქართველოს დამფუძნებელი კრება ნორჩ რესპუბლიკისათვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად და სახელმწიფო საქმეების მოსაწესრიგებლად.

მთავრობას სრული იმედი აქვს, რომ ქართველი ხალხი, რომლის დემოკრატიის დაუღალავი ბრძოლა უცხოეთშიაც საერთო აღტაცებას იწვევდა, სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას, რაიცა ნორჩ რესპუბლიკას წინ გადაეღობება, და რომ ყველა მოქალაქე გაიმსჭვალება სამშობლოს წინაშე პასუხისმგების გრძნობით და მთავრობას დახმარებას აღმოუჩენს დიდის რევოლიუციის მოპოვებათა განმტკიცებასა და რესპუბლიკის აყვავების საქმეში“.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,
ფ. 1861, ანან. 1, საქმ. 54, ფურც.12-15.

საქართველოს ეროვნული საბჭო
/მე-7 კრება/
შაბათს, 15 ივნისს 1918 წ. ქ. ტფილისი. სასახლე.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს	
თავმჯდომარე	ნიკოლოზ ჩხეიძე.
პრეზიდიუმში იყვნენ	იესე ბარათაშვილი
თავმჯდომარის ამხანაგნი	ექვთიმე თაყაიშვილი
აგრეთვე მდივანი	დავით ონიაშვილი
და მისი ამხანაგი	იოსებ აბაკელია

კრება დაიწყო ნაშუადღევს 12 ს. 30 წ.

დღიური წესრიგი:

თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღიურ წესრიგში იყო შეტანილი შემდეგი საგნები: 1. მთავრობის მოხსენება საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 2. მთავრობის დეკლარაცია. ...

ახლა გამოირკვა, რომ მთავრობის სურვილია - პირველი საკითხი ცალკე არ იყოს დასმული და დეკლარაციასთან ერთად გაირჩეს.

ეროვნული საბჭო ერთხმად ამტკიცებს ამ წესრიგს.

მთავრობის დეკლარაცია:

მთავრობის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი კითხულობს მთავრობის დეკლარაციას.

დეკლრაციის გამო იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: სამსონ ფირცხალავა /სოც. ფედერ./, კონსტ. აფხაზი / უპარტიო/ და დავით ჩიქოვანი /რად. დემოკრატი/

ზევითჩამოთვლილ ორატორთა სიტყვების შემდეგ განმარტებას იძლევა მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი.

კამათი გრძელდება. სიტყვას ამბობს - იოსებ გობეჩია, რომელიც დასასრულ სოც. რევოლ. ფრაქციის სახელით კითხულობს დეკლრაციას.

მინისტრის გამნარტება:

განმარტებას იძლევა ფინანსთა მინისტრი გიორგი ჟურული - მთავრობის სახელით.

კამათი დეკლარაციის შესახებ გრძელდება. მონაწილეობას იღებენ გრიგოლ ვეშაპელი /ნაც. დემოკრ/, რომელიც პარტიის დეკლარაციას კითხულობს და ირაკლი წერეთელი /სოც. დემოკ./

მთავრობის განმარტება. კრების გადადება.

განმარტებას იძლევა მიწადმოქმედების მინისტრი - ნოე ხომერიკი.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ წინადადებაა კრების გაგრძელება გადაიდოს შემდეგისათვის.

ამ წინადადების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს მიხეილ მაჩაბელი /ნაც. დემ./ ხოლო წინადადების მომხრეა ნოე ჟორდანია /სოც. დემოკრატი/.

ეროვნული საბჭო დიდის უმრავლესობით სწყვეტს კრება გადაიდოს და კამათი დეკლარაციის შესახებ იმ კრებაზედ გაგრძელდეს.

შემდეგ კრების დანიშვნა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე - როდის დაინიშნოს შემდეგი კრება - საბჭო ადგენს: კრება დაინიშნოს 16 ივნისს 12 საათისათვის.

თავმჯდომარე კრებას ნაშუადღევის 4 ს და 35 წ. ჰხურავს.

თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე (ხელმოწერა)
მდივანი დ. ონიაშვილი (ხელმოწერა)

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,
ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 43, ფურც.19.

საქართველოს ეროვნული საბჭო
(მე-8 კრება).
კვირას, 16 ივნისს 1918 წ. ქ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობდა	
საბჭოს თავმჯდომარე	ნიკოლოზ ჩხეიძე
პრეზიდიუმში იყვნენ	იესე ბარათაშვილი
თავმჯდომარის ამხანაგნი	ექვთიმე თაყაიშვილი
აგრეთვე მდივანი	დავით ონიაშვილი
და მისი ამხანაგი	იოსებ აბაკელია

კრება ნაშუადღევს 12 ს. და 25 წ. დაიწყო.

.....

კამათი მთავრობის დეკლარაციის გამო:

თავმჯდომარე აცხადებს, რომ გაგრძელებაა კამათისა მთავრობის დეკლარაციის შესახებ.

კამათში მონაწილეობას იღებენ კონსტ. აფხაზი (უპარტიო), გეორნტი ქიქოძე (ნაც.-დემ.), რევაზ გაბაშვილი (ნაც. დემ.), მიხეილ მაჩაბელი (ნაც. დემ.), სვიმონ მდივანი (სოც. ფედ.) და აკაკი პაპავა (სოც.ფედ.).

განმარტებას იძლევა მთავრობის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი - ნოე რამიშვილი.

ამის შემდეგ კამათი დეკლარაციის შესახებ გრძელდება და სიტყვას ამბობს - დავით ჩიქოვანი (რად.-დემ.).

კრების გადადება:

თავმჯდომარე აცხადებს წინადადებაა შემოტანილი, რომ კრება საღამოს 7 საათამდე შესწყდეს. ....

საბჭოს წევრთა უმრავლესობა სწყვეტს კრება გადაიდოს ... საღამოს 7 საათამდე.

კრება ნაშუდღევის 3 ს. და 40 წ. სწყდება

თავმჯდომარე	ნ. ჩხეიძე (ხელმოწერა)
მდივანი	დ. ონიაშვილი (ხელმოწერა)

საქართველოს ეროვნული საბჭო
(მე-9 კრება).
კვირას, 16 ივნისს 1918 წ. ტფილისი. სასახლე

თავმჯდომარეობს	
ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე	ნიკოლოზ ჩხეიძე
პრეზიდიუმში არიან	იესე ბარათაშვილი
თავმჯდომარის ამხანაგნი	ექვთიმე თაყაიშვილი
აგრეთვე მდივანი	დავით ონიაშვილი
და მისი ამხანაგი	იოსებ აბაკელია

კრება საღამოს 7 საათზე და 50 წ. იწყება.

კამათი მთავრობის დეკლარაციის შესახებ:

თავმჯდომარე აცხადებს, რომ კრების საგანია კამათის გაგრძელება მთავრობის დეკლარაციის შესახებ. ამასთანავე წინადადებაა შემოსული, რომ ჩაწერილ ორატორთა სია დაიხუროს.

ორატორთა სიის დახურვა:

საბჭოს უმრავლესობა ამ წინადადებას იღებს და ორატორთა სია იხურება. ...

კამათი დეკლარაციის შესახებ:

გრძელდება კამათი მთავრობის დეკლარაციის შესახებ, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: ალექსანდრე ახმეტელი (რად. დემ.), იოსებ მაჭავარიანი (ნაც. დემ.), შალვა ქარუმიძე (ნაც. დემ.), სამსონ დადიანი (სოფ. ფედ.), გრიგოლ ნათაძე (სოც. რევოლ.) და ნოე ჟორდანია (სოც. დემ.).

კამათის მოსპობა:

თავმჯდომარე აცხადებს, რომ წინადადებაა შემოსული კამათი მოისპოს, ხოლო წინასწარ სიტყვა მიეცეს ალიონელთა ჯგუფის წარმომადგენელს, რადგანაც ამ ჯგუფს თავისი აზრი არ გამოუთქვამს დეკლარაციის შესახებ.

საბჭოს დიდი უმრავლესობა ამ წინადადებას იღებს, სიტყვას წარმოსთქვამს კალენიკე ქავთარაძე (ალიონ.).

ფორმულა:

თავმჯდომარე აცხადებს, რომ კამათი დასრულებულია და რომ მას ხელთა აქვს სოც. დემოკრ. ფორმულა დეკლარაციის შესახებ.

შემდეგ მიმართავს საბჭოს წევრთ კითხვით ჰსურს ვისმე კიდევ ფორმულის წარმოდგენა თუ არა.

გერონტი ქიქოძე ნაც. დემ. სახელით ადგენს ამ ფრაქციის ფორმულას.

თავმჯდომარე კითხულობს სოც. დემ. ფრაქციის მიერ წარდგენილ ფორმულას შემდეგის შინაარსისას:

„მოისმინა რა მთავრობის მოხსენება მისი სამოქმედო გეგმის შესახებ, საქართველოს ეროვნული საბჭო უცხადებს სრულ ნდობას დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პირველ მთავრობას და გადადის მორიგ საკითხზე."

გერონტი ქიქოძე - თავმჯდომარის წინადადებით - კითხულობს ნაც. დემ. ფორმულას შემდეგის შინაარსისას:

„დღევანდელი მთავრობის სამხედრო, აგრარული და ფინანსიური პოლიტიკა საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს. ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მთავრობის ორგანიზაციას სახელმწიფოებრივ და სოციალისტურ ელემენტებს შორის პარიტეტის პრინციპის მიხედვით კოალიციურ პლატფორმის ნიადაგზე."

პირველ ფორულის მიღება:

თავმჯდომარე კენჭს უყრის პირველ (სოც. დემოკრ. ფრაქ.) ფორმულას და საბჭო მას დიდის უმრავლესობით იღებს წინააღმდეგ ნაც. დემ. ფრაქციისა.

მეორე ფორმულის უარყოფა:

შემდეგ თავმჯდომარე კენჭს უყრის მეორე (ნაც. დემ.) ფორმულას და საბჭოს დიდი უმრავლესობა, გარდა ნაციონალ-დემოკ. უარჰყოფს ამ ფორმულას. ...

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე (ხელმოწერა)
მდივანი — დ. ონიაშვილი (ხელმოწერა)

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,
ფ. 1836, ანან. 1, საქმ. 43, ფურც.21-22.

საქართველოს ეროვნული საბჭო
(მე-12 კრება საგანგებო).
ორშაბათს, 24 ივნისს 1918 წ. ქ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს	
თავმჯდომარის ამხანაგი	იესე ბარათაშვილი
პრეზიდიუმში არიან	
თავმჯდომარის ამხანაგი	ექვთიმე თაყაიშვილ
და მდივანი	დავით ონიაშვილი
და მისი ამხანაგი	იოსებ აბაკელია

კრება ნაშუადღევის 2 ს. და 15 წ. დაიწყო.

დღიური წესრიგი:

თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღიური წესრიგი შეიცავს მხოლოდ ერთ საგანს - მთავრობის განცხადებას სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

მთავრობის გადადგომა:

ამასთანავე თავმჯდომარე კითხულობს მთავრობის თავმჯდომარის წერილს, - ამა ივნისის 24 თარიღით და 7034 N-რით, შემდეგის შინაარსისას:

საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობას დაეკისრა მეტად მძიმე მოვალეობა — მოსპოს ჩვენს სახელმწიფოს ფარგლებში ანარქია და აღადგინოს სრული წესიერება რევოლიუციის მოპებათა საბოლოო გასამტკიცებლათ. ამ მოვალეობის ასასრულებლად ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მთავრობის გარშემო ყველა საზოგადოებრივ და რევოლიუციონურ რეალურ ძალთა გაერთიანება. რომ პარლამენტს საშუალება მიეცეს ეს მიზანი დაჩქარებით განახორციელოს მთავრობამ დაადგინა სამსახურიდან გადადგეს და თქვენ გაცნობოს თვისი ასეთი დადგენილება ახალი მთავრობის დაუყოვნებლივ შესადგენათ“.

ამ განცხადების გამო იმართება მსჯელობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ირაკლი წერეთელი (სოც. დემ.), გრიგოლ ვეშაპელი (ეროვ. დემ.), ალექსანდრე წერეთელი (სოც. ფედ.), კალენიკე ქავთარაძე (ალიონ. ჯგ.), ივანე ჩერქეზიშვილი (სოც. რევ.) და ალექსანდრე ახმეტელი.

სოც.დემოკ. ფრაქციის განცხადება:

მსჯელობის გათავების შემდეგ ირაკლი წერეთელს სოც. დემოკრატიის ფრაქციის სახელით შემოაქვს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„მოისმინა რა მთავრობის განცხადება - მის გადადგომის შესახებ, ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მიანდოს საბჭოს წევრს ნოე ჟორდანიას ახალი მთავრობის შედგენა და ანიჭებს მას საგანგებო უფლებებს მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად და გასაერთიანებლად“.

ამასთანავე ირაკლი წერეთელს შემოაქვს წინადადება, რომ კრების გაგრძელება სააღამოს 8 საათისთვის გადაიდოს, როდესაც ახალი მთავრობა წარუდგება ეროვნულ საბჭოს.

გრიგოლ ვეშაპელი (ეროვ. დემ.) აცხადებს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებს და თავს შეიკავებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ რადგანაც სხვა ფორმულები არავის წარმოუდგენია, იგი კენჭს უყრის მხოლოდ სოც. დემ. ფრაქციის ფორმულას.

სოც.დემ. ფრაქციის ფორმულის მიღება:

საბჭოს ყველა ფრაქციები, გარდა ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისა, რომელიც ხმის მიცემაში მონაწილეობას არ იღებს, ერთხმად იღებენ სოც. დემოკრატიულ ფრაქციის ფორმულას.

ამის შემდეგ საბჭო ადგენს კრება საღამოს 9 საათისთვის გადაიდოს.

კრება ნაშუადღევის 3 ს და 35 წ. სწყდება.

თავმჯდომარე ი. ბარათაშვილი (ხელმოწერა)
მდივანი დ. ონიაშვილი (ხელმოწერა)

საქართველოს ეროვნული საბჭო
/მე-13 კრება. საგანგებო/
ორშაბათს, 24 ივნისს 1918 წელს ქ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს	
საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი	იესე ბარათაშვილი
პრეზიდიუმში არიან:	
თავმჯდომარის ამხანაგი	ექვთიმე თაყაიშვილი
მდივანი	დავით ონიაშვილი
და მისი ამხანაგი	იოსებ აბაკელია

კრება საღამოს 9 ს. და 20 წ. იწყება

დღის წესრიგი:

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ახალ მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას ჰსურს განცხადება წარუდგინოს საბჭოს.

მთავრობის თავმჯდომარის განცხადება:

მთავრობის თამჯდომარე ნოე ჟორდანია სიტყვიერ განცხადებას ურდგენს საბჭოს მთავრობის მომავალ მოქმედების გეგმის შესახებ. სხვათა შორის, იგი აღნიშნავს, რომ ახალ მთავრობის შემადგენლობაში დარჩნენ ყველა ის მინისტრები, რომლებიც გადადგომილ მინისტრთა კაბინეტში შედიოდნენ.

რაც შეეხება მინისტრთა ამხანაგების შემადგენლობას საკითხი ამის შესახებ საბოლოოდ ხვალ გამოირკვევა.

სოც. ფედ. განცხადება. სოც. დემ. წინადადება:

მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო სიტყვას წარმოსთქვამს სამსონ ფირცხალავა /სოც. ფედ./

ირაკლი წერეთელს /სოც. დემ./ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით შემოაქვს შემდეგი წინადადება:

„მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის განცხადება, ეროვნული საბჭო უცხადებს მთავრობას სრულ ნდობას და აღუთქვამს მას სრულ დახმარებას წამოყენებულ გეგმის განხორციელებაში.“

ფორმ. მიღება:

თავმჯდომარე კენჭს უყრის ამ წინადადებას.

ეროვნული საბჭო ერთხმად იღებს ამ წინადადებას. ხმის მიცემაზედ თავს იკავებენ მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წევრნი.

ამის შემდეგ თავმჯდომარე კრებას ჰხურავს.

კრება ღამის 10 ს. და 55 წ. წყდება.

თავმჯდომარე: ი. ბარათაშვილი (ხელმოწერა)
მდივანი: დ. ონიაშვილი (ხელმოწერა)

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,
ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 43, ფურც.29-30.

საქართველოს
რესპუბლიკა

მთავრობის თავმჯდომარე.

24. ივნისს 1918 წ.

№7034

ქ. თბილისი

№1088

საქართველოს ეროვნულ საბჭოს

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.

დიდად პატივცემული მოქალაქევ,
ნიკოლოზ სიმონის ძევ!

საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობას დაეკისრა მეტად მძიმე მოვალეობა- მისთის ჩვენს სახელმწიფოს ფარგლებში ანარქია და აღაგზნოს სრული წესიერება რევოლიუციის მოშიებაია საბოლო გასამკვიცებლად. ამ მოვალეობის ასასრულებლად ჩვენ საჭირო მიგვაჩნია მთავრობის გარშემო ყველა საზოგადოებრივ და რევოლიუციონურ რეალურ ძალთა გაერთიანება. რომ შარდამენტს ხაშუალება მიეცეს ეს მიზანი დაჩქარებით განახორციელოს მთავრობამ დაადგინა ხამსახურიდან გადადგეს და ჩვენ გაცნობის თვისი ასეთი დადგენილება ახალი მთავრობის დაუყოვნებლივ შესადგენად.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე

ნოე რამიშვილის განცხადება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადადგომის შესახებ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
პირველი კოალიციური მთავრობა



ნოე რამიშვილი (შუაში), გიორგი ლასხიშვილი (განათლების მინისტრი) - მარჯვნივ, გიორგი ჟურული (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი) - მარცხნივ, აკაკი ჩხენკელი (საგარეო საქმეთა მინისტრი), გრიგოლ გიორგაძე (სამხედრო მინისტრი), ნოე ხომერიკი (მიწათმოქმედების მინისტრი), შალვა ალექსი-მესხიშვილი (იუსტიციის მინისტრი) და ივანე ლორთქიფანიძე (გზათა მინისტრი).

ნოე რამიშვილი ტრიბუნაზე.
შარჟი ჟურნალიდან „თეატრი და ცხოვრება".



ნოე რამიშვილი და ნოე ჟორდანია



ნოე რამიშვილის საფლავი ლევილში



ნოე რამიშვილის ბიუსტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში

მემორიალური დაფა სახლზე თბილისში (მაჩაბლის ქ. № 6),
სადაც ცხოვრობდა ნოე რამიშვილი

Noe Ramishvili - First Prime Minister of the First Republic of Georgia
Summary

In Georgian historiography the Democratic Republic of Georgia established on May 26, 1918, is called the First Republic; it lasted until the spring of 1921, and fell as a result of the Russian military aggression. The first coalition government of this republic was headed by Noe Ramishvili, to whom the presented book is dedicated.

Noe Ramishvili (1881-1930), was one of the most prominent leaders of Russian Social-Democratic Party and its breakaway Social Democratic Party of Georgia. That was the result of selecting him as the first Prime Minister of the newly emerged Georgian State. This post he held from May 24, 1918 to June 26, and at the same time, he combined it with the position of the Minister of Internal Affairs. After the resignation from the position of the head of the government he remained at Noe Jordania's office, heading the Ministry of Internal Affairs and parallel to it, at different times, was in charge of the Ministries of Education and Defense.

The book covers the early period of the establishment of the statehood of the Democratic Republic, studies the formation of a coalition government, the first steps of the formation of statehood structure designed to overcome emerging challenges, domestic and foreign policy issues and showing Noe Ramishvili's contributions in all these matters. The paper also explains the reasons and circumstances of the dismissal of the first Prime Minister of the First Republic of Georgia.

სარჩევი

წინათქმა 3

ხელისუფლების ფენომენი 5

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
კოალიციური მთავრობა 9

მთავრობის თავმჯდომარე (პრემიერი) 14

სახელმწიფო აპარატის ფორმირება 32

პირველი ნაბიჯები საგარეო პოლიტიკაში 39

საშინაო პოლიტიკის სიძნელეები 44

სამხედრო-თავდაცვითი მშენებლობა 48

მთავრობის ეკონომიკური და ფინანსური ღონისძიებანი 55

მთავრობის დეკლარაცია 61

პრემიერის გადადგომა 72

დოკუმენტები, ფოტომასალა 87

Summary 106